ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 14 ოქტომბერი, 2013 №243 (6244) ფასი: 30 თეთრი

8 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს სამყარო
მტაცებლები
10 ლარი




# პეტრე მამრაძე: „სააკაშვილი არჩევნების შემდეგ არეულობას გეგმავს“

რა ინფორმაციებს აწვდის დასავლეთს პრეზიდენტი

გვ.3





## საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის მარგველაშვილი, ბურჯანაძე და ბაქრაძე ლიდერობენ

გვ.7

## შალვა შავგულიძე: „სამართლიანობის აღდგენის პროცესი ძალიან გაჭიანურდა“



გვ.2



## პატრიარქი წინაპრების ხსენების დღეების დაწესების ინიციატივით გამოვიდა

გვ.3



## რატომ უნდა დაბრუნდნენ ნაციონალები უწყებათშორის კომისიაში

გვ.6

გვ.4

## მარინა მოლოდინი: „იძულებული ვარ, მთის გადასარჩენად ქალები დავარაზმო!“



გვ.6



## თენგიზ გუნავა: „მარგველაშვილს საშუალებას არ მივცემ, თვითონ გამათავისუფლოს თანამდებობიდან!“

გვ.5



## ანზორ აბრალავა: „ივანიშვილს გადადგომის უფლება არა აქვს“

ISSN 1987-9385

2 უზის თუ არა წილში დეპუტატი წერეთელი „ამერიქენ ელოიზს“

4 „თითქმის დავრწმუნდი, რომ ჩემი შვილი საპყრობილეში არ მოუკლავთ“

3 რუსეთში კავკასიელების დარბევა დაიწყეს

4 7-წლიანი პაუზის შემდეგ ქართული ხილისთვის რუსეთის ბაზარი ხვალიდან გაიხსნება

# შალვა შავგულიძე: „სამართლიანობის აღდგენის პროცესი ძალიან გაჭიანურდა“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ საპარლამენტო უმრავლესობის წევრ შალვა შავგულიძესთან



***– ბატონო შალვა, სამოქალაქო სექტორის მხრიდან საუბარია სასჯელაღსრულების სისტემის, ციხეების დამატებით მონიტორინგზე, ბოლო დროს გარკვეული განცხადებები კეთდება, რომ ციხეში კვლავ ბრუნდება ე.წ. ქურდული მენტალიტეტი და ა.შ რამდენად მისაღებია ეს იდეა?***

– მიმაჩნია, რომ არასამთავრობო სექტორის შემოთავაზება პოზიტიურია და მხოლოდ პოზიტიურ როლს შეასრულებს ჩვენი საზოგადოებისთვის. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა სტკივა ყველაზე მეტად ჩვენს საზოგადოებას. ეს არის უსამართლობისა და დაუცველობის განცდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული წლების მანძილზე სახელმწიფოს მხრიდან. ამიტომ არასამთავრობო სექტორისთვის სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგის უფლების მინიჭება გაზრდის სანდოობის განცდას ამ სისტემისადმი. ვინაიდან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული შეფასებები იქ არსებული ვითარების, მეტი სანდოობით იქნება საზოგადოების მხრიდან მიღებული. სანდოობის გაზრდა კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს სასჯელაღსრულების სისტემის უფრო მეტად ეფექტურ ფუნქციონირებას. მთავარია ამ შემთხვევაში გადამეტება არ მოგვივიდეს.

***– რას გულისხმობთ?***

– სწორად უნდა განისაზღვროს ორი რამ: პირველი კრიტერიუმები, თუ როგორ უნდა შეირჩეს ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელსაც ეს საპასუხისმგებლო და კარგი ფუნქცია უნდა მიენდოს და მონიტორინგის განხორციელების ფარგლები. ეს ფარგლები უნდა ემსახურებოდეს პოზიტიურ მიზანს ანუ საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას და არ უნდა ხდებოდეს ამ ფარგლების გამოყენება, ჩარევა და ხელის შეშლა სასჯელაღსრულების სისტემის ეფექტური მუშაობისთვის. ჩვენ თუ დავიცავთ ამ ზომიერ მიდგომას ეს ძალიან სასარგებლო იდეაა და მხოლოდ სიკეთის მომტანი შეიძლება იყოს. როგორც წამალი, კარგია თუ ზომიერად მიიღებთ, მაგრამ ცუდია თუ გადაამატებთ.

***– პარლამენტმა რა როლი უნდა შეასრულოს, როგორ ფიქრობთ?***

– სად უნდა მოხდეს და ვის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩევა, შემოთავაზებული იყო პარლამენტი მე მხარს ვუჭერ შემდეგი გარემოების გამო: პირველ რიგში აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და იმ სამინისტრომ არ უნდა შეარჩიოს ის ორგანიზაცია, რომელმაც მონიტორინგი უნდა გაუწიოს ეს ცხადია. პარლამენტი არის სხვა სახელისუფლო შტო, საკანონმდებლო შტო, არის წარმომადგენლობითი ორგანო და თუ იქნება სწორი წესით განსაზღვრული, ეს უზრუნველყოფს მაქსიმალურად ობიექტურ შერჩევას იმ ორგანიზაციისა, რომელსაც ეს ფუნქცია უნდა დაევალოს. აქ არის პარლამენტის ფუნქცია და პარლამენტმა უნდა განახორციელოს კონტროლი იმაზეც, რომ ამ მონიტორინგის განმხორციელებელმა არ გადააჭარბოს მონიტორინგის ფარგლებს.

***– რას იტყვით პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებაზე, რომ შევარდნაძის დროს მართავდნენ ციხეს ქურდები და ახლა ივანიშვილის დროს...***

– პრეზიდენტი გაღიზიანებულია იმაზე, რომ მისმა პოლიტიკურმა გუნდა ვერ მოიპოვა ნდობა საპარლამენტო არჩევნებში და ხელისუფლებაში ყოფნის შანსი დაკარგა. ძალაუფლება ჩამოერთვა. გაღიზიანებულია ალბათ იმაზეც, რომ პრეზიდენტი აღარ იქნება. ძალიან ბევრ და დაუსაბუთებელ, უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებს. ეს არის ერთ-ერთი დაუსაბუთებელი განცხადება, როგორც არაერთი მოგვისმენია. ეს განცხადებაც ვეტოების დადების რიგს ეკუთვნის. ვინაიდან ამის იქით ჩვენ არ ვისმენთ არგუმენტაციას, დასაბუთებას, რატომ მიაჩნია ასე, სად არის ეს ფაქტები, გამოდის, ასე აწყობს და ასე საუბრობს.

***– არასრულწლოვანი პატიმრის მაგალითზე საუბრობდა ის...***

– ეს არის ახალი ფაქტი და ამ ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს. როგორ შეიძლება ახლად დაწყებულ გამოძიებაზე, პრეზიდენტი თავს აძლევდეს უფლებას და შეფასებებს აკეთებდეს. ასეთი დასკვნები და შეფასებები მიუღებელია პრეზიდენტის მხრიდან.

***– ეს ჩარევაა პრეზიდენტის მხრიდან?***

– რა თქმა უნდა, ეს არის გამოძიებაზე გარკვეული ზეწოლა. როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი უკვე გარკვეულ მიმართულებას კარნახობს გამოძიებას. იმედი მაქვს, რომ ამ ნაკარნახევს არ გაიზიარებს გამოძიება, მაგრამ ასეთი ქცევა არასწორია. მახსოვს სულხან მოლაშვილის ფაქტი, რომელსაც ვიცავდი. მაშინ პრეზიდენტმა უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვია. ის პირდაპირ აცხადებდა, რომ არ გამოუშვებთ, ციხეში იჯდება, მოპარულ თანხებს დავაბრუნებინებთ და ა.შ. არადა, სასამართლოში ჯერ მხოლოდ აღმკვეთი ღონისძიების საკითხი წყდებოდა. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ პრეზიდენტის ეს განცხადება ნეგატიურად შეაფასა და ფაქტიურად შესთავზა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის აღიარება პრეზიდენტის მხრიდან. მაშინ, როდესაც, პრეზიდენტი უნდა იყოს მისი მოქალაქეების კანონიერი უფლებების დაცვის გარანტი.

***– ბატონო შალვა, რა ხდება დღეს ციხეში, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირება მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება და თუ ეს არასამთავრობო სექტორის მხრიდან იქნება. დღეს ორი რამ გვჭირდება: სახელმწიფო სამართლიანობაში დარწმუნება და სახელმწიფოს ნდობა, რომ ის დაცული იქნება მის კანონიერ უფლებებში. მსჯავრდებულსა და პატიმარს აქვს თავისი კანონიერი უფლებები.

***– ე.წ. სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით რას იტყვით? გაჭიანურდა ეს პროცესი?***

– მე მიმაჩნია, რომ გაჭიანურდა. ვფიქრობ, მეტი აქტივობაა საჭირო.

***– რა კუთხით აქტივობა?***

– რითაც ევალება ჩვენს ხელისუფლებას.

***– უშუალოდ პროკურატურის მხრიდან, კბილაშვილის მეტ აქტიურობას ითხოვთ თუ...***

– პროკურატურის მხრიდანაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი რგოლია გამოძიების წარმართვა. პარლამენტის მხრიდანაც, დროულად უნდა მოხდეს კანონპროექტის კანონად ქცევა. აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა შტოსგან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეს ყველაფერი.

# უზის თუ არა წილში დეპუტატი წერეთელი „ამერიქენ ელოიზს“

**ჭიათურაში ერთი ძალიან პოპულარული ჭორი დადის მაჟორიტარ დეპუტატზე: მალხაზ წერეთელი ალიანსშია „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზთან“ და რამდენად სწორია ეს მითქმა-მოთქმა, რომ 20 ათას დოლარს იჯიბავს წერეთელი მანგანუმის მეწარმეებისგან ყოველთვიურად, თავისთავად გამოჩნდება ინტერვიუში, რომელიც 11 ოქტომბერს ჩაწერა „ახალმა თაობამ“ ჭიათურის დეპუტატთან. ასევე მინდა მოგახსენოთ „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, მაკა კვარაცხელიას, პასუხი არანაკლებ საინტერესო „ჭეშმარიტებაზე“: თურმე სრული სიცრუეა გავრცელებული ინფორმაცია იმაზე, რომ თითქოსდა ივანიშვილის ვაჟი, უტა, ყიდულობს „ელოიზის“ აქტივებს, რომელიც მოიცავს ჭიათურის მანგანუმის მოპოვებასა და წარმოებას, ასევე ზესტაფონის „ფეროსა“ და ვარციხჰესის კასკადებს.**

როლანდ ხოჯანაშვილი

***– ბატონო მალხაზ, „ახალ თაობას“ რამდენიმე კითხვა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მრავალ საკითხს შეეხეთ და ერთი საათი ესაუბრეთ ამომრჩევლებს. როგორც ჯანდაცვის კომიტეტის წევრი, მართლა უნდა ველოდოთ მესამე შვილის ყოველთვიურად 100 ლარით დაფინანსებას?!***

– ამის შესახებ ჩემთვის ცნობილი არაფერია ჯერ. თქვენგან გავიგე, რომ ამისთვის წლიურად მხოლოდ 5 მილიონია საჭირო. არაფერია გამორიცხული, ახალი ხელისუფლება ცდილობს სოციალური ფონის გაუმჯობესებას, იცით, რომ სოციალური შემწეობა გაიზარდა, პენსიაც. მართალია, ეს არ არის საკმარისი, მაგრამ ჩვენ უკეთესობისკენ წავიყვანეთ ეს სფერო. ამასთანავე, მხოლოდ ორ მუნიციპალიტეტში შევძელით და დაფინანსდა ე.წ. რეგრესის პენსიონრების მრავალწლიანი დავალიანება. ეს მუნიციპალიტეტები ჭიათურა და ტყიბულია, მაღაროელებსა და მეშახტეებს, რომელთაც საწარმოო ტრავმის გამო შრომის შესაძლებლობა დაკარგეს.

***– თქვენ კარგად იცნობთ ჯანმრთელობის სისტემას. მოგეხსენებათ, რომ ჭიათურა ჯანდაცვის გარეშეა დარჩენილი. 25 პაციენტზე გათვლილი „ჯეო ჰოსპიტალსი“ კრიტიკას ვერ უძლებს, მით უმეტეს, რომ მან ვერც ამბულატორიის ექიმების ხელფასი ვერ გაისტუმრა!***

– ამ ეტაპზე სოფლის ამბულატორიების მედპერსონალს ხელფასის 75% აქვს მიღებული, ანუ სახელმწიფოს ვალდებული ნაწილი, ხოლო „ჯეო ჰოსპიტალსი“ 25%-ს არ ან ვერ იხდის. სამწუხაროდ, საქართველოში მხოლოდ ექიმები არიან ასეთ მდგომარეობაში, ყველა სხვა ღებულობს ხელფასს რეგულარულად და სრულად, ექიმები ვერა. აუცილებლად მოკლე პერიოდში გამოსწორდება ეს საკითხი!

***– ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ვნახე, რომ ამბულატორიის ექიმებს უნდათ ჰქონდეთ „ჩანთა“, სწორი გითხრათ, ეს ჩანთა და თავად ექიმებიც არ ჩანან ამბულატორიის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე საჭირო დროს!***

– ამბულატორიის ექიმის ხელფასი 500 ლარია. ამ თანხით მან უნდა გადაიხადოს ამბულატორიის ყველა ხარჯი (კომუნალური) და „ჩანთაც“ მუდმივად სავსე უნდა ჰქონდეს სამედიცინო საშუალებებით. შესაძლებელია ამბულატორიის ექიმმა დაფაროს რამდენიმე სოფელი ამ ხელფასით და შესაძლებლობებით?! ამ ეტაპზე ჩვენ შევძელით ის, რომ საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში ნებისმიერ მოქალაქეს ჯანმრთელობის დასაცავად საბაზისო სიტუაცია შევქმენით და ორსულობის, მშობიარობის და მრავალი საკითხის რეგულირება მოვახერხეთ.

***– ჭიათურას უმძიმესი მდგომარეობა აქვს ეკოლოგიური თვალსაზრისით...***

– ჩემი საზრუნავი მუდმივად იყო მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა. ჩემი მოთხოვნით გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები არაერთხელ ჩამოვიდნენ ჭიათურაში და თუ არ ვცდები, 2 მილიონამდე დაჯარიმდება ის ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენს გარემოს აზიანებენ.

***– ჩემი პირადი მოთხოვნით უკვე ორჯერ გადამოწმდა წაბლნარების გაჩეხვის კანონიერება და სანიტარული ჭრის წესების დარღვევის გამო ორივე შემთხვევაში ჯამურად 200 ათას ლარამდე შეფასდა ბუნებაზე მიყენებული ზარალი. პირველი დასკვნა გასული წლის მიწურულს უკვე იყო დაანგარიშებული და სასამართლო ჯერ კიდევ არ ჩანიშნულა. პროკურატურა მცემს პასუხს, რომ მოკვლევა გრძელდება. ალბათ მოკვლევის ფინალისთვის ჩვენ ტყე აღარ გვექნება. ვფიქრობ, რომ „უძვლოა“ დღევანდელი პროკურატურა!***

– აუცილებლად დავაჩქარებ ამ საკითხს ჩემი კომპენტენციის ფარგლებში! ზემოიმერეთში გარემოს დაცვის საპარლამენტო კომისიაც ამოვიყვანე და ადგილზე გავაცანი მდგომარეობა. სამწუხაროდ, ისეთი საფუძველი აქვს გაცემულ ლიცენზიებს, რომ ერთი ხელის აქნევით ვერაფერს შევწყვეტთ.

***– ამბობენ, რომ თქვენ „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზი“ ყოველთვიურად 20 ათას დოლარს გიხდით...***

– არ ვიცი, რატომ საუბრობენ ამ საკითხზე. ინფორმაცია აქვს ხალხს, რომ ჩემი ინიცირებულია მანგანუმის მოსაკრებლის გაზრდის შესახებ. უკვე პირველი მოსმენა იყო ამ კანონპროექტის. მწვავე იქნება მეორე და მესამე მოსმენა. ჩემი აზრით, თითქმის არარსებული მოსაკრებელი უნდა გაიზარდოს 3%-მდე, რასაც სიხარულით არ შეხვედრია ინვესტორი და ზემოთხსენებულ ჭორსაც, თავისთავად ცხადია, აქვს მხოლოდ დეზინფორმაციის და დისკრედიტაციის მიზანი, რაც ჩანასახშივე მკვდარია...

***– მართალია, დაბალია ამჟამინდელი მოსაკრებლის ოდენობა, მაგრამ თქვენი ინიციატივა რომ დაკანონდეს, ინვესტორი ხომ არ გაიქცევა?! ისინი ამბობენ, რომ არსებული მოსაკრებელი ოპტიმალურია თქვენი შეთავაზებული–ძალიან დიდი.***

– მსოფლიოში მანგანუმის მოპოვების მოსაკრებლის ოდენობა 5%-დან 12%-მდე მერყეობს სხვადასხვა ქვეყანაში და რატომ უნდა გაიქცეს ინვესტორი, როცა ჩვენ ვთავაზობთ მხოლოდ 3%-ს?! ამით ნამდვილად წელში გაიმართება მუნიციპალიტეტი და აღარ ვიქნებით ასეთი ღარიბები. ჩვენდა სამწუხაროდ, ყველაზე მდიდარი რესურსებით ჭიათურაა და რეგიონში ჭიათურაზე ღატაკი არცერთი მუნიციპალიტეტი არ არსებობს. იმერეთში მაინც უნდა იყოს ჭიათურა ყველაზე მდიდარი, თუ მთელი საქართველოს მასშტაბით არა! თანაც, ადრე ჭიათურის მანგანუმის „ტრესტი“ ნაცმოძრაობის საარჩევნო შტაბი იყო და ამას ახლა აღარავინ სთხოვს, რომ მმართველი პოლიტიკური ძალის გამარჯვებაში ფინანსები ჩადონ.

***– ჭიათურას წყალმომარაგებაშიც ძალიან ცუდად აქვს მდგომარეობა!***

– რამდენი წელია, რაც ჩვენს ქალაქს არ ღირსებია წყალმომარაგების საკითხზე ზრუნვა. წყალმომარაგება კომუნისტური დროიდან ქალაქს მუნიციპალური და მაღაროს სისტემებით ეწოდებოდა. ახლა ორივე სისტემა იმდენად მოშლილია, რომ ვერც კი უწოდებ წყალმომარაგების სისტემას. „ელოიზი“ აცხადებს, რომ წყლის მომარაგებას არ გააგრძელებს ქალაქისთვის. მაღაროელებისთვის წყალს ვიყიდით მუნიციპალიტეტისგან და სისტემის რეაბილიტაციას არ დავიწყებთო. ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად ჩვენ ვცდილობთ, რომ ჭიათურაში წყალმომარაგების პრობლემა მოვხსნათ! სირცხვილია, რომ ჭიათურას წყალიც არ ჰქონდეს!

***– დღეს ვხედავდი, რომ თქვენთან შეხვედრაზე მოსული იყო მუნიციპალიტეტის საგანმანათლებო სპექტრიც. მათ შორის ვხედავდი ცნობილ „მომრეკველებსაც“, ანუ მათ ჩვეულებრივ ამპლუაში ვხედავდი?!***

– მინდოდა, რომ ამომრჩევლებისთვის ჩემ მერ გაწეული საქმიანობის ანგარიში წარმედგინა ამომრჩევლისთვის. ვერ გავასხვავებ ჩემსა და სხვის ხმის მიმცემებად ჭიათურლებს. ვისაც სურვილი ჰქონდა, მოვიდა და მომისმინა. ძალადობის მოწინააღმდეგე ვიყავი მუდამ და თუ მისმენდით დღეს, არ გამიჟღერებია თუნდაც მოწოდება „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად. არჩევნები უნდა იყოს თავისუფალი. ყველამ საარჩევნო უფლება უნდა გამოიყენოს თავისუფალი ნების თანხლებით! „ქართულმა ოცნებამ“ გასული წლის არჩევნებზე დაამსხვრია ის სტერეოტიპი, რომელიც ბოლო წლებში ჩამოყალიბდა – არჩევნების ძალადობრივი ფორმები ჩაბარდა წარსულს!

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## პატრიარქი წინაპრების ხსენების დღეების დაწესების ინიციატივით გამოვიდა



გუშინდელ საკვირაო ქადაგებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თაობებს შორის ერთიანობის აუცილებლობაზე იქადაგა. როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აღნიშნა, მთელ მსოფლიოს აწუხებს პრობლემა, რომელიც უკავშირდება მშობლებსა და შვილებს შორის დამოკიდებულებას.

უწმინდესის თქმით, უმცროსსა და უფროსს თაობას შორის უნდა იყოს მთლიანობა. სუსტია ის ერი და ხალხი, სადაც ეს მთლიანობა არ არის. უწმინდესი გამოდის ინიციატივით, რომ დაწესდეს ისეთი დღეები, როდესაც საზოგადოება გაიხსენებს თავის წინაპრებს, გამორჩეულ ადამიანებს.

„ჩვენ ხშირად გვავიწყდება უფროსები, ჩვენი წასულები. მე მაქვს სურვილი, რომ გამოვყოთ ისეთი დღეები, როდესაც ჩვენ გავიხსენებთ ჩვენს წინაპრებს, გამორჩეულ ადამიანებს“, — ბრძანა უწმინდესმა და აღნიშნა, რომ პირველი ასეთი დღე იქნება დავით აღმაშენებლის გახსენების დღე, რადგან მისი ცხოვრება არის საოცრება, მთლიანად მინდობა უფლისადმი.

პატრიარქმა ადამიანზე, როგორც პიროვნებაზეც, ისაუბრა და აღნიშნა, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. შემთხვევითი არ არის, რომ უფალმა მოგვავლინა ამ ქვეყანაზე და ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რომ დავუახლოვდეთ უფალს, მოყვასს, ბუნებას, რათა შეიკრას პიროვნების მთლიანობა.

როგორც მან აღნიშნა, უფალი ყველაფერს ქმნის მხოლობით რიცხვში და ტყუპებიც კი, რომლებიც გარეგნულად შეიძლება ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, განსხვავდებიან თავიანთი პიროვნული თვისებებით.

**მედიანიუსი**

## რუსეთში კავკასიელების დარბევა დაიწყეს

გუშინ, 13 ოქტომბერს, მოსკოვის ერთ-ერთ რაიონში, ბირიულევოში, რუსმა ნაციონალისტებმა სავაჭრო ცენტრი „ბირიუზა“ დაარბიეს. დაახლოებით 600 ადამიანი ორგანიზებულად მივიდა სავაჭრო ცენტრთან და ვიტრინების მსხვრევა დაიწყო. ისინი აგრესიულად იქცეოდნენ და ყვიროდნენ „რუსეთი რუსეთისთვის!“, „რუსებო, წინ!“ და შენობაში შეიჭრნენ, სადაც დარბევა განაგრძეს. ადგილობრივმა ომონმა მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ გადაწყვიტა ჩარევა, მაგრამ ხალხმა მათაც დაუშინა სხვადასხვა საგნები. „ბირიუზა“ კავკასიიდან მიგრანტთა თავშეყრის ადგილად ითვლება. ბირიულევოში ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც 10 ოქტომბერს ადგილობრივი ეგორ შჩერბაკოვი მოკლეს. მისი მეგობარი ქალის მტკიცებით, მკვლელი კავკასიელია. პოლიციამ 90 არალეგალი დააკავა, მაგრამ მკვლელი ვერ იპოვნა.

**ათბ-ნიუსი**

# პეტრე მამრაძე: „სააკაშვილი არჩევნების შემდეგ არეულობას გეგმავს“

## რა ინფორმაციებს აწვდის დასავლეთს პრეზიდენტი

*თამარ ნინიძე*

### ინტერვიუ მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის დირექტორ პეტრე მამრაძესთან



***— სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით საზოგადოებაში მღელვარებაა. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— ყალბი პატრიოტიზმი ნაძირალების ბოლო თავშესაფარია. პუტინის ჩეკისტური რეჟიმის მხრიდან მთლიანად მართულმა სააკაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა ლანგარზე მიართვეს პუტინს საქართველოს ოკუპაციის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ,,დამოუკიდებლობის“ ცნობისა და იქ სამხედრო ბაზების განთავსების საშუალება. ახლა ეს ნაძირალები თავის უკანასკნელ თავშესაფარში შეძვრნენ და ,,პატრიოტულ“ ლოზუნგებს წარმოთქვამენ. ჩვენ თუ პოლიტიკური ერი ვართ და არა გულის მომფხანთა კლუბი, თუ გვინდა გადავარჩინოთ სააკაშვილის და მისი თანამზრახველების ღალატის შემდეგ ჯერ კიდევ ჩვენს ხელში დარჩენილი საქართველოს ნაწილი და შევქმნათ ქვეყნის გამთლიანების პერსპექტივა, მაშინ უნდა განუხრელად დავიცვათ ჩვენი ეროვნული ინტერესები. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება სწორედ ჩვენს ეროვნულ ინტერესებში შედის. ჩვენი დასავლელი მეგობრებიც ამისკენ მოგვიწოდებენ უკვე 22 წლის განმავლობაში. შესაბამისად, არ უნდა ავყვეთ არც მცირე და არც დიდ პროვოკაციებს და უნდა გავატაროთ საჭირო კურსი — ოლიმპიადაშიც უნდა მივიღოთ მონაწილეობა, ონიშჩენკოს ბრალდებებიც უნდა ავიტანოთ და ა.შ.

***— რუსეთი უკრაინას სანქციებს უწესებს, მოლდოვასა და საქართველოსაც იგივე ელოდება. ახლოვდება ვილნიუსის სამიტი, რა მოლოდინი გაქვთ ამ სამიტთან დაკავშირებით და ელოდებით თუ არა რუსეთიდან უფრო დიდ ზეწოლას საქართველოს მიმართ?***

— ვილნიუსის სამიტზე უნდა მოხდეს ევროგაერთიანებასთან ჩვენთვის მნიშვნელოვანი ხელშეკრულების პარაფირება (ამის შემდეგ, როგორც გვპირდებიან, ერთი წლის განმავლობაში ამ ხელშეკრულებაზე ხელსაც მოვაწერთ). რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უკვე წაიღეს განუსაზღვრელი დროით. სანქციების მხრივ მაქსიმუმი რაც გველის, ეს არის რუსულ ბაზარზე ახლახან გასულ ჩვენს პროდუქციაზე, რუსეთის მხრიდან ისევ უარის თქმა, მავთულხლართების უფრო ინტენსიური აგება და სხვადასხვა პროვოკაციები. სიმშვიდეს და სიმტკიცეს თუ შევინარჩუნებთ, ამასაც გავუძლებთ.

***— ეროვნულმა ძალებმა ახალი პოლიტიკური ცენტრი შექმნეს. გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ მათი აზრით ივანიშვილმა პრორუსულ ძალებს სამოქმედოდ ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა. აქტიურობენ თემურ ხაჩიშვილი, ლევან პირველი და ვალერი ხაბურძანია. როგორ ფიქრობთ, საქართველოს რაიმე საფრთხე ემუქრება მათი აქტიურობით?***

— ნეტა რომელ ეროვნულ ძალებზეა საუბარი? შეგახსენებთ, რომ საუკეთესო დასავლეთელი ექსპერტების აზრით სწორედ სააკაშვილი თავის თანამზრახველებთან ერთად ემსახურება რუსულ საქმეს საქართველოში. სწორედ მათ შექმნეს გარკვეული ნიადაგი საქართველოში პროპუტინისტური ძალების სამოქმედოდ. ივანიშვილი თავის გუნდთან ერთად ზრუნავს საქართველოს რეალურ ინტეგრაციაზე დასავლეთთან. ნატოს გენერალურმა მდივანმა რასმუსენმა საჯაროდ რამდეჯერმე განაცხადა, რომ ივანიშვილის მთავრობის მხრიდან რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მცდელობა არის საქართველოს მიერ ნატოსკენ მიმავალ გზაზე გადადგმული დიდი ნაბიჯი.

ვალერი ხაბურძანიას პირადად ვიცნობ. კარგი მუშაკი და მინისტრი იყო. ვარდების რევოლუციის შემდეგ სწორედ მან აუხსნა მერაბიშვილს, რა მოხდებოდა, თუ აფხაზეთის დასაბრუნებლად ძალას გამოიყენებდნენ. სახელმწიფო სამსახური სხვაა, პოლიტიკური მოღვაწეობა კი სულ სხვა რამ არის. არა მგონია, ხაბურძანიამ პოლიტიკოსობა შეძლოს.

სააკაშვილის ანტიპოლიტიკის შედეგად საქართველოში აშკარად გაიზარდა ანტიდასავლური განწყობა. მიუხედავად ამისა, არა მგონია, რომ ხაჩიშვილმა და პირველმა ამ ეტაპზე რაიმე წარმატებას მიაღწიონ პოლიტიკურ ასპარეზზე.

***— პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წინა ხელისუფლების ძალოვანმა სტრუქტურებმა, კერძოდ კუდმა, გადაიბირა საგანელიძე, ქუცნაშვილი და იმერლიშვილი. საგანელიძე ამ ინფორმაციას ცილისწამებას უწოდებს და სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას გაზეთ „ქრონიკა პლუსის“ წინააღმდეგ. რეგიონებში საგანელიძის მიმართ უამრავი პრეტენზიაა „ქართული ოცნების“ აქტივისტების მხრიდან, როგორ აფასებთ მის საქმიანობას და საერთოდ მაჟორიტარების საქმიანობას?***

— მაჟორიტარების საქმიანობაზე ცუდი ხმები მომდის და არ გამიკვირდა, როცა ივანიშვილმა განაცხადა, რომ შესაძლებელია მაჟორიტარული ინსტიტუტის საერთოდ გაუქმებაც კი გახდეს საჭირო. მომდის ხმები იმაზე, რომ ბევრი ადამიანი საგანელიძის მოქმედებით არის უკმაყოფილო. მაგრამ მე არ მაქვს საშუალება, გადავამოწმო ეს ინფორმაცია და დავრწმუნდე მის სისწორეში. რაც შეეხება კუდის მიერ ,,ოცნების“ წევრების გადაბირებას. მსგავსი დოკუმენტაციის ფაბრიკაცია და ინფორმაციის გავრცელება არ არის ძნელი. მთავარია, არსებობს თუ არა შესაბამისი ხელწერილების დედანზე ამ ადამიანების აუტენტური ხელმოწერები. ამის შემოწმება რთული არ არის. ვფიქრობ, აუცილებელია გამოძიების ჩატარება, ამ ხელწერილების დედნების წარმოდგენა (თუკი მოიპოვება) და შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება.

***— ხელისუფლებიდან წასვლამდე ივანიშვილი ექსპერტებსა და მედიის წარმომადგენლებს შეხვდა და გააკრიტიკა. მინდა გკითხოთ ამ შეხვედრების არსი რას ემსახურება და რამდენად სამართლიანია პრემიერის მხრიდან შენიშვნები?***

— ივანიშვილი გამუდმებით ახსენებს საზოგადოებას, რომ პოლიტიკოსი არ არის და არც აპირებს, რომ გახდეს, თანაც სულ მალე დატოვებს პრემიერის პოსტს. პოლიტიკოსობის პრეტენზია რომ ჰქონოდა, მაშინ მისი მხრიდან ექსპერტებისა და ჟურნალისტების გაკრიტიკება უხეში შეცდომა იქნებოდა, ვინაიდან პოლიტიკოსის და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მხრიდან ასეთი რამ ყოველთვის განიხილება, როგორც ექსპერტებზე და მასმედიაზე ზეწოლის მოხდენა ან ზეწოლის მოხდენის მცდელობა — იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი მხოლოდ სიმართლეს ამბობს და ცილისწამებას ამხელს. ივანიშვილის ყველა არგუმენტის შეფასება მიჭირს, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის სიმწირის გამო. ვფიქრობ, ზოგ შემთხვევაში ივანიშვილი აშკარად მართალი იყო. აქვე მინდა აღვნიშნო ერთი რამ: ჟურნალისტი, რომელიც მოიპოვებს ,,ცხელ“ ინფორმაციას, ნამდვილად არ არის ვალდებული, ჯერ ყოველმხრივ გადაამოწმოს მისი სისწორე და მხოლოდ მერე გამოაქვეყნოს. ამის გაკეთებას თუ ეცდება, ინფორმაციაც დაძველდება და მისი დროულად არგამოქვეყნების გამო შეიძლება უბედურებაც დატრიალდეს. მაგრამ ჟურნალისტმა უნდა მიუთითოს, მოასწრო, თუ არა ინფორმაციის გადამოწმება. მაგალითად: როცა მავთულხლართებით გაყოფილი სოფლების მოსახლეობა ჩივის, რომ მთავრობა ყურადღებას არ აქცევს, ჟურნალისტმა ეს მაშინათვე უნდა გამოაქვეყნოს (მოსახლეობის განწყობა და ჩივილი თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია) და თუ გადამოწმებას ვერ ასწრებს, უნდა აღნიშნოს ეს და იქვე მთავრობას მიმართოს შესაბამისი შეკითხვებით. ინფორმაციის გავრცელების დაყოვნება კი არ შეიძლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ინფორმაცია შეიცავს საფრთხეს ეროვნული უშიშროებისათვის.

***— კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ პოლიტიკიდან წავა თუ საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავს. როგორ აფასებთ ამ განცხადებას და ხომ არ მოვიდა დრო, რომ პოლიტიკოსებმა პასუხისმგებლობა იგრძნონ საკუთარი გადაწყვეტილებებისა და სიტყვების გამო, ისე როგორც ეს გვაჩვენა დავით გამყრელიძემ პოლიტიკიდან წასვლით?***

— პოლიტიკოსების პასუხისმგებლობას და მათი პოლიტიკიდან წასვლის დროს პოლიტიკური ბაზარი განსაზღვრავს (ეს დამკვიდრებული ტერმინია, ჟარგონი არ გეგონოთ) და არა პოლიტიკოსთა კეთილი ნება და მაღალი ზნეობა. ჩვენი საზოგადოების დონე და, შესაბამისად, პოლიტიკურ ბაზარზე არსებული დონე ისეთია, რომ საზოგადოება მასობრივად ივიწყებს და პატიებს ,,პოლიტიკოსებს“ ისეთ გადაცდენებს, რასაც განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკოსის უეცარი პოლიტიკური სიკვდილი მოჰყვებოდა. გეგულებათ ქვეყანა, სადაც პრეზიდენტი პოსტს შეინარჩუნებდა ცაში თვითმფრინავის დანახვისას პანიკური გაქცევისა და მუხლებზე ხოხვის შემდეგ? მახათას მთაზე გამართული კლოუნადისა და უწმინდესის ტახტზე დასკუპების შემდეგ? სადაც დედაქალაქის მერი დარჩებოდა პოსტზე, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მისი სტრიპტიზბარში დროსტარების ამაზრზენი კადრები და დოკუმენტურად დამტკიცდა, რომ სტრიპტიზბარებში დიდ ,,კამპანიასთან“ ერთად მერიის ბიუჯეტის ხარჯზე დადიოდა? ბაქრაძის 2008 წლის 10 აგვისტოს ,,მოწოდება“ გაიხსენეთ. ასეთი მაგალითებით ტომების ავსება შეიძლება. საქართველოს პოლიტიკაში თითზე ჩამოსათვლელია ცნობადი სახეები, ვისაც ისეთი არაფერი აქვს ჩადენილი, რის გამოც დასავლეთში იმ დღესვე არ მოუწევდა პოლიტიკურ სამარეში ჩასვლა. ჩვენთან კი სულ სხვა ვითარებაა. ამის ზუსტი ანალოგიაა ის, რომ საქართველოს ბაზრებზე ხშირად ისეთი მდარე ხარისხის პროდუქცია იყიდება, რომელიც დასავლეთში ბაზარზე პრაქტიკულად ვერც მოხვდებოდა, ხოლო მოხვედრის შემთხვევაში მწარმოებლის და შემომტანის დაპატიმრებით დასრულდებოდა.

ამას ყველაფერს ყოველგვარი თვითგვემის გარეშე ვამბობ. როგორც მეცნიერი ვაფიქსირებ დღეს არსებულ ვითარებას, რომელიც ობიექტური ისტორიული პირობებითაა განსაზღვრული და არა ჩვენი განსაკუთრებული გენებით და ა.შ. მოვა დრო და ჩვენც შევიცვლებით.

***— ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ არ დაიშლება, ხოლო ის ადამიანები, ვინც კოალიციიდან გავლენ, ძლიერ იზარალებენ. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ასე დარწმუნებული პრემიერი, რომ კოალიცია არ დაიშლება?***

— საქმე ის არის, რომ კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს არ გააჩნიათ არც პოლიტიკური, არც მატერიალური რესურსი დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობისათვის. რომ არა ივანიშვილის ფაქტორი, ვერც ერთი მათგანი საპარლამენტო ბარიერსაც ვერ გადალახავდა. ივანიშვილი მართალია, როცა აცხადებს (ვციტირებ), რომ კოალიციიდან ყველას შეუძლია გადახტეს, მაგრამ ვინც გადახტება, კისერს მოიტეხს. სხვა საქმეა, რამდენად რაციონალურად აზროვნებენ კოალიციის პოტენციურად ,,ამრევი“ წევრები. რამდენად ესმით, რომ თუ გადახტებიან, კისერს მოიტეხენ. ამას მომავალი გვაჩვენებს.

***— მერაბიშვილი ციხიდან გააქტიურდა და ვანგას მსგავსად იუწყება, რომ 28 ოქტომბერს რუსეთი საქართველოში არეულობას დაიწყებს და ამის ავანგარდში მერაბიშვილი ბურჯანაძეს ასახელებს. ბურჯანაძის პარტია კი ითხოვს მერაბიშვილის ფსიქიკურ შემოწმებას. რას ნიშნავს მერაბიშვილის ეს განცხადება?***

— მომივიდა ხმები, რომ სააკაშვილიც ეუბნება უცხოელებს, რომ არჩევნების შემდეგ შეიძლება ქვეყანაში არეულობა დაიწყოს და სამოქალაქო ომიც კი მოხდეს, ქვეყანაში არსებული ,,დაპირისპირების“ გამო. ზოგს მიაჩნია, რომ ნაცისტები თვითონ ეცდებიან არეულობის წამოწყებას იმ იმედით, რომ რუსეთი ჩაერევა. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი არ ჩაერევა, ნაცისტების ნარჩენებს კი არეულობის წამოწყების რესურსი აღარ აქვთ.

რაც შეეხება ბურჯანაძეს. ყველას ახსოვს ტელევიზიით გადმოცემული მისი სატელეფონო საუბარი ვაჟიშვილთან, სადაც სწორედ იმაზეა ლაპარაკი, რომ სააკაშვილის მხრიდან ხალხის დარბევის შემთხვევაში რუსული ნაწილები შემოვა და სააკაშვილის რეჟიმი დაემხობა. რამდენადაც ვიცი, არავის ეპარება ეჭვი ამ ჩანაწერის აუტენტურობაში. 2011 წლის 25 მაისს მე ტელევიზიით გავაფრთხილე ყველა, რომ რუსთაველის გამზირის გადაკეტვის ორგანიზატორები ყველაფერს გააკეთებენ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ხალხი დაარბიოს და ამას გააკეთებენ იმის იმედით, რომ მსხვერპლი იქნება და ამ დარბევას თვითონ სააკაშვილი გადაყვება. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ დღეს სხვა ვითარებაა, და ბურჯანაძის გარემოცვაში მყოფი ადამიანები ავანტიურაზე ვერ წავლენ.

***— თეა თუთბერიძემ, ცნობილმა კმარელმა ქალბატონმა ამას წინათ საგაზეთო კომენტარში განაცხადა, რომ მერაბიშვილი რუსეთის სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებდა და ციხის კადრები მისი ხელშეწყობით გავიდა გარეთ. ცნობილია, რომ რამდენიმე თვის წინ ახალაიასა და მერაბიშვილს შორის ძლიერი დაიძაბა ურთიერთობა. რას ფიქრობთ ამ ინფორმაციაზე და ხომ არ მოხდება ნაცმოძრაობის შიგნით პოლიტიკური წმენდა?***

— ვიზიარებ დათა ახალაიას წერილის პათოსს, რომ მერაბიშვილის ბოლო პერიოდში ებრძოდა ახალაიებს და ამ ბრძოლაში ქვეყნის ინტერესების შელახვასაც არ ერიდებოდა. სხვა საქმეა თვითონ ახალაიები (მამის ჩათვლით) რას ჩადიოდნენ. სავსებით შესაძლებელია (ცხადია დოკუმენტურად ვერ ვასაბუთებ), რომ მერაბიშვილმა ციხის კადრების უცხოეთში გატანასაც შეუწყო ხელი. მერაბიშვილი მაშინ იმდენად თვითდაჯერებული იყო, რომ სწამდა — ციხის კადრები მას ვერაფერს დააკლებდა — ყველაფერი ახალაიებს დაბრალდებოდა. ამით მათ მოიშორებდა და საკუთარ პოზიციებს საბოლოოდ გაამაგრებდა. თავიდან თითქოს ასეც ვითარდებოდა ყველაფერი. ბაჩო ახალაია წავიდა თანამდებობიდან და სააკაშვილმა მერაბიშვილს დაავალა ,,ვითარების გამოსწორება’’. მერაბიშვილიც საზეიმოდ ირწმუნებოდა, რომ ციხეებში ძალადობას ისევე აღმოფხვრიდა, როგორც აღმოფხვრა პოლიციაში და მთელ ქვეყანაში კორუფცია და ა.შ.

რაც შეიძლება ნაცისტების რიგებში წმენდას, ის უკვე მოხდა მინიმალური დოზით. ძირითადად კი, ვინც შეეძლო, თვითონ დატოვა ნაცისტების რიგები.

***— ბოლოს მინდა გკითხოთ სპორტის სასახლეში სააკაშვილის გამოსვლასთან დაკავშირებით, როგორია თქვენი აზრი?***

— გამოსვლა იყო სრულიად მარაზმატული. ისევე, როგორც სააკაშვილის მიერ გამოგონილი ახალი დროშა, რომელმაც ამდენი ასოციაცია და ხუმრობა გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ სააკაშვილის გამოსვლის დროს, თავიდან სავსე დარბაზი უკვე თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ ის ტრიბუნა იყო სავსე, რომელსაც სააკაშვილი უყურებდა გამოსვლისას. მომივიდა ხმები და პრესაშიც გაჟონა, რომ ყრილობაზე ბევრი დამსწრე თან ტაშს უკრავდა თან დასცინოდა სააკაშვილს შესაბამისი ლექსიკონის მოშველიებით.

# მარინა მოლოდინი: „იძულებული ვარ, მთის გადასარჩენად ქალები დავრაზმო!“

## ვინ და რატომ ჩააგდო მთის კანონი

შორენა მარსაგიშვილი



**წლების წინ მოქალაქეთა კავშირმა დიდი ზარ-ზეიმით დაამტკიცა მთის კანონი. ამ კანონის ამოქმედების შემთხვევაში საქართველოს მთიანი რეგიონები მართლაც ამოისუნთქავდა და მიგრაციაც შეჩერდებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მთიანი რეგიონების დიდი ნაწილი საზღვრისპირას მდებარეობს, იქაურობის დაცლა ხელისუფლებას არ უნდა აწყობდეს.**

სამწუხაროდ, მოქალაქეთა კავშირმა ეს კანონი ცხოვრებაში ბოლომდე ვერ გაატარა, მთიან რეგიონებში კი ვითარება სერიოზულად გართულდა. დღეს ყველანი დიცსა და დვანში არსებულ ვითარებას აპროტესტებენ, თუმცა რატომღაც ყველას ავიწყდება, რომ რუსების მხრიდან მცოცავი ოკუპაცია საქართველოს სხვა რეგიონებშიც ხორციელდება. ამ მხრივ ყველაზე მეტად რუსები ხევსურეთსა და თუშეთში აქტიურობენ.

მთის კანონის ამოქმედების პირობა თავის დროზე ნაციონალებმაც დადეს, თუმცა, როგორც სხვა დაპირებები, არც ეს შეასრულეს. ამ დაპირების შესრულებას არც საოცნებო ხელისუფლება ჩქარობს. არადა, არჩევნებამდე დეპუტატების კანდიდატები ამტკიცებდნენ, რომ მთის კანონი თითქმის უკვე დაწერილი იყო.

თავის დროზე მთის კანონის პროექტის ავტორი და ინიციატორი დეპუტატი მარინა მოლოდინი იყო, რომელსაც მთიანი რეგიონებისთვის ბევრი აქვს გაკეთებული. დეპუტატობის ჟამს ხშირად გამოდიოდა პარლამენტში სიტყვით და აღმასრულებელ ხელისუფლებას მთის პრობლემების უყურადღებობის გამო მწარედ აკრიტიკებდა.

ახლა პარლამენტში ამაზე ხმას არავინ იღებს. ყველა გაყუჩებულია, თითქოს ქვეყანა ყვაოდეს. მათგან განსხვავებით, ყოფილი დეპუტატი მარინა მოლოდინი მთაში არსებულ პრობლემებს შიშით უყურებს. ის ისევ მთის კანონის მიღებას ითხოვს.

რატომ გადაწყდა თავის დროზე მთის კანონის მიღება, რა შედეგები მოიტანა მან და რატომ არის მისი ხელახალი ამოქმედება საჭირო, რას აპირებენ ქალები მთის გადარჩენისთვის ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი მარინა მოლოდინი ესაუბრება.

**მარინა მოლოდინი:**

— სამწუხაროდ, ხელისუფლებაში მოდიან ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერება. უმეტესობას, რომელიც ქვეყნის ბედს წყვეტს, ზერელე და ზედაპირული წარმოდგენა აქვს იმ რთულ ფენომენზე, რომელსაც საქართველო ჰქვია. ამ ფენომენს რომ ჩასწვდე, ცოდნა და გამოცდილება გჭირდება, უნდა იცნობდე და იცოდე შენი ქვეყნის ისტორია, მისი ზნე-ჩვეულება, მისი ტრადიცია. უნდა იცოდე, რითი ცხოვრობს შენი ქვეყნის თითოეული კუთხე, რამდენად თავისებური და განსხვავებულია თავისი სოციალური ტრადიციით, განსხვავებული ენობრივი, რელიგიური, კულტურული ტრადიციებით. შეიძლება, ჩემგან უცნაურად ან აჩემებად მოგეჩვენოთ, მაგრამ არაერთხელ მიკამათია „ქალაქელ“ დეპუტატებთან იმის გამო, რომ ვამტკიცებდი, საქართველოს სიძლიერე მთიდან იწყება და თუ გინდათ, ბარი ძლიერი იყოს, მთას მივხედოთ-მეთქი. საქართველო არ არის მხოლოდ თბილისი, ქუთაისი, მცხეთა, გორი, ზუგდიდი. საქართველო არის — ეს ყველაფერი ერთად აღებული. ეს კარგად ესმოდა ბატონ ზურაბ ჟვანიას.

***— თუ კარგად მახსოვს, ის დაგეხმარათ მთის კანონის მიღებაში.***

— მარტო დაგვეხმარა კი არა, სწორედ მას მიუძღვის უზარმაზარი წვლილი იმაში, რომ მაშინ მთის კანონი მივიღეთ. არასოდეს დამავიწყდება მისი სიტყვები: „სოფელ არხოტში, რომელიც განლაგებულია მდინარე ასას ხეობაში, შედის სამი პაწაწინა დასახლება-სოფელი, რომელთაგან თითოეულში 4-5 კომლია. ტერიტორია, რომელზეც ასე ცოტა კომლი სახლობს, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებს არ უკავშირდება არანაირი კომუნიკაციის საშუალებით. აქ ზამთარში ხევსურთა ორი-სამი ოჯახიღა რჩება. მაგრამ, აი, ეს სოფელი არხოტია პრინციპულად მნიშვნელოვანი ინგუშეთსა და ხევსურეთს შორის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციული ურთიერთობების შესანარჩუნებლად. ამ პაწაწინა რამდენიმე სახლის დაკარგვა შეიძლება არანაკლები ტრაგედია იყოს, ვიდრე ბევრად უფრო დიდი ტერიტორიის ჩამოცილება.“ ცხონებულ ზურაბ ჟვანიას კარგად ესმოდა ამ ყველაფრის მნიშვნელობა.

***— სხვებს არ ესმით?***

— ასე გამოდის. როცა პასუხისმგებლობას იღებ შენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, როცა მიდიხარ აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ორგანოში, უნდა გესმოდეს, რა არის მნიშვნელოვანი შენი კუთხისთვის. მაგალითად, აჭარისთვის მნიშვნელოვანია, როგორი ურთიერთობა ექნება თურქეთთან და რამდენად გახსნილი იქნება მისთვის კეთილმეზობლური და ეკონომიური შესაძლებლობები, ზუსტად უნდა იცოდე, რა პრობლემები აქვთ ჯავახეთის სოფლებს, თუშისთვის განმსაზღვრელია, როგორი ურთიერთობა ექნება ჩეჩნეთთან ან დაღესტანთან, ყაზბეგს ჩრდილოეთ ოსეთთან და ასე შემდეგ. ამიტომ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ვცხოვრობთ რეგიონში, სადაც არის მუდმივი კონფლიქტი. სწორედ იმ უგნური ჩინოვნიკების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ მთის კანონს არა მხოლოდ ეკონომიკური, პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია. მთაში აღორძინებულმა ეკონომიკურმა ზრდამ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური სტაბილურობა საზღვრისპირა რეგიონებში და კიდევ უფრო გამოკვეთოს საქართველოს წარმმართველი როლის მნიშვნელობა კავკასიაში. ყველა ხედავს ჩეჩნეთსა და დაღესტანში გაჩაღებულ უგუნური ომის საფრთხეს, რომლის კვალობაზეც ღვივდება მტრობა და შუღლი კავკასიელ ხალხებს შორის. ამის აღკვეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი კი მთის პოლიტიკა და ეკონომიკური სიჯანსაღე გახლავთ.

***— პირადად თქვენ რას აკეთებთ იმისათვის, რომ ეს პრობლემები მოგვარდეს?***

— მე დეპუტატი არა ვარ და კანონშემოქმედებით საქმიანობას ვერ ვეწევი, თუმცა ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ მთის კანონმა თავისი საქმე გააკეთოს. ეს საკითხი რაც შეიძლება მალე უნდა მოვაგვაროთ. მკითხეთ, რას აკეთებთო. ახლა, მოდით, გეტყვით, რა გავაკეთე. გახსოვთ, ალბათ, წლების წინ მიწისძვრამ და შემდეგ სტიქიამ როგორ გაანადგურა ფშავ-ხევსურეთმთიულეთი. დაზარალდა ყაზბეგის რაიონი, რაჭა, აჭარის მთიანეთი, სვანეთი. სოფლები დარჩა კომუნიკაციის გარეშე. აღარც გზები, აღარც ხიდები, წყალმა წაიღო ელექტროგადამცემი ხაზები. ხალხი დარჩა ელექტროენერგიის გარეშე, დაიხურა სკოლები, რადგან მოსწავლეები ვერ იხდიდნენ სწავლის საფასურს, დაუცველი იყო საზღვრები. სწორედ მაშინ მე და ჩემმა მეუღლემ, კობა ბუჩუკურმა, მივმართეთ ბატონ ზურაბ ჟვანიას იდეით, ვთხოვეთ, იქნებ რაიმე სახის შეღავათი მიგვეცა მთის მოსახლეობისათვის. იმავე ღამეს დავწერეთ თეზისები, რომელიც ბატონმა ზურაბმა გადასცა თენგიზ ონიანს და დაავალა, მეცნიერთა ჯგუფთან ერთად დაეწყოთ მუშაობა კანონპროექტზე. კანონის ამ სახით შექმნაში დიდი მუშაობა გასწიეს პროფესორმა ბერდო გოიშვილმა, დეპუტატმა და კომიტეტის თავმჯდომარემ გურამ შარაძემ, საზოგადოება „არაგველმა“, ბატონ ოთარ დუდაურის ხელმძღვანელობით, საზოგადოება „ლემმა“, დეპუტატმა გოგი ბიჭაშვილმა ,გიორგი გოგოჭურმა, ბალათერ და კობა არაბულებმა და ა.შ. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მთის კანონმა საბოლოოდ „მთის კონსტიტუციის“ სახე მიიღო და მისი თითოეული მუხლი კეთილი ნების დიდი ძალისხმევისა და დიდი შრომის ფასად იქნა მიღებული. მარტო ის რად ღირდა, რომ არხოტში, შატილსა და ჯუთაში, სვანეთში აღდგა ვერტმფრენის რეგულარული საჰაერო რეისები და იმ დროს, როცა რესპუბლიკის ბიუჯეტს უჭირდა პედაგოგები და პენსიონერები ხელფასს და პენსიას ვერ იღებდნენ, ბიუჯეტიდან 80 000 ლარი გამოიყო ვერტმფრენის სუბსიდირებისათვის, სოფლად 3 ბავშვზე იხსნებოდა სკოლები. გვესმოდა რა სალ კლდეებს შეჯახებული ქართველი კაცის ომახიანი შეძახილის ექოს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, ჩვენ მთიელებს უფლება მივეცით, სასაზღვრო ჯარშიც ემუშავათ და ადგილობრივ თვითმართველობაშიც. პენსიონერი პედაგოგები ხელფასთან ერთად პენსიასაც იღებდნენ, გაუქმდა სწავლის საფასური, ხალხი გათავისუფლდა მიწის გადასახადისაგან, შემცირდა საპენსიო ასაკი, დავაწესეთ საგადასახადო შეღავათები ბიზნესის განვითარებისათვის. ამუშავდა „იფალის“ პროგრამა, რომელიც შემდეგ ზოგიერთმა ჩინოვნიკმა გამდიდრების წყაროდ გამოიყენა. ამ პროექტს ჩვენ მოგვიანებით დავუბრუნდებით და ყველა ის ადამიანი, ვინც „იფალის“ ფულით გამდიდრდა, დაისჯება!

***— როგორც ვიცით, მთის კანონი, რომელსაც თქვენ მთის კონსტიტუცია უწოდეთ, აღარ მუშაობს. რამდენი წელი იმუშავა ამ კანონმა?***

— ვარდების რევოლუციამდე კანონი მშვენივრად მუშაობდა. ამ კანონმა მთაში გააჩინა იმედი. ხალხი ხედავდა, რომ პარლამენტში გაჩნდა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ფიქრობდა მთის მოსახლეობის პრობლემებზე. ჩემი თხოვნით პარლამენტში შეიქმნა მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტი, რომელიც ვარდოსნების პარლამენტმა გააუქმა.

***— რატომ გააუქმეს?***

— განმარტებებით თავი დიდად არ შეუწუხებიათ. ეს კომიტეტი რეგიონული თვითმმართველობის კომიტეტს შეუერთეს, რაც მე პირადად დიდ დანაშაულად მიმაჩნია. შეჩერდა კანონიც. მე მაინც არ ვჩერდებოდი, დავიწყე ახალ კანონპროექტზე მუშაობა. ორჯერ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ „მთის კომისიასთან“ და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად პარლამენტში სამუშაო შეხვედრაც ჩავატარე, მაგრამ კანონპროექტი დაიბლოკა.

***— ვინ დაბლოკა?***

— ნაციონალურმა მოძრაობამ. კანონპროექტი დაიბლოკა, რადგან მთა და მთის მოსახლეობა „ვარდოსანი“ ხელისუფლებისათვის პრიორიტეტული არ აღმოჩნდა. ისინი მხოლოდ „კომუნისტური“ დღესასწაულების ჩატარებით იწონებდნენ თავს, რომელიც მხოლოდ პიარზე იყო გათვლილი.

***— ამ დღესასწაულებს რას უწუნებთ?***

— არაფერს. უბრალოდ, როცა ვაჟაობას, შატილობას თუ თუშეთობას ატარებ, იმ ხალხის პრობლემებს უნდა ჩახედო! გაუსაძლისი და გმირობის ტოლფასია დღეს მთაში ცხოვრება. მოშლილი კომუნიკაციები, თვეობით ცენტრს მოწყვეტილი მოსახლეობა, დახურული სკოლები და იძულებით ჩამოსახლებული მოსახლეობა, უმუშევრობა, გაყიდული საძოვრები და ათასობით პრობლემა. ვარდოსნებისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, გაეყიდათ საძოვრები მთიელებისთვის, ის საძოვრები, რომელზეც მთელი თავისი ფესვებით არის მიბმული, ვიდრე გაეწიათ დახმარება ამ ხალხისთვის. ალბათ, მთის რეგიონების დეპუტატების პასიურობის და მათი არასახელმწიფოებრივი მიდგომის შედეგია ის, რომ დღეს მთის კანონი თაროზეა შემოდებული.

***— და, სავარაუდოდ, არც ჩამოიღებენ თაროდან.***

— არც ასე უიმედოდ არის საქმე. ვიცი, რომ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისა და ჩემი რაიონის დეპუტატ ირაკლი ტრიპოლსკის დიდი სურვილია მთის კანონის ამოქმედება. მანამდე კი მე ვაპირებ გარკვეული ნაბიჯების გადადგმას.

***— რა ნაბიჯების?***

— ყველაფერს გავაკეთებ, რომ მთის წინაშე არსებული პრობლემებით საზოგადოება დაინტერესდეს. სწორედ მთის რეგიონებში შექმნილმა პრობლემებმა გადამაწყვეტინა, შემექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მთის გადარჩენისათვის“.

***— ქალების ერთობას ქმნით?***

— ასე გამოდის. იძულებული გავხდი, მთის გადასარჩენად ქალები დამერაზმა.

***— რატომ მაინცდამაინც ქალები? ფიქრობთ, რომ ამ პრობლემას კაცები გულთან ახლოს არ მიიტანენ?***

— როგორ არ მიიტანენ, მაგრამ ამ ეტაპზე არჩევანი ჩვენს ქალებზე შევაჩერე. ქალებს ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია და ამ საქმესაც კარგად მოვაბამთ თავს. ვფიქრობ, ჩვენი ერთობა მარტო კი არ გაააქტიურებს ამ თემას, არამედ საყოველთაო მსჯელობის საგნად გადააქცევს. ეს იქნება ორგანიზაცია, რომელიც იბრძოლებს ყველა იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომლებიც დღეს ასე აწუხებს მთის მოსახლეობას. ამისთვის კი ჩვენი ჯგუფი მზად არის. ჩვენ გვაქვს პროგრამა როგორ უნდა განვავითაროთ საზღვრისპირა სოფლები, პროგრამები ტურიზმის განვითარების შესახებ.

***— ახალი მთის კანონისთვის ვერ მოიცალეთ?***

— როგორ ვერ მოვიცალე. უკვე მზად მაქვს მთის კანონის პროექტი, რომელიც ახლებურ მიდგომას საჭიროებს. მაქვს კონტაქტი ჩემს ყოფილ კოლეგებთან საზღვარგარეთ და ვმუშაობთ ერთობლივ პროექტებზე, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, არაერთ ჩინოვნიკს მივმართე და დღემდე ვერ მივიქციე ხელისუფლების ყურადღება ამ საკითხთან დაკავშირებით. არადა, ჩვენი პროექტების განხორციელება ქვეყანაში ბევრ ინვესტიციას შემოიტანს. თუკი ჩვენს მთავრობაში მართლა ვინმეს აინტერესებს მთიანი რეგიონების პრობლემა, იქნებ დაინტერესდნენ და მოგვისმინონ.

## „თითქმის დავრწმუნდი, რომ ჩემი შვილი საპყრობილეში არ მოუკლავთ“

„ამის შესახებ ქუთაისის საპყრობილეში გარდაცვლილი არასრულწლოვნის მამამ დავით ძველაიამ იმ საკნის დათვალიერების შემდეგ განაცხადა, სადაც მისი შვილი იმყოფებოდა.

„დღემდე ოჯახი დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი შვილი მოკლეს და შემდეგ ჩამოკიდეს, თუმცა დღეს მინისტრმა სოზარ სუბარმა და საპყრობილის დირექტორმა დამათვალიერებინა მისი საკანი, მაჩვენა ჩემი შვილის მიერ შექმნილი ნახატები და რამდენიმე დღის წინ ჩემს მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ ბავშვს მარჯვენა ხელი პარალიზებული ჰქონდა, ერთი ხელით კი მარყუჟს ვერ გააკეთებდა, გამიქარწყლდა. ასევე, მაჩვენეს ჩემი შვილის მიერ დაწერილი განცხადება იმის შესახებ, რომ მას საკანში მარტო ყოფნა უნდოდა, ეს განცხადება მან დაზიანებული ხელით დაწერა. თუმცა, 100%-ით დავრწმუნდები მაშინ, როცა სენაკში ჩავალ და იმ დეტალს გავარკვევ, რომელიც ჯერ არავისთვის ცნობილი არ არის“, — განაცხადა დავით ძველაიამ.

გარდაცვლილი არასრულწლოვნის საკანში სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა გიორგი ძველაიას ოჯახის წევრები დღეს დამოკიდებელ ექსპერტთან მაია ნიკოლაიშვილთან ერთად შეიყვანა. ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მათ 3 საათზე მეტხანს დაჰყვეს.

**პირველი**

## მინდელის შახტაში ჭერის ჩამონგრევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა

შახტაში მიკროდარტყმის შედეგად ჭერი ჩამოინგრა და მე-6 სანგრევის მუშა ლევან მეფარიძე გარდაიცვალა. როგორც „პირველის“ ადგილობრივ კორესპონდენტს შპს „საქნახშირის“ გენერალურმა დირექტორმა ვალერი კუხალაშვილმა განუცხადა, შემთხვევა გამთენიისას მოხდა, სამაშველო სამსახურმა დაშავებულის ნანგრევებიდან გამოყვანა მალევე მოახერხა, თუმცა ის საავადმყოფოში გადაყვანამდე გარდაიცვალა.

„შუაღამისას, მინდელის სახელობის შახტაში უბედური შემთხვევა მოხდა. დაგვეღუპა 1980 წელს დაბადებული თანამშრომელი. მიუხედავად იმისა, რომ სამაშველო სამსახურმა მისი გამოყვანა მალე მოახერხა, გადარჩენა ვერ შევძელით“, — განაცხადა კუხალაშვილმა.

**პირველი**

## 42-ე ბატალიონის 155 სამხედრო მოსამსახურე სამშობლოში დაბრუნდა

6 თვის განმავლობაში ჯარისკაცები აისაფის მისიაში წარმატებით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები აშშ-ის საზღვაო ქვეითების მხარდაჭერით სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდნენ.

ქართველ სამშვიდობოებს აეროპორტში გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი არსენ ცუხიშვილი, მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი ზაზა ლელაძე და გაერთიანებული შტაბის სხვა ოფიცრები დახვდნენ.

გეგმიური როტაციით 42-ე ბატალიონის ჯარისკაცები ავღანეთში ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედროებმა ჩაანაცვლეს.

**პირველი**

## 7-წლიანი პაუზის შემდეგ ქართული ხილისთვის რუსეთის ბაზარი ხვალიდან გაიხსნება

საქართველოდან რუსეთში, მცენარეული წარმოშობის პროდუქციის — თხილის, ციტრუსების, ყურძნის, ვაშლის, მსხლისა და ხილის სხვა სახეობის ექსპორტი ხვალიდან განახლდება. ამის შესახებ, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილისა და რუსეთის ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელს შორის გამართული შეხვედრისას გადაწყდა.

7-წლიანი პაუზის შემდეგ საქართველოდან მცენარეული წარმოშობის პროდუქციის შეტანის შესახებ გადაწყვეტილება „როსსელხოზნადზორის“ ხელმძღვანელმა მიიღო. მოლაპარაკებები ქართულ და რუსულ მხარეებს შორის 7 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

რუსი სპეციალისტები საქართველოს ფიტოსანიტარული სერტიფიცირების სისტემას გაეცნენ. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დაათვალიერეს ხილის, ციტრუსისა და თხილის პირველადი გადამუშავების, დახარისხებისა და შესანახი საწარმოები, ასევე სასათბურე მეურნეობები.

სპეციალისტები გაეცნენ საექსპორტო პარტიების ფორმირებისა და ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების პროცესის ტექნიკურ დეტალებსაც. 2013 წლის 28 ივნისიდან რუსეთში უკვე დაშვებულია დაბალი რისკის შემცველი პროდუქცია -ჩაი, დაფნა, ჩირი და ა. შ. უკვე ხვალიდან კი, რუსეთში ქართული თხილის, ციტრუსის, ყურძნის, ვაშლის, მსხლისა და კომშის შეტანა გახდება შესაძლებელი.

**ნიუსპრესი**

# ანზორ აბრალავა: „ივანიშვილს გადადგომის უფლება არა აქვს“

შორენა კოწოწაშვილი

**რამდენად სწორად არის არგუმენტირებული სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირების საკითხი, როდის იყო ბიძინა ივანიშვილი მართალი და ნანობს თუ არა ის რესპუბლიკელების ხელისუფლებაში მოყვანას? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მოძრაობა „სოლიდარობის“ თავმჯდომარესთან, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ ანზორ აბრალავასთან.**



***— ბატონო ანზორ, რას იტყვით სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა-არმონაწილეობასთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟზე? რატომ განაახლა რუსეთმა მცოცავი ანექსია, პრემიერის რბილმა პოლიტიკამ რუსეთთან მიმართებაში არ გამართლა?***

— ყველაფერს შესაბამისი შეასწავლა სჭირდება. საჭიროა პროფესიული ანალიზი ანუ რა გვაქვს რეალობა და როგორი უნდა იყოს ის სამომავლოდ. შეფასებებში ბევრ შეცდომას ვუშვებთ. გადაჭარბებული წარმოდგენა გვაქვს ნატოზე და ევროკავშირზე. საკუთარ შესაძლებლობებზე. ეს ყველაფერში ხელს გვიშლის. პოლიტიკოსების არც ერთი პროგნოზი არ მართლდება. რუსეთთან დაკავშირებითაც ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ახლა უფრო კონკრეტულად: მხედველობაში მაქვს ოლიმპიადის ბოიკოტირების თემა და რუსეთთან მიმართებაში გაკეთებული განცხადებები. რუსეთს აქვს სტრატეგიული მიზანი, საუკუნოვანი კურსი, რომელიც ადვილად არ შეიცვლება. მას უნდა საზღვრები გადმოწიოს. ეს რომ არ გაკეთებულიყო, აქეთა მხრიდან სხვა მიდგომა უნდა ყოფილიყო. ომის ლოგიკა ასეთია, როცა აგებ, უნდა მიიღო და ემზადო შესაბამისი მოქმედებებისთვის. ივანიშვილის პირველი ვიზიტი მოსკოვში უნდა ყოფილიყო. მაგრამ მან ანგარიში გაუწია პოლიტიკურ კონიუნქტურას და გარკვეული პოლიტიკური ძალების უმეცრებას, რომელიც აგებულია მხოლოდ ემოციაზე, პოპულიზმზე. რუსეთში წარმომადგენლის დანიშვნა კარგია, მაგრამ უშუალოდ პირველი პირების დონეზე მოლაპარაკებები, უმთავრესი.

***— ივანიშვილის მოსკოვში ვიზიტი იმ ეტაპზე უარყოფითად შეფასდებოდა. ფაქტია, ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხს დღეს სამოქალაქო სექტორი აპროტესტებს და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულს უწოდებს...***

— რაც შეეხება ოლიმპიადასთან დაკავშირებით ატეხილ ხმაურს, მსგავსი უარგუმენტო მსჯელობა არ მსმენია. ნეტჩაევს რომ ჩირაღდანი უჭირავს, თურმე ამის გამო არ უნდა წავიდეთ ოლიმპიადაზე. კი მაგრამ, ამ მფრინავს ბრძანებას ვინც აძლევდა და რომელი სახელმწიფოს სახელითაც ის მოქმედებდა, იმ ქვეყანაში რომ ტარდება ოლიმპიადა, ეს არ არის არგუმენტი?! თუ გინდა არგუმენტ იმისათვის, რომ უარი თქვა ოლიმპიადაზე წასვლაზე, სათანადო არგუმენტი უნდა თქვა. ეს არ არის სათანადო არგუმენტი. ეს არის არაფრისმთქმელი. ჯარისკაცებს პასუხს ასე არ სთხოვენ. ოლიმპიადის თემას ეს რატომ მიაბეს? ეს ჩვენი პოლიტიკური სპექტრის უმეცრებაზე მეტყველებს, იმ ნაწილის, ვინც გამოდის და ასეთ შეფასებებს აკეთებს. მეორე არის აყოლა ვინმეზე, ვაი, თუ ვინმემ არაპატრიოტობაში ჩამომართვას და ბოიკოტი გამოვუცხადოთო. ამის გამო ბოიკოტის გამოცხადება, სისულელეა. ოლიმპიადის ბოიკოტისთვის ყველა პირობა არსებობს. მოდით, არგუმენტები დავალაგოთ და ვთქვათ, რომელია ძლიერი. პირველი — ნეტჩაევი, რომელსაც ხელში ჩირაღდანი დააჭერინეს; მეორე — რუსეთის დღევანდელი ხელმძღვანელობა, რომელიც მაშინაც იყო ხელისუფლების სათავეში და ეს ყველაფერი დაგეგმა; მესამე — ახლახან გავლებული მავთულხლართები. მხოლოდ ნეტჩაევზე ატყდა ხამური. თურმე, იმას რატომ უჭირავს ჩირაღდანი. მსგავსი სისულელე არც კი გამიგია. ამაზე მიდის მსჯელობა უკვე კვირებია. ჩვენ გვაქვს არგუმენტები: ქვეყანა, რომელიც ატარებს აგრესიულ კურსს; ქვეყანა, რომელიც არ ითვალისწინებს საერთაშორისო საზოგადოების აზრს; ქვეყანა, რომელიც ყველას თვალწინ ცვლის ჩვენს საზღვრებს და აკეთებს დემარკაციას, ჩვენ ვერ მივიღებთ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ჩატარებულ ოლიმპიადაში მონაწილეობას. საკითხი ასე რომ დაისვას, აბსოლუტურად გასაგებია. თუ ოლიმპიადის ბოიკოტზეა ლაპარაკი, მე შემიძლია არგუმენტი მოვიყვანო, რატომ უნდა გამოვუცხადოთ მას ბოიკოტი.

***— საქართველომ სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს?***

— ეს საკითხი უნდა გავიაზროთ სახელმწიფოებრივი პერსპექტივის თვალსაზრისით. აქ სააკაშვილისა და ვინმეს ხუშტურები კი არ უნდა იყოს მთავარი, ჩვენი სახელმწიფოებრიობის ბედი წყდება. ეს გავლებული მავთულხლართები ახლა არ მიგვაჩნია არაფრად. აბა, გადახედეთ მომავლის თვალით... ეს არის რეალურად გავლებული საზღვარი. ჩვენ ვუბრუნდებით მეფის რუსეთის დროინდელ სქემას, რომელიც ითვალისწინებდა ავტონომიზაციას. უპირველესად ეს საკითხი განიხილებოდა საქართველოსა და ბალტიის ქვეყნებისთვის, რა სახით უნდა ყოფილიყვნენ რუსეთის შემადგენლობაში. საბჭოთა რესპუბლიკების მოდელი, ეს მეორე მოდელია. იგივე საბჭოთა პერიოდში განიხილებოდა სტალინური მოდელი. ვინც ისტორია იცის, იმან ეს იცის. ვინც არ იცის, ისინი არიან ახლა რომ ყბედობენ. მაპატიოს საზოგადოებამ, ასე რომ ვსაუბრობ, მაგრამ ახლა ისეთი დროა, სხვა შეფასებას ვერ მივცემ.

***— ხელისუფლებას პრობლემები მართვაში საგარეო კუთხითაც აქვს? ნაციონალებისა და ოცნების თანამშრომლობაზე ხმებმა ხალხში უკმაყოფილება გააჩინა.***

— საერთოდ, პრობლემების გადაწყვეტას, გაბედული ნაბიჯები სჭირდება. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ გაბედული ნაბიჯები ვერ გადადგა. ვაი, რას იტყვიან და ვიშ-ვიშის დრო არ არის. მტკიცე ნაბიჯები უნდა გადადგა, თუნდაც ეს არაპოპულარული იყოს. ეს არ არის არც 1991 წელი, არც – 2008. მეტსაც გეტყვით: მნიშვნელოვანი მისია ეუთოს დამკვირვებლების, ხომ გავიდა ჩვენგან. უცხოელი დამკვირვებლები რომ ჩამოდიან და მავთულხლართებთან ახლოს ინტერვიუებს რომ აძლევენ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, იმას აფიქსირებენ, რამდენად მშვიდად, მცირე ექსცესების ფონზე მიმდინარეობს მცოცავი ოკუპაცია — საზღვრის დემარკაციის საკითხი. დასკვნა მათი ასეთი იქნება: მიდის დემარკაცია, მაგრამ არ არის ძალიან მძაფრი რეაქციები მასზე. როცა ასეთი საკითხია, ერი უნდა იბრძოდეს. ეს უნდა იყოს პარტიზანული ბრძოლა და ა.შ. რა ტაქტიკაა არჩეული, ის ხალხი უკვე არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან ისე გამოჰყავდათ, თითქოს ურეკში მიდიოდნენ დასასვენებლად.

***— საით მიდის პოლიტიკური კურსი? ძველი და ახალი ხელისუფლების ნაბიჯები, მართლაც არის ხელშეწყობა, რომ ნაციონალები მეორე ძალად დაფიქსირდნენ?***

— კოალიციური მმართველობა მიდის იქითკენ და ამერიკული კვლევებიც იმას ემსახურება, რომ საქართველოში დამკვიდრდეს მართვის ე.წ. ამერიკულ-ბრიტანული მოდელი, როდესაც პარტიები ერთმანეთს პერიოდულად ჩაენაცვლებიან. ასეთი პარტიები აშშ-ში არის რესპუბლიკელები და დემოკრატები, ინგლისში კონსერვატორები და ლეიბორისტები. ჩვენც ასეთ მოდელზე დაგვსვეს — ნაციონალები და რესპუბლიკელები. ამერიკამ დაახლოებით ეს მოდელი შემოგვთავაზა და ესენიც ამ თამაშის წესებით თამაშობენ, ეს რეალობაა. ცალკეული რეაქციები, ძალით გაბრაზებები — არაფერს ცვლის. მართალია, „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მაგრამ რეალურად მმართველობაში გვაქვს შეზღუდული პრეზიდენტის ინსტიტუტი, შეზღუდული პრემიერი, მაგრამ საკმაოდ ძლიერი პარლამენტი, რომელიც რესპუბლიკელების ხელშია. არა მგონია, ივანიშვილმა რესპუბლიკელებზე შემთხვევით გააკეთა არჩევანი. ეს იყო მისი დიდი შეცდომა. ეს ქმედება, ასეთი ნულოვანი რეიტინგის მქონე პარტიის ასე გაპარპაშება, შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაული. სასაცილოა, რომ ამათგან ქმნიან პოლიტიკოსებს და ექსპერტების ჯგუფს, რომლებსაც თითქოს დიდი პროგნოზირება შეუძლიათ.

***— რისთვის ემზადება ამ ფონზე პრეზიდენტი სააკაშვილი?***

— სააკაშვილს ასე მარტივად ნუ შევხედავთ. მას ახლა მხარდამჭერები უფრო ქვეყნის გარეთ ჰყავს. ამით მნიშვნელოვნად არის წაქეზებული და ის გავა ქუჩაში. თუ დააკვირდით ბარნოვის მოქმედებებს, აშკარაა, რომ ისინი ქუჩის სტილზე გადადიან. დასამალი არაა, სააკაშვილი რევანშისთვის მოემზადება იმიტომ, რომ ხედავს, კოალიციის ლიდერები ბოროტად იყენებენ ქართველი ხალხის კეთილშობილურ გადაწყვეტილებას და ჩვენი ხალხის გულიბრყვილობას. რამდენი ადამიანი ზის ციხეში, რომელმაც იგივე საჭმელი მოიპარა. ნაციონალებმა ქვეყანა დააქციეს და პასუხს არავინ სთხოვს. ამიტომ ვუჭერ მხარს ნინო ბურჯანაძეს, რომ მას გამოკვეთილად გააჩნია სამართლიანობის აღდგენის კონცეპტუალური ხედვა. სამართალი უნდა აღსრულდეს. საზოგადოება სამართლიანობას ითხოვს და სამართალზე მაღლა არც ერთი პოლიტიკური ძალა არ უნდა დადგეს. ევროპის სახალხო პარტია ისეა, თითქოს ფაშისტებისთვის გამოეცხადებინოთ თანადგომა. ნაციონალებიც აპელირებენ — სახალხო პარტიამ თქვა, ვენეციის კომისიამ თქვა... ეს მსჯელობა პრიმიტიულ ხალხზეა გათვლილი. სირცხვილია ასეთი მსჯელობა. რატომ არის ქართველი ხალხი მოქცეული ასეთ მოჯადოებულ წრეში.

***— რადგან ბურჯანაძე ახსენეთ, იცნობთ მის ეკონომიკურ პროგრამას და რამდენად მისაღებია? ნაციონალები ეკონომიკის ვარდნას მთავრობის არასწორი ნაბიჯებით ხსნიან.***

— თუ გვინდა, რომ ქვეყანა მძიმე მდგომარეობიდან გამოვიდეს, ბურჯანაძე პირველ ძალად უნდა დაფიქსირდეს. დღეს საუბარი მიდის, ვინ რომელი ორიენტაციისაა საგარეო ურთიერთობებში. ორიენტაცია კი არა, საკითხი ასე დგას: საქართველო დამარცხებულია და ვიფიქროთ, ქვეყანა როგორ მოიქცეს შესაბამისად. ჩვენ სახელმწიფო აღარ გვაქვს, ეს არის ვირტუალური ქვეყანა. ამას სჭირდება გაანალიზება. სად არის ჩვენი ტერიტორიები, რას ვაკონტროლებთ. უფრო მეტს გეტყვით: თუ ახლა გონიერებას არ გამოვიჩენთ და ისევე ვისაუბრეთ, როგორც 2003-04 წლებში — ასლან აბაშიძე დაგვლუპავსო, ჩვენ კარგად ვნახეთ, ვინც დაგვლუპა. სააკაშვილი არის ანტიქართული მოვლენა, ქართველთ მოძულე, მან ყველაფერი გააკეთა, რომ პროვოცირებული ყოფილიყო სხვადასხვა მოქმედებები ქვეყნის შიგნით. ახლა ვუსმენდი აკვიატებულ აზრს — ქუთაისი უნდა იყოს საპარლამენტო დედაქალაქი. ჩამოაცალეთ სიტყვა საპარლამენტო და ნახავთ, რომ მიზანმიმართულად მიდის საუბარი ქუთაისი გახდეს საქართველოს დედაქალაქი. ასეთი პოლიტიკაა — თბილისი არ უნდა იყოს დედაქალაქი. ქართველმა ხალხმა ეს საფრთხე უნდა გაითავისოს. სააკაშვილს აქვს ეს ყველაფერი ასე აგებული. ის არის ავანტიურისტი, ოღონდ უმეცარი. მხოლოდ გაუნათლებელს შეუძლია ასეთ ავანტიურაზე წავიდეს.

***— მოდით, ბიზნესზე ვისაუბროთ. პარლამენტის თავმჯდომარემ ბიზნესის წარმომადგენლებს პირობა მისცა, რომ პარლამენტში ლობი ეყოლებათ. როგორ ფიქრობთ, რატომ არის დღეს ასეთი ჩავარდნა ეკონომიკაში, ნაციონალების მხრიდან, ვინც რეალურად ბიზნესს აკონტროლებს, საბოტაჟის ნიშნებია?***

— მე პირველად ვსაუბრობ ქართველ მეწარმეებზე და ადგილობრივ ბიზნესზე ასე კრიტიკულად. არც ერთი ქვეყანა ფეხზე არ დამდგარა, თუ იქ არ ერთვებოდნენ იმ ქვეყნის პატრიოტები. სამწუხაროდ, არც ღიად და მასშტაბურად, არც ფარულად ქართველი ბიზნესმენები პატრიოტების გვერდით არ დამდგარან. ეს არის უბედურება. გაიხსენეთ, ვინ ედგა გარიბალდის გვერდით, ან გერმანია როგორ გაერთიანდა. ჩვენთან ბიზნესი კუდრაჭობს მთავრობასთან და ამ პოლიტიკურ კონიუნქტურაში არის გართული ნაცვლად იმისა, რომ თავისი ქვეყნის საუკეთესო შვილებს და თავგანწირულ შვილებს უჭერდეს მხარს.

***— ანუ ბიზნესი დღესაც ხელისუფლებას აფინანსებს?***

— რა თქმა უნდა. პირდაპირ გეუბნებით, ხელისფლებასთან მაიმუნობენ. თუმცა, ეს ყველას არ ეხება. ბიზნესმენებმა შიში უნდა დაძლიონ. სამწუხაროდ, ისინი ეროვნულ იდეებს მხარს არ უჭერენ და ეს ცუდად დამთავრდება. ჩვენთან პირიქით არის — პატრიოტები მათხოვრები არიან, თაღლითები პარლამენტში არიან.

***— ზემოთ ჩამორთმეული ქონების არდაბრუნებას შეეხეთ, რომლის ღირებულებაც 7 მლრდ-მდეა. ეკონომისტები ამბობენ, რომ გასხვისებული ქონების დენაციონალიზაცია შეუძლებელია და გაჭირდება ამ ქონების ღირებულების დაფარვა.***

— უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ქონების შეძენა ბევრ შემთხვევაში საეჭვო ვითარებაში მოხდა. ამიტომ სამართლიანობის აღდგენა სად არის, ჩვენ მაინცდამაინც არ ვიცით. ამას ცოტა სხვა რაღაც სჭირდება. ამ ქონების პატრონების ნაწილი დღეს პარლამენტში ზის ნაციონალური მოძრაობის სახით. მათ იმუნიტეტი იცვათ. აქ საჭიროა საკითხი დადგეს ასე — არის ღიად წართმეული ქონება, რომელიც ადამიანებმა თავისი ნიჭით და შრომით მოიპოვეს. მეორე ჯგუფია თაღლითური ორგანიზაცია. მაგალითად ერთ-ერთი ასეთი ფაქტი მოხდა „თბილავიამშენში“. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, როგორ მოხდა იქ ქონების ხელში ჩაგდება, ჯერ ერთხელ, შემდეგ მეორედ. ორივე ნაწილი შესასწავლია.

***— „თბილავიამშენი“ ბაჩო ახალიას დროს ხომ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა?***

— კი, ერთხელ თავდაცვის სამინისტრომ წაიღო, მერე მცირე ჯგუფმა ჩაიგდო ხელში ეს ქარხანა აქციონერების გადაგდების გზით. ეს საქმე პროკურატურის შესასწავლია, მაგრამ დაზარალდნენ რიგითი აქციონერები, ხელოვნურად ხდებოდა გაკოტრება. მცირე ჯგუფმა ჩაიგდო ხელში ეს ქარხანა. დღეს მისი დირექტორი მიმალვაშია. პანტიკო თორდია კარგი ინჟინერი იყო, მაგრამ, როგორც მენეჯერმა, საწუხაროდ, ვერ გაამართლა. ბოლოს ისიც ჩაერთო ამ თაღლითურ სქემებში. როგორც ჩანს, ფარ-ხმალი დაყარა. ბოროტად გამოიყენეს ადამიანების მორიდებულობა, მათი პროფესიონალიზმი და ყველაფერი ხელში ჩაიგდეს. ამის აღდგენა საკმაოდ ძნელია.

***— ბატონო ანზორ, რას ურჩევდით ბიძინა ივანიშვილს, როგორც ყოფილი დეპუტატი, იმ ფონზე, როცა ვრცელდება ინფორმაციები, რომ პრემიერი უკმაყოფილოა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მუშაობით? გამართლებულია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე საუბარი?***

— ჯერ ერთი, პრემიერის გადადგომას არ ვისურვებდი. მან საზოგადოების აზრი უნდა გაითვალსიწინოს. იმიტომ კი არ ვამბობ ამას, რომ ის შეუცვლელია, არა. ღიად ვთქვათ: ფული რომ გამოვაკლოთ ივანიშვილს, ის არავის აღარ დასჭირდება, მით უმეტეს, ვისაც მის გვერდში ვუყურებთ. ივანიშვილის ის ფიგურა არ არის, რომლის კაპიტალის გარეშეც მის გარშემო მოხდეს დარაზმვა. მასზე ზედმეტად კრიტიკულიც შემიძლია ვიყო. გამსახურდიას რომ ახსენებს, ის საქართველოზე თავდადებული კაცი იყო. ივანიშვილს, ეტყობა, კაპიტალი ათამამებს, როცა ასე ლაპარაკობს. გამსახურდიას მისი მოწინააღმდეგეებიც სხვანაირად აფასებდნენ. ვერასდროს ივანიშვილი ვერ მივა გამსახურდიასთან, ამას პირდაპირ ვამბობ. მიუხედავად იმისა, რომ ვაკრიტიკებ, ივანიშვილის დიდი მხარდამჭერი ვარ, რადგან მას აქვს პოტენციალი. ძალიან დიდი სხვაობაა ივანიშვილსა და გამსახურდიას შორის. ნუ ეწყინება, ეს. გახსოვთ, ალბათ, შეფასებები გააკეთა გამსახურდიასთან მიმართებაში. თვითონ რა გააკეთა? ყველზე ბინძურ ძალას რესპუბლიკელებს დაუჭირა მხარი და მოახვია ქართველ ხალხს თავზე.

## გიორგი თარგამაძე სიღნაღში შემოდგომის ზეიმს დაესწრო



„ქრისტიან–დემოკრატიული მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატი სოციალური საწარმოს წარმომადგენლებს გაესაუბრა, რომლებსაც ფესტივალზე სხვადასხვა სახის ნაკეთობები ჰქონდათ წარმოდგენილი.

გიორგი თარგამაძემ ფესტივალის მონაწილეებთან საუბრისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის, საოჯახო მეურნეობების, ტურისტულ ინდუსტრიებზე ორიენტირებული საწარმოების განვითარების აუცილებლობას.

„ის ფაქტი, რომ დღეს საწარმოები ძალიან იშვიათად გვხვდება მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული მცირე და საშუალო სოციალური საწარმოების განვითარების აუცილებლობა და მნიშვნელობა. ვერც ძველი და ვერც ახალი მთავრობა ვერ აცნობიერებს, რომ ქვეყანაში მოსახლეობის დასაქმებისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელია სწორედ მცირე საწარმოების განვითარება და ხელშეწყობა", - განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

**პირველი**

## ნინო ბურჯანაძე: „კოაბიტაციას მე დავასრულებ“



ამის შესახებ პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ ვაკის რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა მოსახლეობის პრობლემები მოისმინა და მათი მოგვარების გზებზე ისაუბრა.

როგორც მან აღნიშნა, მისთვის ძალიან საამაყოა მოსახლეობასთან ასეთი თბილი შეხვედრა, მათი განწყობების, არგუმენტაციების მოსმენა და მხარდაჭერა.

„მე ყველა ასეთი შეხვედრის დროს ვხედავ, რომ დედაქალაქისა თუ საქართველოს სხვა რაიონისა თუ რეგიონის წარმომადგენლები მხარს მიჭერენ იმ მიზეზით, რომ ადამიანებს სჯერათ სამართლიანობის აღდგენა არის ყველაზე მთავარი და მათ იციან, რომ კოჰაბიტაციის დასრულება და სამართლიანობის აღდგენა დაიწყება მხოლოდ ჩემი არჩევის შემთხვევაში. ადამიანები ხედავენ, რომ დღეს, სამწუხაროდ, „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალების“ ინტერესები ძალიან საეჭვოდ და უცნაურად ემთხვევა ერთმანეთს. მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის, რომ სამართლიანობის აღდგენის გარეშე ქვეყანა წინ ვერ წავა და ვერც ადამიანების ცხოვრების დონე გაუმჯობესდება. ამიტომ მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანები ძალიან იაქტიურებენ 27 ოქტომბერს, მოვლენ და შემოხაზავენ 14 ნომერს. ყველას ვპირდები, რომ თითოეული მათგანის ხმა იქნება დაცული და არავის ვურჩევ არჩევნების გაყალბების მცდელობას“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**პირველი**

# რატომ უნდა დაბრუნდნენ ნაციონალები უწყებათშორის კომისიაში

შორენა გონგლაძე



**ნაციონალური მოძრაობა თვლის, რომ მათი წარმომადგენლის მონაწილეობა სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი კომისიის მუშაობაში წულუკიანთან დაპირისპირების გამო ყოველგვარ აზრს არის მოკლებული. მიუხედავად ამისა, მოძრაობაში აცხადებენ, რომ პარტია მაინც განაგრძობს როგორც კომისიის, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წერილობით ინფორმირებას სხვადასხვა საარჩევნო დარღვევის შესახებ.**

თეა წულუკიანმა მათ გადაწყვეტილებას სამწუხარო უწოდა და კომისიის ფორმატში დაბრუნებისკენ მოუწოდა.

— ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია, იმიტომ რომ ნაციონალური მოძრაობა უწყებათაშორისი საბჭოდან გასვლით აზიანებს საკუთარ კანდიდატს და აზიანებს იმ ამომრჩეველს, რომელიც შეიძლება მხარს უჭერდეს დავით ბაქრაძეს. ამიტომ, პირველ რიგში, მინდა, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს ვურჩიო, ეს მდგომარეობა რაც შეიძლება მალე გამოასწოროს და დააბრუნოს თავისი პარტია იქ, სადაც ჩვენ ვიხილავთ კანდიდატებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, — განაცხადა წულუკიანმა.

ამ განცხადებებს წინ უძღოდა უწყებათაშორისი კომისიის სხდომა, რომელიც ურთიერთბრალდებებით წარიმართა თეა წულუკიანსა და კომისიაში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს, დეპუტატ თინათინ ბოკუჩავას შორის. სიტყვიერი დავა გამოიწვია ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო ყრილობის წინ შექმნილი პრობლემების თაობაზე კომისიის ინფორმირების საკითხმა.

წულუკიანის თქმით, ნაციონალურმა მოძრაობამ, ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ კომისია ჩაეყენებინა საქმის კურსში, ყრილობისთვის მხარდამჭერთა ტრანსპორტირების თაობაზე შექმნილი პრობლემის შესახებ ინფორმაცია საქართველოში — ერთ-ერთ საერთაშორისო წარმომადგენლობას მიაწოდა, რომელმაც, თავის მხრივ, კომისიის ინფორმირება მოახდინა და ამის შემდეგ, წულუკიანის თქმით, მყისიერი რეაგირება მოხდა და ვითომდა პრობლემები მოგვარდა. მან ნაციონალური მოძრაობა საბოტაჟში დაადანაშაულა.

ამასთან, სხდომაზე დამსწრე ზოგიერთი დამკვირვებლის ინფორმაციით, ბოკუჩავამ კამათის დროს წულუკიანს განუცხადა, რომ მისი მიზანი ნაციონალური მოძრაობის განადგურება იყო, რაზეც კომისიის თავმჯდომარემ საპასუხოდ ჩაილაპარაკა, რომ მან ეს უკვე გააკეთა.

— მიგვაჩნია, რომ უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარისა და იუსტიციის მინისტრის ეს განცხადება წარმოადგენს ღია დეკლარაციას იმისა, რომ ის თავის ფუნქციას ხედავს არა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ხელშეწყობაში, არამედ მთავარი ოპოზიციური პარტიის დევნასა და შევიწროებაში, — განაცხადა ნაციონალურმა მოძრაობამ.

ეს არ არის წულუკიანსა და ნაციონალურ მოძრაობის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების პირველი შემთხვევა კომისიის სხდომებზე, რომლებიც მედიისთვის დახურულია. სექტემბერში ნაციონალურმა მოძრაობამ რამდენჯერმე განაცხადა, რომ მას შესაძლოა კომისიის ფორმატი დაეტოვებინა.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ხელმძღვანელ ნინო ლომჯარიას განცხადებით, რომელიც ესწრებოდა უწყებათაშორისო კომისიის ბოლო სხდომას, სიტყვიერი შელაპარაკების ინციდენტებს ხშირად აქვს ადგილი, რაც, მისი თქმით, ჩრდილსა და ზიანს აყენებს კომისიის საქმიანობას, რომელიც საკმაოდ ეფექტურია დარღვევებზე რეაგირებისა და კონკრეტული რეკომენდაციების გაცემის კუთხით.

— თეა წულუკიანმა, როგორც კომისიის თავმჯდომარემ, თავი უნდა შეიკავოს არაკონსტრუქციული და არასაქმიანი კონფრონტაციისა და კამათისაგან, რაც არ შეეფერება ამ ფორმატს, — განუცხადა ლომჯარიამ სააგენტო ცივილ.გე-ს თავმჯდომარის ამგვარი საქციელი აზიანებს მის მიერ გაკეთებულ საჭირო საქმეს და მას მხარედ წარმოაჩენს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ უარყოფითად აფასებს ნაციონალური მოძრაობის მიერ კომისიის შესაძლო დატოვების ფაქტს.

— უწყებათაშორისი კომისია არის მნიშვნელოვანი ფორმატი, რომელიც უნდა იყოს მიმართული წინასაარჩევნო პრობლემების მოგვარებისკენ და არა პოლიტიკური დისკუსიებისთვის, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად აქვს ადგილი, — განაცხადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ დირექტორმა ეკა გიგაურმა.

უწყებათაშორისი კომისია აგვისტოდან უშიშროების საბჭოდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა და მას თეა წულუკიანი ჩაუდგა სათავეში. კომისია ყოველკვირეულად იკრიბება საარჩევნო დარღვევებზე საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირების მიზნით. კომისიის სხდომებს, პარტიებთან და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან ერთად, დამკვირვებლის სტატუსით ასევე ესწრებიან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის ეუთოს სადამკვირვებლო მისიიდან, აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული და რესპუბლიკური ინსტიტუტებიდან, გაეროს განვითარების პროგრამიდან.

შეგახსენებთ, რომ ამიერიდან იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი უხელმძღვანელებს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიას, რომელსაც მანამდე ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ხელმძღვანელობდა.

ივლისში პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღო, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ასევე ითვალისწინებს უწყებათაშორისი კომისიის, რომლის ამოცანაც საარჩევნო დარღვევებზე რეაგირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაა, ეროვნული უშიშროების საბჭოდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლას.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია განიხილავს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე, დარღვევის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც უწყებათაშორის კომისიას აწვდიან პოლიტიკური გაერთიანებები (საარჩევნო სუბიექტები) ან დამკვირვებელი ორგანიზაციები. განხილვის შედეგად კომისია გამოსცემს რეკომენდაციებს საჯარო მოსამსახურეებისა და საჯარო დაწესებულებების მიმართ.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

**2013 წლის 27 ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნებისთვის გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნები**

| № | საარჩევნო ოლქი | უბნის № | მისამართი |
|---|---|---|---|
| 1 | #1 მთაწმინდის საარჩევნო ოლქი | უბანი №40 | 9 აპრილის #2 |
| 2 | #2 ვაკის საარჩევნო ოლქი | უბანი №80 | ყაზბეგის #42 |
| 3 | #4 კრწანისის საარჩევნო ოლქი | უბანი №35 | გორგასლის #85 |
| 4 | #5 ისნის საარჩევნო ოლქი | უბანი №81 | აბუსერიძე-ტბელის #11 |
| 5 | #5 ისნის საარჩევნო ოლქი | უბანი №82 | ყვარლის #160 |
| 6 | #6 სამგორის საარჩევნო ოლქი | უბანი №119 | ვარკეთილის მეურნეობა, მეგობრობის #3 |
| 7 | #6 სამგორის საარჩევნო ოლქი | უბანი №120 | ბოგდან ხმელნიცკის #181 |
| 8 | #6 სამგორის საარჩევნო ოლქი | უბანი №121 | პოლიციის (ყოფ. ჟორესის) #10 |
| 9 | #6 სამგორის საარჩევნო ოლქი | უბანი №122 | ქიზიყის #1 |
| 10 | #8 დიდუბის საარჩევნო ოლქი | უბანი №57 | გ. კვინიტაძის #20 |
| 11 | #9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქი | უბანი №100 | თემქა, 11 მკრ-ნი, მე-2 კვ. |
| 12 | #10 გლდანის საარჩევნო ოლქი | უბანი №115 | გლდანის VII მკ/რნი, მე-2 კმ |
| 13 | #10 გლდანის საარჩევნო ოლქი | უბანი №116 | გლდანის VII მკ/რნი, მე-2 კმ (პატიმრები) |
| 14 | #20 რუსთავის საარჩევნო ოლქი | უბანი №88 | რუსთავი, მშენებელთა #64 |
| 15 | #20 რუსთავის საარჩევნო ოლქი | უბანი №89 | სოფ. მთისძირი |
| 16 | #21 გარდაბნის საარჩევნო ოლქი | უბანი №64 | დაბა ვაზიანი, მე-4 ქვ. ბრიგადა |
| 17 | #21 გარდაბნის საარჩევნო ოლქი | უბანი №65 | დაბა ვაზიანი, 1-ლი საარტ. ბრიგადა |
| 18 | #22 მარნეულის საარჩევნო ოლქი | უბანი №70 | მარნეული, კოსტავას #100 |
| 19 | #27 მცხეთის საარჩევნო ოლქი | უბანი №46 | მცხეთა, აღმაშენებლის #51 |
| 20 | #27 მცხეთის საარჩევნო ოლქი | უბანი №47 | მცხეთა, დაბა ქსანი |
| 21 | #32 გორის საარჩევნო ოლქი | უბანი №109 | გორი, ცხინვალის გზატკ. მე-5 კმ |
| 22 | #32 გორის საარჩევნო ოლქი | უბანი №108 | გორი, ცხინვალის გზატკ. მე-3 კმ |
| 23 | #32 გორის საარჩევნო ოლქი | უბანი №24 | გორი, სოფ. უფლისციხე |
| 24 | #35 ხაშურის საარჩევნო ოლქი | უბანი №53 | ხაშური, ოსიაური |
| 25 | #52 ბაღდათის საარჩევნო ოლქი | უბანი №30 | ბაღდათი, ვარციხის დასახლება |
| 26 | #55 ხონის საარჩევნო ოლქი | უბანი №30 | ხონი, სოფ. ივანდიდი |
| 27 | #55 ხონის საარჩევნო ოლქი | უბანი №31 | სოფ. ქვიტირი |
| 28 | #58 წყალტუბოს საარჩევნო ოლქი | უბანი №68 | წყალტუბო, სოფ. გეგუთი, ვარციხის დას. |
| 29 | #59 ქუთაისის საარჩევნო ოლქი | უბანი №128 | ქუთაისი, ახალგაზრდობის I შესახვევი #1 |
| 30 | #59 ქუთაისის საარჩევნო ოლქი | უბანი №129 | ქუთაისი, ხარებავას #85 |
| 31 | #64 სენაკის საარჩევნო ოლქი | უბანი №44 | სენაკი, ცერცვაძის #1 |
| 32 | #67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქი | უბანი №110 | ზუგდიდი, ბ. ზერანძის #9 |
| 33 | #79 ბათუმის საარჩევნო ოლქი | უბანი №105 | ბათუმი, თევდორე მღვდლის #27 |
| 34 | #79 ბათუმის საარჩევნო ოლქი | უბანი №106 | ბათუმი, ადლია |

## თენგიზ გუნავა: „მარგველაშვილს საშუალებას არ მივცემ, თვითონ გამათავისუფლოს თანამდებობიდან!“



პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთში თენგიზ გუნავა კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის განცხადებას, გაპრეზიდენტების შემთხვევაში „კრიმინალი გუბერნატორების თანამდებობიდან მოხსნის“ თაობაზე უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად მიიჩნევს. როგორც მან „მედიანიუსს“ განუცხადა, მარგველაშვილის მიერ გუბერნატორების კრიმინალებად მოხსენიება, დაუშვებელია.

„როცა მარგველაშვილი გამოდის და ამბობს, კრიმინალ გუბერნატორებს მოვხსნიო, ეს ყოვლად დაუშვებელია. ეს არის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა. მან ჯერ ყველაფერი კარგად შეისწავლოს და მერე ილაპარაკოს. ის თუ ვაჟკაცია და იცის, ამ ხელისუფლების პირობებში რა გამიკეთეს, პასუხი გასცეს საზოგადოებას და ნუ ატყუებს მას. მე ყოველთვის ჩემს ხალხს ვემსახურებოდი და მომავალშიც მის სამსახურში ვიქნები“, — აღნიშნა თენგიზ გუნავამ.

მისივე თქმით, თუ საჭირო გახდება, ის თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილებას მარგველაშვილის გარეშე, თავადვე მიიღებს.

„მე ვარ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ დანიშნული რწმუნებული, იმ გუნდის წარმომადგენელი, რომელსაც პრეზიდენტი ხელმძღვანელობს და საშუალებას არ მივცემ მარგველაშვილს, თვითონ გამათავისუფლოს თანამდებობიდან. თანამდებობას თავად დავტოვებ, თუ საჭირო გახდება — ბუნებრივია, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატი გაიმარჯვებს, თანამდებობიდან თავადვე წავალ და ოპოზიციიდან ვიბრძოლებ“, — აღნიშნა თენგიზ გუნავამ.

შეგახსენებთ, რომ მარგველაშვილმა იმერეთის მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ის „კრიმინალ გუბერნატორებს მოხსნის“.

**მედიანიუსი**

## ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ხელი შეუშალეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, სოფელ ჯვარში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

მასში ნათქვამია, რომ 2013 წლის 11 ოქტომბერს ჯვარი — ხაიშის საავტომობილო მონაკვეთზე, საგამოძიებო სამსახურის სამეგრელო — ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარკვეულმა პირებმა ხელი შეუშალეს, საგამოძიებო სამსახურის ავტომანქანას არ მისცეს გადაადგილების შესაძლებლობა. ამავდროულად, შეკრებილი ხალხი სხვადასხვა საშუალებით შეეცადა საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლების პროვოცირებას.

„წინააღმდეგობის მიუხედავად, დაპირისპირებისთვის თავის არიდების მიზნით, ჩვენი უწყების თანამშრომლები გამოერიდნენ კონფლიქტურ სიტუაციას. ინციდენტის დროს განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა რამდენიმე პირი, რომლებიც საგამოძიებო სამსახურის მიერ, ბოლო პერიოდში, გამოვლენილნი არიან ხე-ტყის უკანონო ჭრაში და შემდგომში, შესაბამისი დოკუმენტის გარეშე უკანონო ტრანსპორტირებაში. ამ ეტაპზე, დადგენილია მათ მიერ სულ 61,8 კუბური მეტრი ხე მასალის უკანონო მოპოვება-ტრანსპორტირება“, — აცხადებს საგამოძიებო სამსახური და განმარტავს, რომ ინციდენტის ორგანიზატორების მიზანს წარმოადგენს საგამოძიებო სამსახურის დისკრედიტაცია და მისი მუშაობისთვის ხელის შეშლა, მიუხედავად ამისა, საგამოძიებო სამსახური გააგრძელებს სხვადასხვა სამართალდარღვევების გამოვლენას. მათ შორის, ხე-ტყის უკანონო ჭრასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებთან ბრძოლას, რათა ხელი შეუშალოს საქართველოს ტყის ფონდის დაზიანებას.

**მედიანიუსი**

## ბიძინა ივანიშვილი: „თავს არ დავზოგავ და კიდევ 20 წლის განმავლობაში ვიშრომებ“



„თავს არ დავზოგავ და კიდევ 20 წლის განმავლობაში ვიშრომებ და მე ამის ენერგია გამაჩნია“ – ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, ქუთაისში, გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან გამართული შეხვედრის დროს გააკეთა.

როგორც, პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, ის ხალხის სამსახურში ყოფნას კიდევ 20 წლის განმავლობაში აპირებს და მისი ოცნება და მიზანი, მომდევნო წლების განმავლობაში საქართველოს ევროპული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაა

,,მე თავს არ დავზოგავ, ვიშრომებ კიდევ 20 წლის განმავლობაში და ამის ენერგია მე გამაჩნია. მე მუდამ ვახსენებდი, როდესაც ოპოზიციაში ვიყავი, რომ ჩვენი ყველაზე დიდი ოცნება, ჩვენი ევროპული ტიპის საზოგადოებად ჩამოყალიბებაა. ევროპული ტიპის საზოგადოება არ გახლავთ მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტები, ჩვენ უნდა გქონდეს ევროპული ქვეყნისა და მისი მოქალაქეების მსგავსი შემოსავალი და ისეთივე ღირსებით უნდა ვარჩინოთ ჩვენი ოჯახები. ეს ყველაფერი კი ამ 20 წლის განმავლობაში ახდება. ყველა მომდევნო წელი წინა წელზე უკეთესი იქნება“ – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

,,ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ბიძინა ივანიშვილმა ქუთაისის მოსახლეობას დღეს წარუდგინა. სიტყვით გამოსვლისას პრემიერმა განვლილი 1 წელი შეაფასა. მან ქართული სოფლების განვითარებასა და ჯანდაცვის პრიორიტეტებზეც ისაუბრა.

ნიუსპრესი

## „გპირდებით, რომ ქვეყანა განვითარების სწორ გზაზე დადგება“



პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, ,,სახალხო კრების“ აღმასრულებელ საბჭოს წევრ გია ბურჯანაძესთან ერთად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, წალკის რაიონში მცხოვრებ ამომრჩევლებს შეხვდა. პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საუბარი იმ პრობლემებს შეეხო, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ყოველდღიურად აწუხებს. როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, წალკაში სხვა რაიონების იდენტური პრობლემებია, თუმცა ძირითადი პრობლემა აქეკომიგრანტების პრობლემაა, რომლებიც რაიონში სახელმწიფომ თავის დროზე გადმოასახლა, მაგრამ არ იზრუნა იმაზე, რომ ეს ადამიანები არ ყოფილიყვნენ უუფლებონი იმ სახლებში, სადაც ისინი ცხოვრობენ. ნინო ბურჯანაძის თქმით, დღეს მათ საფრთხე ემუქრებათ, რომ კვლავ დევნილები გახდნენ. ,,ეს არის სახელმწიფოს პრობლემა, მისი უუნარობისა და უნიათობის ბრალი. დღევანდელი ხელისუფლება ამ ხალხს ერთი წლის წინ პირდებოდა, იმას, რომ ამ საკითხს მოაგვარებდა. დღეს კი ეს ხალხი პრაქტიკულად ღია ცის ქვეშ ცხოვრობს. მოსახლეობა შეურაცხყოფილია იმ კოჰაბიტაციით, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს. მე ვპირდები ამ ადამიანებს, რომ ჩემი არჩევის შემდეგ კოჰაბიტაცია ნამდვილად დასრულდება. სამართალმა უნდა იზეიმოს და სამართლიანობა უნდა აღდგეს. მე გპირდებით, რომ ქვეყანა წავა განვითარების სწორ გზაზე და ეს თითოეული ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებას შეეხება“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. პრეზიდენტობის კანდიდატი ასევე ნინოწმინდისა და ახალქალაქის ამომრჩეველსაც შეხვდა.

ნიუსპრესი

## გიორგი თარგამაძე ბოლნისის რაიონში მოსახლეობას შეხვდა



„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, სოფელ კაზრეთისა და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობის მთავარ სატკივარს მადნეულის კომბინატის მიერ წარმოების პროცესში ეკოლოგიური სტანდარტების გაუთვალისწინებლობის გამო გამოწვეული დაავადებების საფრთხე წარმოადგენს.

თარგამაძის თქმით, ასევე დიდი პრობლემა მასობრივი უმუშევრობაა მიუხედავად იმისა, რომ კომბინატში სამი ათასამდე ადამიანია დასაქმებული, ადგილობრივი მოსახლეობის წილი დასაქმებულთა რაოდენობაში მიზერულად მცირეა, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს.

გიორგი თარგამაძემ მოსახლეობასთან საუბრისას ქვეყანაში ეკონომიკისა და წარმოების განვითარების აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

„საუბარი არ უნდა იყოს არც ერთი წარმოების არათუ დახურვაზე, არამედ პირიქით, ქვეყნის საწარმოო პოტენციალის ამოქმედებაზე, მაგრამ ეს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. ეს არ უნდა ხდებოდეს იმ გარემოსთვის ეკოლოგიური ზიანის მიყენების ხარჯზე, სადაც წარმოება ვითარდება, სადაც ადამიანები ცხოვრობენ. არ შეიძლება, სახელმწიფო პირადი კომერციული სარგებელს და მოგებას უფრო წინა პლანზე აყენებდეს, ვიდრე თავისი მოქალაქეებისა და მათი ოჯახების ჯანმრთელობას. არ შეიძლება, წარმოების განვითარება სარგებელს არ აძლევდეს იმ სოციალურ გარემოს, სადაც უმუშევრობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია. ტრადიციებით ევროპისკენ სვლა უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია ეკოლოგიური ზიანის მიყენებით არ უნდა ხორციელდებოდეს და ეკონომიკისა და წარმოების განვითარება სწორედ ადგილობრივი მოსახელეობის დასაქმებასა და სოციალური გარემოს გაუმჯობესებას უნდა ემსახურებოდეს", - განაცხადა თარგამაძემ.

პირველი

## გიორგი მარგველაშვილი: „როგორც კი პრეზიდენტი გავხდები, მოვხსნი კრიმინალ გუბერნატორებს“



,,ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, პრეზიდენტის რწმუნებულები კრიმინალები არიან და მათ თავიანთი კუთხეებისთვის არაფერი გაუკეთებიათ. ამის შესახებ მარგველაშვილმა ქუთაისში, მის მხარდასაჭერად გამართულ აქციაზე განაცხადა.

„როგორც კი პრეზიდენტი გავხდები, მოვხსნი კრიმინალ გუბერნატორებს, რომლებიც ამ წლების განმავლობაში ხალხს ძარცვავდნენ და მათთვის დადებითი არაფერი გაუკეთებიათ. როგორც კი ჩემი პრეზიდენტად არჩევა და ინაუგურაცია მოხდება, მეორე დღესვე შეიცვლებიან ხალხის გამომძალველები და მათ ადგილს ის ადამიანები დაიკავებენ, რომელთაც რეალურად სურთ, საქმე აკეთონ“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, ბოლო რამდენიმე თვეა, პრეზიდენტი სააკაშვილი კანონპროექტებზე ვეტოების დადებით ერთობა.

„საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მიღებული ყველა ის კანონპროექტი, რომელიც ხალხზეა მორგებული, პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადების საგანი ხდება. ვეტოს დადებით საქმე არ კეთდება, საქმე სულ სხვაგვარად უნდა აკეთოს პრეზიდენტმა“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მედიანიუსი

## საპატრულო პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „მარიხუანა“ ამოიღო

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, თბილისში, 1987 წელს დაბადებული ალექსანდრე ლ. დააკავეს. საპატრულო ეკიპაჟმა საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩაზე მოძრავი „ბე-ემ-ვე“-ს მარკის ავტომანქანა საგზაო წესების დარღვევისთვის გააჩერა. სამართალდამცველებმა ავტომანქანის დათვალიერებისას, საბარგულში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ნედლი „მარიხუანა“ აღმოაჩინეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 2 კილო და 500 გრ ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

## სამეგრელოში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით შსს განცხადებას ავრცელებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, სამეგრელოში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც ეჭვმიტანილი და სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ერთი წევრი გარდაიცვალა, – განცხადებას ავრცელებს. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ყაჩაღობისთვის ძებნილი თეიმურაზ ოკუჯავას აყვანის ოპერაცია

ჩაატარეს. ოპერაციის მსვლელობისას ორი ავტომატითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულმა ოკუჯავამ წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის თანამშრომლებს. ორმხრივი სროლისას თეიმურაზ ოკუჯავას ლიკვიდაცია მოხდა.

სროლის შედეგად დაიღუპა სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელი – დავით დემურია, ასევე დაჭრილია პოლიციის ოთხი თანამშომელი. ამ დროისთვის ოთხივე მათგანი ზუგდიდის რაიონულ საავადმყოფოშია გადაყვანილი. ისინი ხელყუმბარის ნამსხვრევებით მსუბუქად არიან დაჭრილები, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. თეიმურაზ ოკუჯავა 2013 წლის 3 აგვისტოდან ყაჩაღობის ბრალდებით იძებნებოდა. ის თანამზრახველებთან ერთად 1 ოქტომბერს ხობის რაიონის სოფელ თორსაში საკუთარი ნათესავების – ქარჩავების ოჯახს თავს დაესხა. ყაჩაღური თავდასხმის შედეგად ოჯახის უფროსი დაიღუპა.

დანაშაულებრივი ჯგუფის ერთი წევრი სამართალდამცველებმა რამდენიმე დღის წინ დააკავეს, ხოლო მეორე ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფება.

ნიუსპრესი

## საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის მარგველაშვილი და ბურჯანაძე ლიდერობენ

სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის სოციოლოგიური კვლევის შედეგების თანახმად, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის გიორგი მარგველაშვილი და ნინო ბურჯანაძე ლიდერობენ. კითხვაზე, – „რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს უჭერთ მხარს“, გამოკითხულთა 32.70% – მა გიორგი მარგველაშვილს, 28.70% – მა ნინო ბურჯანაძეს, 14.06% – მა დავით ბაქრაძეს, 5.70% – მა შალვა ნათელაშვილს, 1.60% – მა კი გიორგი თარგამაძეს დაუჭირა მხარი. ამასთან, 2.90% არც ერთ კანდიდატს არ უჭერს მხარს, 5.50% სხვა კანდიდატების მხარდამჭერია ხოლო 8.50%-ს კი ჯერ არ გადაუწყვეტია ვის მისცემს ხმას. აგრეთვე, კითხვაზე თუ რამდენად სამართლიანად ჩატარდება 20013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს, გამოკითხულთა 50.01%-მა განაცხადა რომ სამართლიანად ჩატარდება, 22.90% კი განაცხადა, რომ დარღვევებს ექნება ადგილი. 27% -ს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს. კვლევა 2013 წელს 17 სექტემბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით, თბილისის მასშტაბით ჩატარდა და მასში მონაწილეობა 3755-მა ადამიანმა მიიღო.

ნიუსპრესი

## ოკუპაციის წინააღმდეგ ცოცხალი ჯაჭვის აქცია გაიმართა





საქართველოს შვიდ ქალაქში ოკუპაციის წინააღმდეგ ცოცხალი ჯაჭვის აქცია „შეაჩერე ანექსია" გაიმართა. სტუდენტების მიერ ორგანიზებული აქცია დაახლოებით 15.00 საათზე თბილისის, რუსთავის, თელავის, გორის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის ცენტრალურ ქუჩებზე ერთდროულად დაიწყო. მის მონაწილეებს ცოცხალი ჯაჭვი 15 წუთის განმავლობაში ჰქონდათ შეკრული. სტუდენტების თქმით, ქართველები ოკუპაციის წინააღმდეგ ერთნი ვართ. „საქართველოს ამ პრობლემის წინაშე ყველა ერთიანია. ჩვენი მიზანია, საერთაშორისო საზოგადოებას დავანახოთ, რომ პოლიტიკური და იდეოლოგიური განსხვავებების მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა არ ეგუება და ერთიანი ძალებით იბრძვის მცოცავი ოკუპაციის წინააღმდეგ", -- აღნიშნეს სტუდენტებმა.

მედიანიუსი

## პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ჩინეთის ოთხი მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით, თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე მდებარე ჩინური მასაჟის 4 სალონის დროებითი მფლობელები, ჩინეთის მოქალაქეები – 1960 წელს დაბადებული გუიმინ ვ., 1985 წელს დაბადებული ვეიიი წ., 1982 წელს დაბადებული ჩენ ვ. და 1963 წელს დაბადებული იან ს. დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულ პირებს ჩინური მასაჟის სალონი დაქირავებული ჰქონდათ და გასამრჯელოს სანაცვლოდ ქალბატონებს პროსტიტუციისთვის ადგილს უთმობდნენ. სამართალდამცველებმა ოთხივე სალონში მომუშავე 40 ჩინელი ქალბატონი მოწმის სახით დაკითხეს. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ფაქტზე, სსსკ-ის 254-ე მუხლით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## შსს–მ ბათუმში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 1-ლი მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, ბათუმში ალმაშენებლის ქუჩაზე, 1946 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ომარ ჩ. დააკავეს. სამართალდამცველებმა მისი პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღეს, რომლის წონა ექსპერტიზის დასკვნით – 146,82 გრამია. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## დავით შემოქმედელი: „განათლება გადაარჩენს საქართველოს!“

ეკა ირემაშვილი

საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელს დავით შემოქმედელს მიაჩნია, რომ XIX საუკუნე სავსეა სხვადასხვა მაცდური გამოწვევებით და ქართველი საზოგადოება თითოეულ მათგანს ღირსეულად უნდა შეხვდეს, რომ თავისი ეროვნულობა არ დაკარგოს. მთავარი იარაღი, რაც ქართველი საზოგადოებისთვის ამ გამოწვევებთან ბრძოლისთვის არის საჭირო, ეს განათლებაა.

რუსთაველის საზოგადოების დარბაზში გაიმართა დისკუსია თემაზე: ,,ვეფხისტყაოსნის“ სწავლების საკითხები, სადაც მიწვეული იყვნენ ცნობილი რუსთველოლოგები, მწერლები, პრაქტიკოსი პედაგოგები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად მიმართვა გადაეგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი წარმომადგენლობა აღნიშნულ შეხვედრას არ დასწრებია.

– რუსთაველი ქართველი ხალხის ყველაზე მაღლა ატანილი სახელია. თუ ჰომეროსი არის საბერძნეთი, დანტე – იტალია, შექსპირი – ინგლისი, რუსთაველი არის საქართველო. ამდენად, ამ უპირველესი კულტურული ძეგლის სწავლებისა და პოპულარიზაციის საკითხი, როგორც სახელმწიფოსაგან, ასევე ჩვენგან მეტ ყურადღებასა და თანადგომას მოითხოვს. სწორედ ამიტომ რუსთაველის საზოგადოებასთან რუსთველოლოგებისა და გამოცდილი, პრაქტიკოსი პედაგოგებისაგან შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელიც ,,ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციისა და სწავლების გაუმჯობესების მიზნით, შეისწავლის ყველა შემოსულ წინადადებას, ხოლო შემდგომ გაასაჯაროებს და წარუდგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, – განაცხადა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა მწერალმა დავით შემოქმედელმა.



აღნიშნულ შეხვედრაზე მთავარი მოხსენებით გამოვიდა პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი. წარმოდგენილ იქნა მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ზოგად სურათს ასახავს.

– როგორც აღმოჩნდა, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ცუდად იცნობს ქართულ კლასიკურ მწერლობას. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ სკოლადამთავრებულითა ერთ ნაწილს წაკითხულიც არა აქვს ჩვენი ეროვნული საუნჯე ,,ვეფხისტყაოსანი“. იგივე ითქმის ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებზე. საქართველოში სამწუხარო მდგომარეობაა, იმიტომ რომ განათლების დონე ჩვენს ქვეყანაში ძალიან დაქვეითდა. საგანგაშოა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომელიც ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა თომას ჰამერბერგმა გამოაქვეყნა: საქართველოში ,,არ არის კარგი მდგომარეობა ბავშვების აკადემიური მოსწრების მხრივ – ე.წ. ფაზას ტესტების მიხედვით საქართველო ყველა ევროპულ ქვეყანას ჩამორჩება, – განაცხადა პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა.

რუსთაველის საზოგადოებაში გამართულ შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ თამაზ ვასაძე, პარმენ მარგველაშვილი, გია კვაშილავა, მაკო ჯანჯიბუხაშვილი, ნინო ქუთათელაძე, იოსებ ჭუმბურიძე, ყოფილი პარლამენტარი მანუჩარ მაჩაიძე და სხვები. ყოველი გამომსვლელი ერთსულოვანი იყო, რომ დროა სასწრაფოდ დაისახოს ღონისძიებები, რომლებიც პრობლემე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# გიორგი მარგველაშვილმა დუმილი დაარღვია

ეკა ირემაშვილი

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი მარგველაშვილმა დუმილი დაარღვია და ყოფილი პროფესორ-მასწავლებლების ბრალდებებს უპასუხა. როგორც მან განაცხადა, ყველა ბრალდება, რომელიც მარინა მიქაუტაძემ, გოგი დოლიძემ და გია ჭუბაბრიამ გაახმოვანეს, არის ყოვლად დაუსაბუთებელი, უტიფარი ტყუილი და ცილისწამება.

**გიორგი მარგველაშვილი:**

– ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ მარინა მიქაუტაძის ყოვლად დაუსაბუთებელი, უტიფარი ცილისწამება პრესის და ჟურნალისტების ასეთ ინტერესს გამოიწვევდა, ამიტომ, როდესაც რამდენიმე ხნის წინ პირველი განცხადებები გააკეთა პრესით, ყურადღება არც მიგვიქცევია, რადგან ვიცნობთ ამ ქალბატონს, ვიცით მისი ძალიან რთული ხასიათი, რბილად რომ ვთქვა, და ვიცით მისი განცხადებების ფასიც და შინაარსის მნიშვნელობაც, მაგრამ დღევანდელი რეალობა ასეთია – ის ამ განცხადებებს აკეთებს პერმანენტულად და, შესაბამისად, პრესამ და ელექტრონულმა მედიამაც გადაწყვიტა, ეს განცხადებები ფართოდ გააშუქოს. სხვა გზა აღარ იყო და უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ყველა ამ ცილისწამებას უპასუხოს.

***– და რას პასუხობთ თქვენ ამ ბრალდებებს?***

– მარინა მიქაუტაძე ბრალად გვდებს იმას, რომ უნივერსიტეტში არის ე.წ. ვითომდა შავი ბუღალტერია. მინდა გაცნობოთ, რომ თეატრის და კინოს უნივერსიტეტში, 2006 წლიდან დაწყებული, თანხების ყველანაირი მოძრაობა ხდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების გზით ანუ ყოველი თეთრი, რომელიც შემოდის უნივერსიტეტში, გაიცემა ხელფასის სახით ან სხვა რაიმე ხარჯით, ყველაფერი ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების გზით ანუ გადარიცხვების გზით. მინდა, ამიხსნას ვინმემ, რადგან, როგორც ჩანს, მიქაუტაძე სხვა განზომილებაში იმყოფება, რა შავ ბუღალტერიაზე შეიძლება მიდიოდეს საუბარი, როცა ყოველი თეთრი აღრიცხულია. ეს არის ყოვლად უტიფარი ცილისწამება, უტიფარს იმიტომ ვამბობ, რომ მან მშვენივრად იცის, რომ ეს ასეა, მაგრამ ასეთ განცხადებებს მაინც აკეთებს.

***– მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება იმ ფურცლებსა და დოკუმენტაციას, რომელსაც ის აფრიალებდა რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტების წინაშე, რაც შეეხება იმ სასწავლო ცენტრს, ის წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, მას ცალკე ბუღალტერია არ გააჩნია, შესაბამისად, სასწავლო ცენტრში შემოსული ყოველი თეთრი, ნებისმიერი თანხა, შედის უნივერსიტეტის ბუღალტერიაში, უნივერსიტეტის სალაროში, უნივერსიტეტის ანგარიშზე და ამ ანგარიშიდან ხდება გაცემა ნებისმიერი თანხისა ნებისმიერი დანიშნულებით. ამის შემოწმებაზე ადვილი ხომ არაფერია, ეს მართლა ხდება თუ არა? უნივერსიტეტი გადის ყოველწლიურ აუდიტურ შემოწმებას, არც ერთი წლის აუდიტური შემოწმების შედეგად მთელი ამ ხნის მანძილზე არანაირი დარღვევა თანხის მიმართ არ ყოფილა, იქნება ეს ხელფასების გაცემა თუ სხვა რაიმე ხარჯი, დაფიქსირებული არ არის, არსებობს აუდიტის დასკვნა და ყველას შეუძლია ნახოს. ეს ბრწყინვალედ იცის მარინა მიქაუტაძემ, მაგრამ ის მაინც შეგნებულად და ჯიუტად აკეთებს მსგავს განცხადებებს. მცირედ განმარტებას გავაკეთებ ამასთან დაკავშირებით და ვიტყვი, რომ აქ ყველაფერი გათვლილია იმაზე, რომ ვინმემ დაკარგოს წონასწორობა და მოიქცეს არაადეკვატურად, გადავიდეს თავის მართლების რეჟიმში. პირადად მე, თავის მართლების რეჟიმში გადასვლას არ ვაპირებ, იმიტომ რომ საამისო არაფერი მჭირს. ვაკეთებ განმარტებებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც ის აყენებს ბოლო ერთი თვის მანძილზე.

***– გია ჭუბაბრიას ბრალდებაზე რას იტყვით?***

– გია ჭუბაბრიამ განაცხადა, რომ ჩვენ მას არ მივანიჭეთ ემერიტუსის წოდება, რაც მას კანონიერად ეკუთვნის. ეს არის აბსოლუტური სიცრუე, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციით, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის უმაღლესი ორგანოს, აკადემიური საბჭოს მიერ, იმისათვის, რომ ადამიანმა მიიღოს ემერიტუსის წოდება, იმ მომენტისთვის ის უნდა იმყოფებოდეს აკადემიურ თანამდებობაზე, ანუ მას კონკურსის წესით უნდა ჰქონდეს დაკავებული აკადემიური თანამდებობა. იმ კონკურსებზე, რომლებიც გამოცხადდა 2006 წელს გია ჭუბაბრიას ეკავა ეს თანამდებობა, მან გაიარა კონკურსი და ეკავა აკადემიური თანამდებობა და გახდა სრული პროფესორი. შემდეგ როდესაც პირველი კონკურსის შედეგების გაფორმების შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულებების ვადები ამოიწურა, ბუნებრივია გამოცხადდა თავიდან კონკურსი, რომელშიც მან აღარ მიიღო მონაწილეობა იმის გამო, რომ ის აღარ იმყოფებოდა საქართველოში, ის იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. შესაბამისად, კონკურსზე ის არ გავიდა, დოკუმენტაცია არ წარმოადგინა და კონკურსზე ეს ადგილი დაიკავა სხვა პიროვნებამ. დაბრუნების შემდეგ, მან განაცხადა პრეტენზია, რომ ის ისევ უნდა იკავებდეს ამ აკადემიურ თანამდებობას, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და ალბათ ამას ახსნა არ სჭირდება. მთელი ამ წლების მანძილზე სამჯერ იყო გამოცხადებული ეს კონკურსი და არც ერთ ამ კონკურსში გია ჭუბაბრიამ არ მიიღო მონაწილეობა. მთელი ამ წლების განმავლობაში ის დაჟინებით ითხოვს, რომ ეს კონკურსები მას არ უნდა ეხებოდეს და მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს აქვს თავისი შიდა რეგულაცია, მას პირდაპირ უნდა მიენიჭოს ეს წოდება, აი, არსი მთელი კონფლიქტისა. ეს არის და ეს, ადამიანი ითხოვს აბსოლუტურ ექსკლუზივს თავისთვის და ამბობს, რომ ის წესი, რომელიც თქვენ გაქვთ მე არ მეხება, დავიმსახურე იმდენი, რომ პირდაპირ მომანიჭოთო. მის დამსახურებას არავინ უარყოფს, ვერც ერთ ადამიანს ვერ ნახავთ უნივერსიტეტში, ან აკადემიურ საბჭოში, რომ მის დამსახურებას უარყოფდეს, მაგრამ წესი არის წესი.



***– ახლა რატომ აგიმხედრდნენ ეს ადამიანები?***

– ვერ გეტყვით, რომ მხოლოდ ახლა ხდება ეს. ეს ადამიანები სხვადასხვა დროს მსგავს განცხადებებს აკეთებდნენ წლების მანძილზე. ეს არ არის პირველად, ეს არ არის მხოლოდ დღეს, უბრალოდ, ასეთი მასობრივი ფორმა ყოველდღიურ პრესაში, ელექტრონულ მედიაშიც თითქმის ყოველდღე ერთი და იგივე სამეული ზის და ამტკიცებს ყოვლად უტიფრად სიცრუეს, იმას, რაც თვითონაც მშვენივრად იციან, რომ არ არსებობს.

***– უფრო კონკრეტულად რომ ისაუბროთ?***

– ამ სამეულის პრესკონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ერთი ყოფილი სტუდენტი გოგონა. მან განაცხადა, რომ 2007 წელს მან დაამთავრა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი და მიენიჭა დიპლომი, სადაც წერია, რომ ის არის დიპლომირებული სპეციალისტი, თან დაამატა, რომ ასეთი დიპლომი გაიცა ასობით და რომ ეს არის დარღვევა და ეს არის კრიმინალი. მარინა მიქაუტაძემ ააფრიალა კიდეც ეს დიპლომი და აღნიშნა, რომ ეს არის კრიმინალი. ვაკეთებ განმარტებას, ეს არის დამტკიცებული სტანდარტის ფორმა დიპლომის, ვინც არ იცის, იმისთვის ვაკეთებ მცირე განმარტებას, რომ ყველანაირი დოკუმენტაცია, რომელიც გაიცემა უნივერსიტეტის მიერ, ექვემდებარება გარკვეული დამტკიცებული სტანდარტის ფორმას. ასეთი დიპლომები გაიცემოდა იმ წლებში. როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ 2007 წელს არის გაცემული ეს დიპლომი და თურმე ასეთი კატასტროფული დარღვევა იყო, როგორ გგონიათ, ის გოგონა და ასობით მისნაირი ამ წლების მანძილზე რამდენჯერ მიმართავდა სხვადასხვა ორგანოებს ამასთან დაკავშირებით, იგივე განათლების სამინისტროს, სწორად იყო თუ არა გაცემული დიპლომი, ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს? 2007 წლიდან დღემდე ეს რომ ყოფილიყო დარღვევა, ამაზე რეაგირება არ იქნებოდა? რა თქმა უნდა, კი. მათ ეს მშვენივრად იციან, მაგრამ იმ წუთში მთავარია ემოციური განცხადება და მეტი არაფერი.

***–საინიციატივო ჯგუფის მიერ თაკო ჩარკვიანისთვის ნდობის გამოცხადებაზე რა აზრის ხართ?***

– ქალბატონ თამარს ვიცნობ მხოლოდ გამარჯობით, როცა ვხვდებით ერთმანეთს თავაზიან სალამს ვეუბნებით, სხვა ვერაფერს ვიტყვი. ერთადერთი შემიძლია გითხრათ, რომ ნებისმიერ ადამიანს, როდესაც გამოცხადდება უნივერსიტეტში არჩევნები და ეს მოხდება უახლოეს მომავალში, ვისაც აქვს დოქტორის ხარისხი ან არის უფლებებში გათანაბრებული დოქტორთან და უკავია აკადემიური თანამდებობა უმაღლეს სასწავლებელში, აქვს უფლება წარადგინოს თავისი კანდიდატურა რექტორის თანამდებობაზე. თუ ეს პარამეტრები იქნება დაცული, არა მხოლოდ ქალბატონ თამარს, არამედ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, თავისი კანდიდატურა წარადგინოს რექტორის არჩევნებზე.

***– ამ სამეულის ბრალდებები არჩევნებთან კავშირშია?***

– ალბათ, არის კავშირში. მათი ამოცანაა, შექმნან გარკვეული ემოციური ფონი. ამ საკითხებზე ასეთ განმარტებებს ყველა ადამიანი ვერ აკეთებს და ყოველი ადამიანი ვინც უყურებს მსგავს ემოციურ განცხადებებს, რომ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ასეთი საშინელი კორუფციაა, რომ საღამოობით იტაცებენ ბავშვებს, კლავენ, წვავენ და ჭამენ, რა თქმა უნდა, ეს ემოციურად მოქმედებს ადამიანზე. ვიღაც ხვდება, რომ მსგავსი განცხადებები არის კონკრეტული მიზნის მისაღწევად გაკეთებული. როცა ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს თავის კანდიდატს და იწყებს დღეს არსებული რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პერსონის წინააღმდეგ მსგავს კამპანიას, რა თქმა უნდა, მას აქვს თავისი მიზნები, ის ცდილობს ყველანაირი საშუალებით ამ მიზნების მიღწევას. ჩემგან არავის ესწავლება, რომ საუკეთესო გზა მიზნის მისაღწევად მსგავს სიტუაციაში არის, რომ ადამიანს დააბრალო ყველაფერი ის, რის წინააღმდეგადაც ის იბრძვის, რაც ის არის იმ თანამდებობაზე და დააბრალო ისეთი რამ, რისი დაჯერებაც შეუძლებელია, მაგრამ ტყუილი რაც უფრო დაუჯერებელია, როგორც ჩანს, მით უფრო მომხიბვლელია ტირაჟირებისთვის და იმისთვის, რომ ამის გარშემო აგორდეს სკანდალი. მგონია, რომ ამასთან გვაქვს საქმე.

***– თქვენ თუ იცით, ვინ არიან ამ საინიციატივო ჯგუფში, ვინც თაკო ჩარკვიანს უჭერს მხარს?***

– რამდენადაც ვიცი, ამ ჯგუფში მოქმედი პროფესორ-მასწავლებელი არ არიან. ისინი განმარტავენ, რომ არსებობს საინიციატივო ჯგუფი, მაგრამ არასოდეს აკონკრეტებენ, ვინ შედის ამ ჯგუფში. ვთვლი, რომ მსგავსი საინიციატივო ჯგუფები, რომლებსაც ეყოლებათ თავიანთი კანდიდატები გამოცხადებულ არჩევნებზე, რომელიც ძალიან მალე გამოცხადდება, თუკი წარადგენენ საკუთარ კანდიდატურას, ამაში არაფერი უცნაური არ არის, არც ცუდი არაფერი არ არის, უბრალოდ ყოვლად მიუღებელი და ამაზრზენია, როცა მიზნის მისაღწევად ასეთ უტიფარ სიცრუეს მიმართავენ.

საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ სულ ცოტა ხნის წინ, თითქმის ერთი წლის მანძილზე უნივერსიტეტში მოქმედებდა და საქმიანობდა სხვა ადმინისტრაცია, მე არ ვიყავი რექტორი, სხვა იყო რექტორი და მთელი ადმინისტრაციული ჯგუფი იყო სხვა ადამიანებისგან დაკომპლექტებული. იქნებ ჰკითხოს ვინმემ გია ჭუბაბრიას, რატომ მაშინ არ მიენიჭა ემერეტუსის წოდება, ან რატომ მაშინ არ იყო ეს ყველაფერი გამოკვლეული ან შეფასებული? მარტო იმ მიზეზის გამო, რომ რასაც აცხადებს მიქაუტაძე არის მტკნარი სიცრუე და იმ ადმინისტრაციის პირობებშიც სიცრუე იყო და ის რეგულირება, რომელიც არ იძლევა საშუალებას, რომ ადამიანს მიანიჭო ემერეტუსობა, თუ არ უკავია თანამდებობა, იმ ადმინისტრაციის პირობებშიც მოქმედი იყო. ეს ძალიან მარტივია და მათაც ძალიან კარგად იციან. უბრალოდ, ასეთ დეტალიზებას ყოველთვის ვერ მოახდენ ადამიანი. სიმართლე რომ გითხრათ, წლების განმავლობაში, სანამ ამან ასეთი ფართო ხასიათი არ მიიღო, ჩვენ არც ვპასუხობდით მათ, იმიტომ რომ ჩავთვალეთ, ასეთი სიცრუე არც ღირდა პასუხის გაცემად.

# დავით შემოქმედელი: „განათლება გადაარჩენს საქართველოს!“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ბის მოგვარების სწორ გზაზე დაგვაყენებს.

– ვფიქრობთ, საქართველოს სახის ცივილიზირებულ ერთა შორის უფრო მეტად დამკვიდრებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საკითხი, რადგან ეს წიგნი ერის სავიზიტო ბარათი და ქართველი ხალხის სულიერი კონსტიტუციაა, ამიტომაც ამ წიგნის პოპულარიზაცია ჩვენი სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს. ავიღოთ კონკრეტული მაგალითი. სულ ახლახან ასპინძაში გაიმართა უკვე ტრადიციად ქცეული სახალხო დღესასწაული „შოთაობა“. მე ადრეც მქონდა ცალკეული შენიშვნები ამ ღონისძიების ხასიათისა და ფორმის მიმართ, მაგრამ წლევანდელმა ზეიმმა განსაკუთრებულად ულიმღამოდ და უფერულად ჩაიარა. ვფიქრობ, რომ აღნიშნული სახალხო დღესასწაული არ უნდა ეწყობოდეს მარტო ადგილობრივი ძალებით, რადგან რუსთაველი არ არის ერთი კონკრეტული რეგიონული, არამედ სრულიად ქართული, უფრო მეტიც ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა. არ იყო მოწვეული არც ერთი რუსთველოლოგი, რომლებიც საზოგადოებას ახლებური კუთხით შეაცნობინებდა ამ ნაწარმოების არსს, ასევე ვერ ვიხილეთ ამ გენიალური წიგნის ზეპირმცოდნეთა გამოსვლები. არ წარმოუდგენიათ ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე. არ გამართულა პოეზიის საღამო ქართველი პოეტების მიერ „ვეფხისტყაოსანსა“ და რუსთაველზე მიძღვნილი ლექსების. ცნობილ ქართველ მსახიობებს არ წაუკითხავთ ცალკეული ფრაგმენტები „ვეფხისტყაოსნიდან“. სასურველი იყო მოეწვიათ მსახიობები იმ თეატრიდან, რომელიც ამ გენიალური პოეტის სახელს ატარებს. ზედმეტად გაჭიანურებულ კონცერტს ისედაც მეჩხრად მოსული საზოგადოება ღონისძიების დამთავრებამდე თითქმის გაეცალა. სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა ვანო წიკლაურმა არ გამონახა დრო, რომ აღნიშნულ შეხვედრას დასწრებოდა. ვფიქრობთ, შეუწყნარებელია უპირველესი ეროვნული კულტურული ძეგლის მიმართ ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. არც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან გახლდათ რომელიმე წარმომადგენელი. შესაძლოა ღონისძიების ორგანიზატორმა არც აცნობა. ასევე, ყოვლად მიუღებელია ელექტრონული მედიის მიერ წლების განმავლობაში დამკვიდრებული ცუდი ტენდეცია სრული ნიველირებისა ქართული კლასიკური მემკვიდრეობის მიმართ. არცერთ სატელევიზიო არხს აღნიშნული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია არ გადაუცია. „შოთაობა“ უნდა გახდეს მომავალში სრულიად საქართველოს სულიერი და კულტურულ-ინტელექტუალური დღესასწაული, სასურველია მოეწყოს ორი დღით შაბათსა და კვირას. არ შეიძლება ამ ღონისძიების ორგანიზება, ფორმა და სახე მივანდოთ, მიუხედავად გარკვეული გარჯისა და აქტიურობისა ამ კუთხით, მხოლოდ ერთი ადამიანის ადგილობრივი მკვიდრის ავთანდილ ბერიძის სიმპათია-არასიმპატიას, არამედ მასში უნდა ჩაერთოს გაცილებით კომპეტენტური პიროვნებები, ორგანიზაციები, კერძოდ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს მწერალთა კავშირი, შოთა რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი და, რა თქმა უნდა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კულტურის სამსახური სპეციფიკური გამოკვეთილი როლით, – განაცხადა დავით შემოქმედელმა.

რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა განაცხადა:

– მიმაჩნია, რომ ჩვენი საზოგადოების მომავალი სამოქმედო დევიზი უნდა იყოს აკაკი წერეთლის სიტყვები: „ჩვენი ბედისწერა განათლებაზედ არის დამოკიდებული“. დიახ, განათლებული, განსწავლული თაობა ქვეყნის გადარჩენის, აღორძინების უმთავრესი ძალაა.


## განცხადებები

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ:599-96-44-94;218-46-08(ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ:577-29-37-41;234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ:2-96-67-03;595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა–ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ბოლოსწინა ტურმა მსურველები შეკვეცა

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლოსწინა ტურის მატჩები გაიმართა. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ქვეჯგუფში საკმაოდ უხვგოლიანი და სანახაობრივი შეხვედრები გაიმართა. ყველაზე სანახაობრივი ალბათ მაინც ჰოლნდიისა და უნგრეთის დაპირისპირება იყო, რომელიც მასპინძლებმა იოლად მოიგეს.

გარდა ამისა, გაირკვა გუნდები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ. შესარჩევი ეტაპის ბოლოსწინა ტურის შემდეგ, მუნდიალის საგზური გერმანიამ, ბელგიამ და შვეიცარიამ გაინაღდეს. ადრიანადვე მიაღწიეს საწადელს იტალიამ და ჰოლანდიამ. საპლეიოფო ზონაში მოსახვედრი გუნდების ვინაობაც ცნობილია, გასარკვევი მხოლოდ 3 ჯგუფში დარჩა.

მივყვეთ თანმიმდევრობით:

**ა ჯგუფი**

**ხორვატია-ბელგია 1:2**

0:1, 0:2 ლუკაკუ (15,38), 1:2 კრანჩარი (83)

ბოლოსწინა ტურის წინ ა ჯგუფში ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. დღის გამორჩეული მატჩი კი, ხორვატიაში გაიმართა. მასპინძლებმა შინ ბელგიის ნაკრები მიიღეს და 1:2 დამარცხდნენ. ვინც ბელგიის ნაკრების თამაშებს თვალს ადევნებს, მისთვის ეს შედეგი გასაკვირი ნამდვილად არ უნდა იყოს. ბელგიელები შესარჩევი ქვეჯგუფის კი არა, მუნდიალის ერთ-ერთ ფავორიტადაც დაასახელეს.

**უელსი-მაკედონია 1:0**

1:0 ჩარჩი (67)

ამავე ტურში მეორე მატჩი გაიმართა, სადაც ერთმანეთს უმოტივაციო უელსი და მაკედონია დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მატჩი უელსის გამარჯვებით, ანგარიშით 1:0 დასრულდა. უელსმა სერბეთის ნაკრებს გადაასწრო და ცხრილში მესამე ადგილს იკავებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბელგია | 8 | 7 | 1 | 0 | 15-2 | 22 |
| 2.ხორვატია | 8 | 5 | 2 | 1 | 11-5 | 17 |
| 3.სერბეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 13-10 | 11 |
| 4.შოტლანდია | 9 | 2 | 2 | 5 | 6-12 | 8 |
| 5.მაკედონია | 8 | 2 | 1 | 5 | 6-10 | 7 |
| 6.უელსი | 8 | 2 | 0 | 6 | 7-19 | 6 |

**ბ ჯგუფი**

**სომხეთი-ბულგარეთი 2:1**

1:0 ოზბილიზი (45+1), 1:1 პოპოვი (61), 2:1 მოვსისიანი (87)

გაძევებები: ბოდუროვი 45 (ბულგარეთი), დიაკოვი 63 (ბულგარეთი)

ჯგუფში პირველადგილოსანი გუნდის ვინაობა ამ ტურამდე გარკვეული იყო. იტალია ბრაზილიაში პირდაპირ გაემგზავრება. პლეი ოფის საგზურისთვის კი ერთბაშად ოთხი გუნდი იბრძვის. გუშინ სომხეთმა უშუალო კონკურენტ ბულგარეთს უმასპინძლა და ანგარიშით 2:1 დაამარცხა.

**დანია-იტალია 2:2**

0:1 ოსვალდო (28), 1:1 ბენდტნერი (45), 2:1 ბენდტნერი (79), 2:2 აკვილანი (90)

საინტერესო გამოდგა დანიისა და იტალიის დაპირისპირება. დანიას მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, მაგრამ მათ ამის გაკეთება ვერ მოახერხეს და მატჩი ფრედ დასრულდა. იტალიელებს საქმე მოლეულა ჰქონდათ, მაგრამ ბოლომდე იბრძოლეს და აკვილანიმ სკანდინავიელებს საქმე გაუფუჭა – დანიას პლეიოფში მოსახვედრად სასწაული სჭირდება.

ჰო, ტურინის „იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი იტალიის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით რეკორდსმენია. ჯიჯიმ ქვეყნის ღირსება 137-ე მატჩში დაიცვა. თამაშების რაოდენობით, „სკუადრა აძურაში“ მე-2 ადგილზე ფაბიო კანავაროა, რომელსაც 136 მატჩი აქვს ჩატარებული.

**მალტა-ჩეხეთი 1:4**

0:1 ჰუბშმანი (3), 0:2 ლაფატა (34), 1:2 მიფსუდი (47), 1:3 კადლეცი (51), 1:4 პეკჰარტი (90)

თავისი მატჩი მოიგო ჩეხეთმა, რომელიც სტუმრად მალტას ეთამაშებოდა. თუმცა, მათ ვერც ეს მოგება მისცემთ ნუგეშს – ამ ჯგუფიდან პლეიოფში გასვლის შანსი ყველას მინიმალური აქვს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იტალია | 8 | 6 | 2 | 0 | 15-5 | 20 |
| 2.ბულგარეთი | 8 | 3 | 4 | 1 | 13-6 | 13 |
| 3.დანია | 8 | 3 | 3 | 2 | 9-10 | 12 |
| 4.ჩეხეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-8 | 9 |
| 5.სომხეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 8-10 | 9 |
| 6.მალტა | 8 | 1 | 0 | 7 | 4-18 | 3 |

**ც ჯგუფი**

**შვედეთი-ავსტრია 2:1**

0:1 ჰარნიკი (29), 1:1 ოლსონ მარტი (56), 2:1 იბრაჰიმოვიჩი (86)

ამ ჯგუფის შეხვედრებიდან გუშინ ყველაზე საინტერესო შვედეთში გაიმართა. მასპინძლებმა უშუალო კონკურენტ ავსტრიის ნაკრებს უმასპინძლეს და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. თუმცა, პლეიოფში გასვლის შანსს ჯერ ავსტრიელებიც ინარჩუნებენ.

**გერმანია-ირლანდია 3:0**

1:0 ხედირა (12), 2:0 შიურლე (58), 3:0 იოზილი (90+2)

გერმანიამ შინ ირლანდიის ნაკრები მიიღო და დამაჯერებლად მოიგო. ბუნდესნაკრები უკვე ბრაზილიის გეგმებს აწყობს.

**ფარერები-ყაზახეთი 1:1**

1:0 ჰანსონი (41), 1:1 ფინონჩენკო (55)

მესამე მატჩი აუტსაიდერებს შორის გაიმართა. ფარერების ნაკრებმა შინ ყაზახეთი მიიღო და ალბათ ბევრისთვის მოულოდნელად მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. ეს იყო ფარერების ნაკრების პირველი ქულა მიმდინარე შესარჩევ ციკლში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 8 | 7 | 1 | 0 | 28-7 | 22 |
| 2.შვედეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-8 | 17 |
| 3.ავსტრია | 8 | 4 | 2 | 2 | 16-8 | 14 |
| 4.ირლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 13-13 | 11 |
| 5.ყაზახეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 4-17 | 4 |
| 6.ფარერები | 8 | 0 | 0 | 8 | 3-25 | 0 |



**დ ჯგუფი**

**ჰოლანდია-უნგრეთი 8:1**

1:0 ვან პერსი (16), 2:0 სტროოტმანი (25), 3:0 ლენსი (38), 4:0 ვან პერსი (44), 4:1 ჯუჯაკი (47პ), 5:1 ვან პერსი (52), 6:1 დევესცერი (65სკ), 7:1 ვან დერ ვაარტი (85), 8:1 რობენი (90)

ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო თამაში სწორედ ამ ჯგუფში გაიმართა. ჰოლანდიის ნაკრებმა შინ უნგრეთი მიიღო და გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა. უნგრეთის ნაკრები პლეი ოფის საგზურისთვის იბრძვის და შესაბამისად, ამ მატჩის წაგება მათ ინტერესებში არ შედიოდა.

რობინ ვან პერსიმ კი, პატრიკ კლუივერტს გადაასწრო და ქვეყნის უპირველესი გუნდის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

30 წლის ფეხბურთელს უნგრეთთან ჰეთ თრიკის შემდეგ 41 გოლი დაუგროვდა, რაც კლუივერტის მაჩვენებელზე ერთით მეტია.

**ანდორა-რუმინეთი 0:4**

0:1 კეზერუ (41), 0:2 სტანცუ (53), 0:3 ტორიე (62), 0:4 ლაზარი (85)

დამაჯერებლად მოიგეს რუმინელებმა და პლეიოფში გასასვლელად ბოლო ტურისა და ჰოლანდიის იმედად არიან დარჩენილი. რუმინეთი შინ დაუხვდება ესტონეთს, ხოლო ჰოლანდია ვლახების უშუალო კონკურენტ თურქებთან ითამაშებს.

**ესტონეთი-თურქეთი 0:2**

0:1 ბულუთი (22), 0:2 ილმაზი (47)

თურქებმა მნიშვნელოვანი მატჩი კი მოიგეს, მაგრამ ახლა ყველაფერი მათ ხელშია. ბოლო ტურში აუცილებლად უნდა დაამარცხონ ჰოლანდიელები, რათა სხვის იმედად არ დადგნენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჰოლანდია | 8 | 7 | 1 | 0 | 24-4 | 22 |
| 2.უნგრეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 18-12 | 14 |
| 3.თურქეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 14-7 | 13 |
| 4.რუმინეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 13-12 | 13 |
| 5.ესტონეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-16 | 7 |
| 6.ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 0-24 | 0 |

**ე ჯგუფი**

**ალბანეთი-შვეიცარია 1:2**

0:1 შაქირი (48), 0:2 ლანგი (79), 1:2 სალიჰი (89)

ჯგუფი იმითაც იყო გამორჩეული, რომ პლეი ოფში გასვლის შანსი ბოლოსწინა ადგილზე მყოფ ალბანეთსაც ჰქონდა. თუმცა ალბანელებმა ეს შანსი შვეიცარიის ნაკრებს გაატანეს. შვეიცარიამ კი, პირდაპირ გაინაღდა ბრაზილიის საგზური.

**სლოვენია-ნორვეგია 3:0**

1:0, 2:0, 3:0 ნოვაკოვიჩი (13,15,49)

მეორე ადგილისთვის კი ისლანდია და სლოვენია იბრძოლებენ. სლოვენიის ნაკრებმა ნორვეგიას უმასპინძლა და ნოვაკოვიჩის ჰეთ თრიკით დამაჯერებლად მოიგო.

**ისლანდია-კვიპროსი 2:0**

1:0 სიგთორსონი (60), 2:0 სიგურდსონი (76)

ჩინებული შანსი აქვს ისლანდიას პლეი ოფი ითამაშოს. სკანდინავიელებმა კვიპროსის ნაკრებს უმასპინძლეს, ორი უპასუხო გოლი გაუტანეს და მეორე ადგილზე იმყოფებიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შვეიცარია | 8 | 5 | 3 | 0 | 14-5 | 18 |
| 2.ისლანდია | 8 | 4 | 1 | 3 | 14-14 | 13 |
| 3.სლოვენია | 8 | 4 | 0 | 4 | 11-10 | 12 |
| 4.ნორვეგია | 8 | 3 | 2 | 3 | 9-9 | 11 |
| 5.ალბანეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-9 | 10 |
| 6.კვიპროსი | 8 | 1 | 1 | 6 | 4-13 | 4 |

**ფ ჯგუფი**

**ლუქსემბურგი-რუსეთი 0:4**

0:1 სამედოვი (9), 0:2 ფაიზულინი (39), 0:3 გლუშაკოვი (45), 0:4 კერჟაკოვი (73)

რუსეთმა გაინაღდა მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ადგილით გასვლა. ისინი ლუქსემბურგს სტუმრად ხვდებოდნენ და მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხეს.

**პორტუგალია-ისრაელი 1:1**

1:0 რ. კოშტა (27), 1:1 ბენ ბაზატი (85)

მეორე ადგილზე მყოფი პორტუგალია შინ ისრაელს დაუპირისპირდა, რომელსაც მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, რათა პფლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლის თეორიული შანსი მაინც ჰქონოდა. მთელი მატჩის განმავლობაში, პორტუგალიელები მშვიდად იგებდნენ, თუმცა მეკარე რუი პატრისიოს უხეში შეცდომის გამო, მატჩი ფრედ დასრულდა.

**აზერბაიჯანი-ჩრდ. ირლანდია 2:0**

1:0 დადასოვი (58), 2:0 შუკუროვი (90+5)

ტურის ბოლო, მესამე შეხვედრა აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთირლანდიას შორის გაიმართა. აზერბაიჯანის ნაკრებმა მეტოქე 2:0 დაამარცხა და ჯგუფში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუსეთი | 8 | 6 | 0 | 2 | 15-4 | 18 |
| 2.პორტუგალია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-8 | 17 |
| 3.ისრაელი | 8 | 3 | 3 | 2 | 17-12 | 12 |
| 4.ჩრ. ირლანდია | 8 | 1 | 3 | 4 | 8-14 | 6 |
| 5.ლუქსემბურგი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-19 | 6 |
| 6.აზერბაიჯანი | 8 | 0 | 5 | 3 | 4-10 | 5 |

**ჯ ჯგუფი**

**ბოსნია-ლიხტენშტაინი 4:1**

1:0 ჯეკო (27), 2:0 მისიმოვიჩი (34), 3:0 იბისევიჩი (38), 4:0 ჯეკო (39), 4:1 ჰასლერი (61)

ჯგუფში ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, თუ ვინ გაემგზავრება მსოფლიოს ჩემპიონატზე პირდაპირი გზით, და ვის მოუწევს შემოვლითი გზით ბრძოლა. ბოსნიელები ლიხტენშტეინთან მოგებით პირველ ადგილს კი ინარჩუნებენ, თუმცა ყველაფერს ბოლო ტური გაარკვევს.

**საბერძნეთი-სლოვაკეთი 1:0**

1:0 შკრტელი (44სკ)

საბერძნეთის ნაკრები კი, ასევე შინ, სლოვაკეთს დაუპირისპირდა და მძიმე ბრძოლაში ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა. ელინებს რთული ბრძოლა ელით იმ კუთხით, რომ მეტოქეზე არიან დამოკიდებული.

**ლიტვა-ლატვია 2:0**

1:0 სერნიხი (7), 2:0 მიკოლიუნასი (68)

ბალტიისპირული დერბი საინტერესო გამოდგა და ლიტველებმა იმარჯვეს. ამ მოგებით ისინი მეზობლებს დაუსხლტნენ და მინიმუმ მეოთხე ადგილი გაინაღდეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბოსნია | 8 | 6 | 1 | 1 | 25-5 | 19 |
| 2.საბერძნეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 9-4 | 19 |
| 3.სლოვაკეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 9-7 | 12 |
| 4.ლიტვა | 8 | 2 | 2 | 4 | 7-10 | 8 |
| 5.ლატვია | 8 | 2 | 1 | 5 | 8-16 | 7 |
| 6.ლიხტენშტეინი | 8 | 0 | 2 | 6 | 3-19 | 2 |

**ჰ ჯგუფი**

ჯგუფთან ერთად, ჯგუფში ყველაზე გამორჩეული შეხვედრები გაიმართა. ინგლისის ნაკრებმა შინ მონტენეგროს უმასპინძლა. ორივე გუნდს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა, ინგლისმა დამაჯერებლად 4-1 მოიგო.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა გაიმართა უკრაინაში. უკრაინელებმა პოლონეთს უმასპინძლეს. მსოფლიოზე გასვლისთვის ორივე გუნდს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს. მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, მაგრამ უკრაინელები უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ და ანგარიშით 1-0 იმარჯვეს. ჯგუფის მესამე შეხვედრა მოლდოვის ნაკრებსა და სან მარინოს შორის გაიმართა. მოლდოველებმა მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს და 8 ქულას მოუყარეს თავი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 8 | 4 | 4 | 0 | 25-3 | 16 |
| 2.უკრაინა | 8 | 4 | 3 | 1 | 19-4 | 15 |
| 3.ჩერნოგორია | 8 | 4 | 3 | 1 | 15-8 | 15 |
| 4.პოლონეთი | 8 | 3 | 4 | 1 | 18-9 | 13 |
| 5.მოლდოვა | 8 | 1 | 2 | 5 | 4-15 | 5 |
| 6.სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 1-43 | 0 |

## შედეგები

**ფეხბურთი**

**მჩ-2014. შესარჩევი ეტაპი**

**აფრიკა**

ბურკინა ფასო-ალჟირი .................. 3:2
კოტ დივუარი-სენეგალი ................ 3:1

**ეჩ-2015. შესარჩევი ეტაპი (21)**

პოლონეთი-შვედეთი ...................... 2:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლუგო-კორდობა ............................ 1:0
მირანდესი-ალავესი ...................... 2:3
მურსია-ხირონა ............................. 1:0
რეალი ბ-უელვა ............................. 1:2
საბადელი-ლას პალმასი ................. 0:0

**იტალია. სერია ბ**

სპეცია-ბრეშა ................................ 2:2
რეჯინა-ემპოლი ............................ 2:1

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

დერი-შემროკი ............................... 0:0
დროჰედა-უკ დუბლინი .................. 1:1
ბოჰემიანსი-დანდალკი .................. 1:1

**აშშ. მლს**

მონრეალი-ნიუ ინგლანდი ............. 0:1
დს იუნაიტედი-ფილადელფია ....... 1:1
დალასი-ჩიკაგო ............................. 2:3

**ბრაზილია. სერია ა**

ვიტორია-კურიტიბა ...................... 2:1
ფლუმინენსე-გრემიო ..................... 1:1
სანტოსი-პონტე პრეტა ................. 2:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ოლ ბოიზი-კოლონი ...................... 0:0
რაფაელა-არხენტინოსი ................. 1:0
ბელგრანო-ქილმესი ...................... 0:1
სარანდი-სან ლორენცო ................. 2:1

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-კოლორადო ............... 1:5
დეტროიტი-ფილადელფია ............. 5:2
ტამპა ბეი-პიტსბურგი .................... 4:5
ტორონტო-ედმონტონი .......... 6:5(ოტ)
მინესოტა-დალასი ......................... 5:1
ნეშვილი-აილენდერსი ................... 3:2
სენტ ლუისი-რეინჯერსი ................ 5:3
ჩიკაგო-ბუფალო ............................ 2:1
ვანკუვერი-მონრეალი .................... 1:4
სან ხოსე-ოტავა ............................. 3:2

# „აიას“ პრემიალურმა ქულამ ლიდერობა მოუტანა

**აია — ყოჩები 45:10**

**აია:** ძნელაძე, შაშიაშვილი, ფრუიძე, ს.კვერნაძე, აბრამიძე, სინაურიძე (ბაბუნაშვილი), როხვაძე; რატიაშვილი, მატკავა (სალდაძე), ულუმბელაშვილი (ტ.ჩხიკვაძე), შალამბერიძე, ჩიტეიშვილი (ჯიმშიტაშვილი), ცირეკიძე (კიკვაძე), რევიშვილი (ძაგნიძე), ყურაშვილი (არჩვაძე)

**6 ლელო:** ფრუიძე, ყურაშვილი, ძნელაძე, მატკავა, აბრამიძე, სალდაძე;

**6 გარდასახვა:** სინაურიძე (5), ბაბუნაშვილი;

**ჯარიმა:** სინაურიძე;

**ყოჩები:** მახარაშვილი, გოგოლაშვილი, ხარშილაძე, გაბუნია (ქუშაშვილი), ჯაფარიძე (ხუციშვილი), სოხაძე, ბრეგაძე; ცუცქირიძე (გოგიშვილი), ხიდაშელი, ჯინჭარაძე (შენგელია), გრძელიშვილი (გოგიძე), წიკლაური (ტვილდიანი), გუგეშაშვილი, ტყეშელიაძე, ნ.ჩხიკვაძე (მალაღურაძე)

**ლელო:** ხიდაშელი;

**გარდასახვა:** სოხაძე;

**ჯარიმა:** სოხაძე

ლიდერთა შორის მყოფი გუნდების ჯახში უფრო თანაბარ ბრძოლას ველოდით, მაგრამ მასპინძლებმა ყველაფერში დაჯაბნეს მეტოქე, პრემიალური ქულით დაამარცხეს და სატურნირო ცხრილში გალიდერდნენ.

„აიამ“ მატჩი აქტიურად დაიწყო და უკვე მე-5 წუთზე მასპინძლებმა ბოლნისელთა 5-მეტრიან ხაზთან აუტი მოიგეს და რამდენიმე ფაზიანი შეტევა განავითარეს, რომლის ბოლოს ფრუიძემ მეტოქის დაცვა გაარღვია და ბურთი კარის ძელებს შორის დაამიწა. ხელსაყრელი მდგომარეობიდან გარდასახვის შესრულება სინაურიძეს არ გასჭირვებია – 7:0. ქუთაისელთა ლელოს ბოლნისელებმა მოედნის ცენტრიდან ზუსტი საჯარიმო დარტყმით უპასუხეს – 7:3.

თუმცა, ქუთაისელები უფრო ლაღად თამაშობდნენ. ერთია, მორიგ ლელომდე საკმაოდ დააგვიანეს. 30-ე წუთზე საკუთარ 5-მეტრიან ხაზთან „ყოჩებმა“ აუტი არასწორად მოაწოდეს და მსაჯმაც ბურთი „აიას“ გადასცა. რიონისპირელებმა შერკინება მოითხოვეს, ბოლნისელებს მძლავრად მიაწვნენ და მეტოქე ჩათვლის მოედანში „შეათრიეს“. ლელოს სინაურიძემ გარდასახვაც დაურთო – 14:3.

ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა და პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა.

მეორე ტაიმიც „აიას“ უპირატესობით გაგრძელდა. ბოლნისელები მასპინძელთა მიძალებას ველარ უმკავდებოდნენ და შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, რასაც რიონისპირელები სათავისოდ კარგად იყენებდნენ. 47-ე წუთზე ფრუიძემ, რომელიც საუკეთესო იყო მატჩში, მეტოქეს ხაზი გაჭრა, თითქმის მთელი მოედანი გადასერა და ჩათვლის ხაზთან მისულმა უკეთეს პოზიციაში მყოფ თანაგუნდელს მისცა პასი. ლელო გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ წიკლაური დაჯარიმდა, რისტვისაც მოედნიდან გააძევეს. „აიამ“ ამჯერად ლელოზე არ ითამაშა და სინაურიძემ ჯარიმა კარში დაარტყა – 17:3.

ამის შემდეგ ფრუიძემ ერთხელ კიდევ გაიბრწყინა. მან თითქმის ანალოგიური რეიდი განახორციელა და ჩათვლის მოედნათან მისულმა ძნელაძეს სალელოე პასი გაუკეთა. სინაურიძეს გარდასახვა არც ამჯერად გასჭირვებია – 24:3.

„ყოჩებმა“ უქულო მარცხის საფრთხე იჰრძნეს და გაიბრძოლეს. რამდენიმე ხელსაყრელი ჯარიმის დარტყმაზე უარი განაცხადეს და ლელოზე თამაში ამჯობინეს, რამაც შედეგი გამოიღო. ხიდაშელმა ბურთი მასპინძელთა ჩათვლის მოედანში დაამიწა, ხოლო სოხაძემ გარდასახა – 24:10.

პრემიალური ქულის დაკარგვის საფრთხე უკვე ქუთაისლებმა იგრძნეს და ბოლო 10 წუთში ისეთი ამბები დაატრიალეს, მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს. 10 წუთში 3 ლელო და 3 გარდასახვა, საბოლოოდ კი, 45:10.

**ჯიქები — ლელო 9:19**

**ჯიქები:** კიკნაძე, ბიწაძე, ჯინჯიხაძე (ბერძული 56), კუპრეიშვილი, ჯიმუხაძე, გიორგაძე, ჭინჭარაული; ბარბაქაძე (ხატიაშვილი 43), ოქრომელიძე (გაგნიძე 52), ოქრიაშვილი (ჯინჭარაძე 54), გოგოლიძე, გ.მჭედლიშვილი, შენგელია, მამრიკიშვილი (ა.ტრაპაიძე 53), სუხაშვილი.

**3 ჯარიმა:** გიორგაძე

**ლელო:** ყიასაშვილი, ჯოგლიძე (სარჯველაძე 71), კორკელია, ცერცვაძე, ზაალიშვილი, უ.მჭედლიშვილი, მინდიაშვილი; სანიკიძე, ლომთაძე (ბელქანია 40), პატარაია, ხორბალაძე (ნიკოლაიშვილი 70), ქოიავა, მძინარიშვილი (სურგულაძე 45), კოლელიშვილი, ჭყოიძე,

**ლელო:** ქოიავა;

**გარდასახვა:** ყიასაშვილი

**4 ჯარიმა:** ყიასაშვილი

„ჯიქებმა“ მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს წინააღმდეგობა ლიდერს და შესვენებაზეც თანაბრად გავიდნენ. თუმცა, შემდეგ „ლელომ“ იძალა და მატჩიც მოიგო, მაგრამ პრემიალური ქულის გარეშე და მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

**ლოკომოტივი — აკადემია 38:14**

**ლოკომოტივი:** წიკლაური, ბიწაძე (შიოშვილი 62), დ.ჭურღულია (კობერიძე 59), კავთიძე (ვასაძე 67), ჟამუტაშვილი, ჭინჭარაული, ზაბახიძე; ელოშვილი (გასვიანი 49), გენებაშვილი, ზარიძე, ხულუაშვილი, გ.გეგია, ახვლედიანი (ხარძიანი 65), ბერიშვილი, კიკვიძე (ფოფხაძე 58),

**6 ლელო:** ბიწაძე (2) ჟამუტაშვილი ფოფხაძე ჭინჭარაული გენებაშვილი;

**4 გარდასახვა:** წიკლაური

**აკადემია:** ჩაბრაძე, ჭუაძე, ადეიშვილი (ჩინჩალაძე 42), მელაძე, კალანდარიშვილი, ქოპილაშვილი (მათიაშვილი 63), ჯ.ღამბაშიძე; ფეიქრიშვილი (მაზმიშვილი 63), წვერავა, გ.ღამბაშიძე, (ლ.გეგია 65), ნებულიშვილი, ბერიკაშვილი (მაღლაკელიძე 49), ნიბლაძე, ლუარსაბიშვილი, გოგოლაძე

**2 ლელო:** მაზმიშვილი მათიაშვილი;

**2 გარდასახვა:** მელაძე

რკინიგზელებმა მეტოქე უშანსოდ დატოვეს – აკადემიელთა ჩათვლის მოედანი 6-ჯერ დაალელოვეს, ხოლო თავად საპასუხოდ ორი მიიღეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 6 | 5 | 0 | 1 | 159-80 | 23 |
| 2.აია | 6 | 5 | 0 | 1 | 135-62 | 24 |
| 3.ყოჩები | 6 | 3 | 1 | 2 | 124-126 | 15 |
| 4.არმაზი | 5 | 3 | 0 | 2 | 109-94 | 14 |
| 5.ლოკომოტივი | 6 | 4 | 0 | 2 | 120-99 | 18 |
| 6.არმია | 4 | 2 | 1 | 1 | 92-65 | 11 |
| 7.ჯიქები | 6 | 1 | 2 | 3 | 104-116 | 10 |
| 8.აკადემია | 5 | 1 | 0 | 4 | 53-129 | 5 |
| 9.ბათუმი | 4 | 0 | 0 | 4 | 41-100 | 1 |
| 10.ხარები | 4 | 0 | 0 | 4 | 53-119 | 1 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# „არა ოკუპაციას!“ — აქცია რესპუბლიკის მოედანზე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჭის ოლიმპიადაში“. ჩვენ გვინდა ვუთხრათ ხმამაღალი არა მცოცავ ოკუპაციას, ნებისმიერ ძალადობას, რომელიც ჩვენი ქვეყნის მიმართ ხორციელდება. ჩვენ მუსიკოსები ვართ და მჯერა, რომ ბევრი სხვა პროფესიის ადამიანი იზიარებს ჩვენს პოზიციას. ყველამ ერთად ღიად უნდა ვთქვათ, რომ არა ოკუპაციას. არ შეიძლება ამდენი შეურაცხყოფის ატანა, უნდა ვთქვათ, რომ ვართ ბევრნი, არ ვართ ცოტანი და არაფრის არ გვეშინია.




*— ოლიმპიადის ბოიკოტზე რას იტყვით?*

— რაც შეეხება სპორტსმენებს, ვიცით, რომ ეს არის დიდი ამბავი, დროშა არის ყველასი, ეს არ არის მარტო ერთი სპორტსმენის ან ოლიმპიური კომიტეტის, ამიტომ წავიდნენ სპორტსმენები და გამოვიდნენ ოლიმპიური დროშის ქვეშ. ეს მათი პიროვნული გადაწყვეტილება იქნება და არანაირი იარლიყები მათ არ ექნებათ, მათ შორის, არც მოღალატის. იყო შემოცურებული ვერსია, რომ შესაძლებელია ჟურნალისტების კორპუსში ე.წ. სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დროშები გამოჩნდეს, ვინ გამორიცხავს, რომ იქ შეიძლება ე.წ. სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის სპორტსმენებმა არ მოიგონ და ამ ქვეყნების დროშები არ აიწიოს? ეს ვინ იცის? ვინ იცის, რომ არ დავდგებით ფაქტის წინაშე? ჩემი აზრით, ეს ოლიმპიადა ნაყიდია და იქ შეიძლება ყველაფრის ყიდვა. ეს სულაც არ არის გამორიცხული და მერე რა უნდა ვქნათ? გაბუტულებმა დავტოვოთ ოთახი? ჯობია თავიდანვე მკაფიო პოზიცია გვქონდეს მთლიან საზოგადოებას, რომ მერე აღარ შეგვრცხვეს და ჩვენმა შვილებმა არ დაგვცინონ. ვერ ვხვდები, რაში გვჭირდება ასეთ სიტუაციაში თავის ჩაგდება?!

*— ქართულ კულტურას რამდენად შეუძლია მოაგვაროს ორ სახელმწიფოს შორის არსებული პრობლემები?*

— რატომღაც გვგონია, რომ თუ რუსეთში ატირდებიან „სულიკოზე“, ეს არის ჩვენი მიღწევა. ჩვენ ვერ გავითავისეთ, რომ ვართ მსოფლიოს ნაწილი, ამიტომ ბელგიელსაც შეიძლება მოსწონდეს ჩვენი „სულიკო“, ლიბიელსაც და იაპონელსაც. რატომ გვინდა, რომ მაინცდამაინც რუსს მოვეწონოთ? თუ ვიმღერებთ და პუტინს აეტირება, ეს რა არის? რატომ გვავიწყდება, რომ მოსკოვს ცრემლების არ სჯერა? ადამიანებს შორის შეიძლება იყოს ურთიერთობები, მაგრამ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა უკვე პოლიტიკაა და ამიტომ კულტურაც უკვე პოლიტიკაა.

**ირაკლი საღინაძე:**

— ჩვენი აქცია არ არის ვინმეს მიმართ მიმართული, ყველას შეიძლება ჰქონდეს თავისი აზრი, მათ შორის, მთავრობის ნებისმიერ წარმომადგენელს ან საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული შეხედულება. აქ შევიკრიბეთ ადამიანები, ვისაც გვაქვს პროტესტი რუსეთის საქართველოს მიმართ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, ვისაც ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ რუსეთი არის მტერი და არა სხვა რამ, ვისაც გვაქვს დიდი ხანია ეს პროტესტი, ეს ახლა კი არ დაიბადა, როცა ვილაცამ ჩირაღდანი დაიკავა ან დიცში მავთულხლართები გაავლო, ეს პროტესტი დიდი ხანია არსებობს, საქართველოს მტერი რუსეთი კარგა ხანია არის, უბრალოდ დგება მომენტი, როცა შენი პოზიცია უნდა მოხვდეს კამერების თვალთახედვის არეში, უნდა ეცნობოს საერთაშორისო საზოგადოებას, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს მიუვიდეს ინფორმაცია, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრობს ხალხი, ვისთვისაც ძვირფასია მთავარი ღირებულება, რაც ადამიანს შეიძლება გააჩნდეს — თავისუფლება. ჩვენ ვცდილობთ მხოლოდ საკუთარი თავისუფლების რეალიზებას ამ აქციით. დღეს არ დაწყებულა რუსული ოკუპაცია საქართველოში, ეს ასწლეულებია მიმდინარეობს და ამ გაკვეთილებმა რაღაც ოდესმე უნდა გვასწავლოს, საზოგადოება უნდა შეიკრას და მტერს დაარქვას მტერი. საუბარი იმაზე, რომ კულტურის და სპორტის პოლიტიზება არ შეიძლება, ჩემი აზრით, ძალიან სასაცილოა. კულტურა, სპორტი, ნებისმიერი ყოფიერი აქტივობა არის ჩვენი კულტურის, ჩვენი მსოფლმხედველობის გამოხატულება, ჩვენი ბრძოლა თავისუფლებისთვის არის ბრძოლა ჩვენი ღირებულებებისათვის, ჩვენ ამ სივრცეში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე იმ ღირებულებების დამკვიდრებისთვის ვიბრძვით, რაც ამ ქვეყნის მოქალაქეებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. რუსეთი სწორედ ამ ღირებულებებს ებრძვის და არა უბრალოდ ტერიტორიებს გვართმევს, ის ცდილობს შეცვალოს ჩვენი ცხოვრების წესი, ჩვენი გამოხატვის შესაძლებლობები და ჩვენ უნდა დავუხვდეთ ჩვენი ნების სიმტკიცით. ამ ნების გამოხატვა შეგვიძლია მხოლოდ მშვიდობით, ჩვენ არ ვართ ომის და ბრძოლის მომხრე, ისღა დაგვრჩენია, რომ მუსიკოსმა მუსიკით, სიტყვის მთქმელმა სიტყვის თქმით, ყველამ თავისი საქმით, ლოკალურ მომენტში ერთად დადგომით კამერების წინაშე და მთელი მსოფლიოს წინაშე საკუთარი ნების და სურვილის გამოხატვით გადავდგათ ეს ნაბიჯი და ვიბრძოლოთ მხოლოდ ამ ფორმით. ამ ჯგუფებთან ერთად აქციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ჯგუფმა „გამოუვალმა მდგომარეობამ“, რომელიც პირველად წარდგა ფართო საზოგადოების წინაშე ვირტუალური სივრციდან რეალურ სივრცეში. ეს ის მომენტია, როცა ამ ჯგუფმა უნდა გამოხატოს საკუთარი პოზიცია. ამ დროს საკუთარი აზრის არ დაფიქსირება იგივე ბუჩქებში დამალვაა.



**ქეთათო:**

— მხოლოდ ოლიმპიადას არ ეხება ეს აქცია. დიდი ხანია ვიცით, რომ ვართ ოკუპირებული ერი, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარია შეგნებული გქონდეს შენი ეს მდგომარეობა და ღირსეულად მიუდგე ამ საკითხს და ღირსეულად მოიქცე. როდესაც ასეთი პირდაპირი ცინიზმია, რაც ამ დღეებში მოხდა ჩვენს ტერიტორიაზე, როცა ხალხი საკუთარი სახლებიდან არის გამოყრილი და საკუთარი ხელით შლიან სახლებს, რაც ხდება დვანსა და დიცში, ამ დროს საქართველოს ყველა მოქალაქემ თავისი პოზიცია უნდა დააფიქსიროს, არა აქვს მნიშვნელობა, ვის რა დამოკიდებულება და შეხედულება აქვს პოლიტიკაზე, რა მსოფლმხედველობის არიან, ამ დროს არაფერს არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია საქართველოს მოქალაქეების ერთიანობა. ამ მომენტში პოზიციის დაფიქსირებაა ჩემთვის მნიშვნელოვანი, ამიტომაც შევუერთდი ამ აქციას. ეს არის ჩემი, როგორც საქართველოს მოქალაქის ვალდებულება და აქვე ვიტყვი, რომ 19 ოქტომბერს მივდივართ დიცში მე და ჩემი მეგობრები და, კარგი იქნება, თუ შემოგვიერთდებით. ჩვენ პერმანენტულად მშვიდობიანად უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია იმასთან მიმართებით, თუ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. ყველას აწყობს, რომ ვიყოთ ამორფულები და ყველა ყოველდღიური საქმიანობით ვიყოთ დაკავებული. დღეს ამის დრო ნამდვილად არ არის, თითოეული ჩვენგანის აქტიურობაა მთავარი. ოკუპირებულები ჩვენ ვართ დროებით, მაგრამ, სანამ ვართ ოკუპირებულები, ეს როლიც ღირსეულად უნდა მოვირგოთ, სხვა გზა არ გვაქვს.



*— ოლიმპიადას თქვენც უცხადებთ პროტესტს?*

— ამ დროს სპორტი საერთოდ არ არის მთავარი და თანაც მაშინ, როცა პუტინი დგამს ასეთ პერფორმანსებს და მისი მარიონეტები ვხდებით ყველანი, ეს უკვე სპორტს სცილდება და მთავარ როლში არის ვლადიმერ პუტინი. ეს არის გამოწვევა, ჩვენს ნერვებზე თამაში, მათ ჯერ შეუძლიათ ეს ყველაფერი ასე მოახდინონ, მაგრამ ყველაფერს ღირსეულად უნდა შევხვდეთ, პანიკა არ არის საჭირო. თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა იცოდეს ჩვენი პოზიცია, ამიტომაც უნდა გავერთიანდეთ და ჩვენი ხმა მთელ მსოფლიოს მივაწვდინოთ.

**ბესელა:**

— აფხაზეთის ომის ვეტერანიც ვარ და როცა პუტინზე ვლაპარაკობ, იქ ცენზურის დაცვა ცოტა რთულია. არანაირად არ ვთვლი ქართული კულტურის ნაწილად „ერისიონს“, როგორც არ უნდა იყოს და რანაირადაც არ უნდა იყოს. „ერისიონმა“ ქართული კულტურის წინაშე გაილაშქრა და თავის გამართლება იყო, რომ კრემლში ააფრიალა ქართული დროშა. ბევრი ქართველი ცხოვრობს რუსეთში და ბევრს უკიდია სახლში ქართული დროშა და ამით რა? ჩვენ ვიმყოფებით სახელმწიფოსთან საომარ მდგომარეობაში, ეს არის ახალი სტილის ომი. ომი არ არის, შენი ქვეყნის დაპატარავება? არ არის აუცილებელი ვიღაც მოვიდეს, თოფი დაგადოს და გადმოგიწიოს საზღვარი. როცა საზღვარს წევენ რა გრჩება? ის, რომ დაიცვა შენი საზღვარი, ხომ? სამწუხაროდ, ჩვენ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, არ გვაქვს იმის ძალა, რომ ავიღოთ იარაღი და დავდგეთ ისე, როგორც საჭიროა. ასე გადმოწევა-გადმოწევით შეუძლიათ თბილისამდეც მოვიდნენ. ეს არის ომი, როცა შენს ქვეყანას აპატარავებენ, როცა შენი ქვეყნის ტერიტორიები მიაქვთ და აქ საერთოდ რა ოლიმპიადაზეა ლაპარაკი, რა რეინტეგრაციაზეა ლაპარაკი? საერთოდ არ მესმის, აბსურდია ყველაფერი. ჩვენ ვაფიქსირებთ იმას, რომ გვტკივა და დღევანდელი რეალობიდან ვსაუბრობთ, შეიძლება გუშინ ვიღაცას იარაღი ეჭირა, მაგრამ დღეს პაციფისტი გახდა, ამას არ აქვს მნიშვნელობა, მას სიმღერით ურჩევნია თავისი სათქმელის გამოხატვა. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ არავის არ ესმის, რომ უბრალოდ სირცხვილია, უწოდო თავს სახელმწიფო, ამის შემდეგ მტერთან მიხვიდე და ისევ ჩვენს ძირძველ ტერიტორიაზე სოჭში მის მიერ მოწყობილ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა. ხვალ-ზეგ, ალბათ, თბილისშიც ჩამოვლენ და გავხდებით დიდი რუსეთის ეროვნული უმცირესობა. რეინტეგრაცია არ მესმის რა არის და საერთოდ რაზეა ლაპარაკი.

*— კულტურულ ურთიერთობებს არ შეუძლიათ ამ პრობლემის მოგვარება ორ სახელმწიფოს შორის?*

— კულტურული ურთიერთობებით პრობლემის დარეგულირება მიმაჩნია მაშინ მიზანშეწონილად, როცა არის თავისუფლება. კულტურა თავისუფლების ნაწილია. როცა აქედან გულღია ვარ და იქიდან მიწერენ წესს და კანონს, რომ ჩემთან თუ გინდა კულტურული ურთიერთობა, შენ ასე და ასე უნდა მოიქცეო, ის ჩემს კულტურას უკვე თავის ჩარჩოებში აქცევს და რანაირი კულტურული ურთიერთობები გამოდის? განა არ ვარ მომხრე კულტურული ურთიერთობების და იმის, რომ დღეს-ხვალ ეს ყველაფერი დამთავრდეს და ვიმეგობროთ, მაგრამ ასეთი კულტურული ურთიერთობა არ გამოდის.

## სკანვორდი



1. მრავალხმიანობა; 2. წყლისპირა მცენარე; 3. ... მანდელშტამი; 4. აბატ ფარიას ციხე; 5. „... და ვანო“; 6. შტ. ცვაიგის ნოველა; 7. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 8. გრამოფონის ფირფიტა; 9. ო.თაქთაქიშვილის ოპერა; 10. დაბალი დიპლომატიური რანგი; 11. გაუტკივარება; 12. მოკრივის ერთგვარი მდგომარეობა; 13. დიდი სწრაფმავალი ჯავშნოსანი გემი; 14. ყურძნის ჯიში; 15. ავსტრიის დედაქალაქი; 16. იაპონიის კუნძული; 17. კორეული ავტომობილი; 18. აკაკი ბელიაშვილის რომანი; 19. ბოსტნეული მცენარე; 20. ევროპული ვალუტა; 21. ვეშაპებზე სანადირო იარაღი; 22. პატარა მსხვილთავა მოშავო თევზი; 23. ჰერმან ... (ნობელიანტი მწერალი); 24. იმრე კალმანის ოპერეტა; 25. რაიმე ფაქტის დამადასტურებელი საბუთი; 26. ქართული ბანკი; 27. დროშა; 28. ... პაჩინო; 29. ასო „ხ“-ს სახელწოდება; 30. ... ოსბორნი; 31. შინაური ცხოველი; 32. მემაღაროეთა პროფესიული დაავადება.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მარსალა; 2. მექსიკა; 3. ცილინდრი; 4. პუდელი; 5. ფერხული; 8. ბიბლისი; 9. სახარება; 12. ბერნარდი; 13. მისხორი; 16. გაგრიფში; 17. გამპერი; 19. იყალთო; 20. ტერასა.

**თარაზულად:** 6. ჯარაექიმი; 7. დუაიენი; 8. ბრიუგე; 10. კაოლინი; 11. წუღა; 14. კვიპროსი; 15. ქრისტინე; 18. ხაიამი; 21. ყარყუმი; 22. მენჯი; 23. ოსკარი; 24. ვირსალაძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნამყო; 2. სუომი; 3. პლანეტა; 4. ფიჭა; 5. შუკა; 6. ნიქოზია; 9. ზურაბიშვილი; 10. წინანდალი; 11. შერმადინი; 14. კურსი; 16. გეიშა; 18. ნეილონი; 20. დოვლათი; 23. ჰასი; 24. ბანჯო; 25. ციყვი; 26. დოლი.

**თარაზულად:** 7. ალტრუიზმი; 8. პოპულაცია; 12. გენია; 13. თევზი; 15. ალაფი; 17. რქაწითელი; 19. სვავი; 21. დიელო; 22. წნევა; 27. ანდერსენი; 28. წყალბურთი.

სპორტი

# არენას არენა მიემატა

თბილისში კიდევ ერთი სპორტული კომპლექსი — „არენა 2“ ოფიციალურად გაიხსნა, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი, „არენას“ პარტნიორი სპორტული ფედერაციების და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, სპორტული მედიცინის წამყვანი სპეციალისტები, პარალიმპური კომიტეტის ხელმძღვანელები, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები დაესწრნენ.

ლენტის გაჭრის ცერემონიალი ახალგაზრდა სპორტსმენებთან ერთად ლევან ყიფიანმა და კომპლექსის გენერალურმა დირექტორმა გურამ გოგოლაძემ განახორციელეს, რის შემდეგაც ოფიციალურმა პირებმა მედიის თანხლებით კომპლექსი დაათვალიერეს.

სპორტული კომპლექსი ყოფილი „ქარიშხალას“ ტერიტორიაზე მდებარეობს და წარმოადგენს „არენას“ (ყოფილი სკას) კიდევ ერთ კორპუსს, რომელიც ასევე მთლიანად განახლდა.

სპორტკომპლექსის ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი საერთაშორისო სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს. აღჭურვილია თანამედროვე ფიზიოთერაპიული აპარატურით. პაციენტებს შეუძლიათ გაიარონ როგორც ტრავმის შემდგომი, ასევე პოსტოპერაციულ რეაბილიტაცია. ახალ სამკურნალო დაწესებულებას სხვა არსებულთაგან გამოარჩევს ის რომ გათვალისწინებულია ყველა შესაძლო მეთოდი, რაც პაციენტის სრულფასოვანი რეაბილიტაციისთვისაა საჭირო.

ყველა სერვისი თავმოყრილია ერთ არეალში — თანამედროვე აპარატურა, სპეციალური ტრენაჟორები, მასაჟისა და ფიზიოთერაპიის კაბინეტები, დიდი და პატარა აუზი — ეს ყოველივე მაქსიმალურად ეფექტურს და კომფორტულს ხდის პაციენტისტის ასეთი სახის სამედიცინო მომსახურებას. ამ ეტაპზე ცენტრს შეუძლია მხოლოდ ამბულატორიული მომსახურების გაწევა, თუმცა ინფრასტრუქტურის საკმაოდ დიდი შესაძლებლობებიდან გამომდინარე იგეგმება მცირე სტაციონარის გახსნაც.

კომპლექსი არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. ამ კუთხით იგეგმება კიდევ დამატებითი სამუშაოების ჩატარება. კომპლექსის ტერიტორიაზე მდებარეობს ეროვნული პარალიმპური კომიტეტის ოფისი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს „რენასთან“.

მ. ჟ.

# ამერიკის დეფოლტი მსოფლიო ეკონომიკას მნიშვნელოვნად დააზარალებს

მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის ჯიმ იონგ კიმის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები მალე რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდება. მან ამერიკის მთავრობას საბიუჯეტო საკითხის დროულად განხილვისკენ მოუწოდა.

„უმოქმედობას შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყვეს“, – განაცხადა ჯიმ იონგ კიმმა მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ შეხვედრაზე ვაშინგტონში.

დემოკრატები და რესპუბლიკელები ამ დრომდე ჯერ კიდევ ვერ თანხმდებიან ამერიკის ბიუჯეტსა და სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის გაზრდაზე. ქვეყანამ, მსოფლიო ბანკის ვადებში, გადაწყვეტილება 17 ოქტომბრამდე უნდა მიიღოს.

ექსპერტთა განცხადებით, ამერიკა დეფოლტის რისკის ქვეშ დგას, შეერთებული შტატების ხაზინაში პრობლემები დღე-დღეზეა მოსალოდნელი და სასწრაფოდ ზომების მიღებაა საჭირო.



მსოფლიო ბანკის ლიდერის თქმით ეს იქნება კატასტროფული მოვლენა არა მარტო ამერიკისთვის, არამედ მთელი განვითარებადი მსოფლიოსთვის და ის მსოფლიო ეკონომიკას მნიშვნელოვნად დააზარალებს.

– თუ აშშ-მა დეფოლტი გამოაცხადა, მსოფლიო ეკონომიკას კატასტროფა მოელის. ეს წინადადება იოლი სათქმელია, მაგრამ რას გულისხმობს აშშ-ის ვალის ლიმიტის გამო ეს კრიზისი, რა არის მისი მიზეზი და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას? და რა არის ეს ვალის ლიმიტის გამო კრიზისი, საერთოდ?– კითხვებს სვამს „რადიო თავისუფლება“:

– ამერიკის მთავრობას აქვს ვალი. ამ ვალის ლიმიტი კანონითაა დადგენილი. ანუ მთავრობა ვერ აიღებს ახალ ვალს, ვერ გაზრდის არსებულ ვალს, თუ კანონში ეს არ ჩაიწერა. აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ 17 ოქტომბერს მთავრობა მიუახლოვდება ზღვარს, 16,7 ტრილიონ დოლარს, როგორც ეს კანონით არის გამყარებული. მას მხოლოდ 30 მილიარდი დოლარიღა ექნება ნაღდი ფულის სახით და უუნარო აღმოჩნდება დაფაროს ღია ანგარიშები, გადაიხადოს ხელფასები, სოციალური დახმარება. ამას დაერთვის უცხოეთში აღებული ვალების პროცენტები, რაც ასევე გადასახდელია. ასეთი რამ აშშ-ს არასოდეს დამართვნია ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში. 1790 წელს, როცა შეერთებული შტატები მართლაც ახლად შექმნილი სახელმწიფო იყო, მან განიცადა დეფოლტი, მაგრამ ეს იყო და ეს, მას მერე შეერთებული შტატები მზარდი, ამ ეტაპზე უდიდესი ეკონომიკაა მსოფლიოში. ამ სტატუსის მქონე სახელმწიფოს დეფოლტი გაუგონარი ამბავია. მაგრამ ორი პარტია, რესპუბლიკური და დემოკრატიული ძალები ვერ თანხმდებიან, რის შედეგადაც კანონმდებლები ვერ ახერხებენ მხარი დაუჭირონ ვალის რაოდენობის გაზრდას და ამის დაკანონებას, – წერს „თავისუფლება“.

რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ მზად არიან გაზარდონ ვალის ლიმიტი, თუ ისინი შეუთანხმდებიან დემოკრატებს მთავრობისა და სოციალური ხარჯების შემცირების თაობაზე. დემოკრატები კი უპასუხებენ, რომ მოილაპარაკებენ მხოლოდ მას მერე, რაც რესპუბლიკელები დათანხმდებიან ვალის ლიმიტის გაზრდას, რადგან მანამდე დისკუსია მათ ზეწოლის ქვეშ მოუწევდათ. არც ერთი პარტია არ თმობს, თუმცა ორივე აცხადებს, რომ არ სურს დეფოლტი. შემდეგი შეკითხვა, რაც უჩნდება ამ თემატიკით დაინტერესებულ ადამიანს, არის შემდეგი: რას მოიტანს მსოფლიოსთვის ეს დეფოლტი? პირველები, ვინც იგრძნობენ მას, იქნებიან ქვეყნები, ორგანიზაციები და სააქციო ფონდები, რომლებმაც შეისყიდეს აშშ-ის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები იმ იმედით, რომ კარგად აბანდებდნენ თანხებს. ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფესორი ეთან ილზეცკი ამბობს, რომ „თუ მართლაც მოხდა სახელმწიფო ობლიგაციების დეფოლტი, ეჭვგარეშეა, ეს დიდ ქაოსს გამოიწვევს საფინანსო ბაზრებზე. ამ აქტივებს იყენებს ბევრი კერძო და ეროვნული ბანკი რეზერვის სახით და თუ უცბად მათი გაუფასურება მოხდა, ძნელი წარმოსადგენია, ზუსტად რა შედეგი მოჰყვება ამას“. აი, ერთ-ორი შესაძლებელი შედეგი:

საერთაშორისო რეიტინგული სააგენტოები ავტომატურად დასწევენ იმ ბანკების კრედიტუნარიანობის დონეს, რომლებსაც აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციები აქვთ შეძენილი. ეს ბანკები ვეღარ შეძლებენ სხვაგან სესხის აღებას იმისათვის, რომ იშოვონ სამოქმედო ფული. ბანკები, რომლებსაც აღარ ექნებათ საკმარისი აქტივები, ვეღარ შეძლებენ ფულის გასესხებას და მსოფლიო ბიზნესი კრედიტების გარეშე დარჩება. ამასთან ერთად, ფასს დაკარგავს დოლარი, დღესაც არცთუ მაღალი კურსის მქონე საერთაშორისო ვალუტა, და არეულობა დაიწყება ვაჭრობაში, მაგალითად, ოქროთი და ნავთობით, რაშიც ფულის ეს ერთეული იყო წამყვანი. ამ დროს აშშ-ის ეკონომიკა, ასევე მასთან დაკავშირებული ქვეყნების ეკონომიკები, სუსტდება და რეცესიის ფაზაში გადადის. ორმა ქვეყანამ, რომლებსაც აშშ-ისთვის უზომო რაოდენობის თანხები აქვთ ვალის სახით მიცემული, – პირველ რიგში, ჩინეთმა და ასევე იაპონიამ, – უკვე დასცა განგაში შესაძლებელი დეფოლტის გამო.

ახლა იმის შესახებ, თუ რა იწვევს ვალის ლიმიტის კრიზისს. მედია იუწყება ხოლმე დასავლეთის არაერთ ქვეყანაში სახელმწიფო ვალის გადახდისუუნარობის შესახებ. ასე იყო საბერძნეთში, ესპანეთში, პორტუგალიაშიც, ადრე – ისლანდიაში და ასე შემდეგ. აშშ-ის კრიზისის მიზეზი, ფიქრობს ზოგიერთი ექსპერტი, პოლიტიკური დაპირისპირებაა. იოჰანეს თიმი, ტრანსტლანტიკურ ურთიერთობათა სპეციალისტი ბერლინის საერთაშორისო და უშიშროების საკითხთა კვლევის ინსტიტუტში, ამბობს, რომ „ეს, ერთგვარად, ძალით შექმნილი კრიზისია. შეიძლება იმაზე დავა, რომ ამერიკის ვალი ძალიან გაიზარდა მთლიან შიდა პროდუქტსა და ბიუჯეტთან ან სხვა მონაცემებთან შედარებით, მაგრამ ეს კრიზისი წარმოშვა ვაშინგტონში შექმნილმა ჩიხმა და არა იმან, რომ ბაზრები ნდობით არ უყურებენ ამერიკელების შესაძლებლობას, ვალი აიღონ“.

კრიზისს აშშ-ში, ჩანს, ხელს უწყობს ღრმა იდეოლოგიური განსხვავება იმაზე წერმოდგენებს შორის, თუ რაში უნდა დახარჯოს მთავრობამ ფული. ამ თემაზე აშშ-ში პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობას ასე განმარტავს მეთიუ ელიოტი, გაერთიანებული სამეფოს გადასახადის გადამხდელთა ლონდონში დაფუძნებული ალიანსის დამაარსებელი:

„დემოკრატები და რესპუბლიკური პარტიის ზოგიერთი გავლენიანი წევრი ფიქრობს, რომ ამერიკამ გაიარა მომჭირნეობის ფაზა. ამდენად, კვლავ ხარჯების შემცირება ეკონომიკისთვის, მათი აზრით, არ იქნება კარგი. საჭიროა მთავრობამ ხარჯები გაილოს და გაიზარდოს ვალის ლიმიტი. რესპუბლიკური პარტიის ის წევრები, რომლებიც თავისუფალ ბაზარს ანიჭებენ უპირატესობას და რომლებიც ჩაის პარტიის მოძრაობის გავლენის ქვეშ არიან, თვლიან, რომ ხარჯების დაზოგვის რეალური პერიოდი არ გვქონია, უზარმაზარია ყოველწლიური დეფიციტი, სახელმწიფო ვალი იზრდება და ამიტომაც საჭიროა ხარჯების დიდი რაოდენობით შემცირება“.

საკითხავია, მოიძებნება თუ არა პრობლემის პოლიტიკური მოგვარების გზა. 2011 წელს მხარეებმა მოახერხეს მორიგების გზით დეფოლტის თავიდან აცილება. ახლა დაძაბულობა უფრო ძლიერია. ვალის ლიმიტის გამო კრიზისი დაიწყო. პირველი ოქტომბრიდან მთავრობამ შეაჩერა მუშაობა, ვერ თანხმდებიან ბიუჯეტის გარშემო. შეთანხმება მოხდება, მაგრამ ამას მოელიან სულ ბოლო წამს, მძაფრი მოლაპარაკების შემდეგ. როგორ იმოქმედებს ეს კრიზისი, თუნდაც დეფოლტის თავიდან აცილების შემდეგ, აშშ-ის ეკონომიკაზე? ლონდონელი პროფესორი ილზეცკი ასე უყურებს მომავალს:

„ეს დღე ათ წელიწადში ან ოც, ან ორმოცდაათ წელიწადში დადგება, როცა დოლარი თავის სტატუსს დაკარგავს და ფულის სხვა ერთეულს – ევროს ან ჩინურ იუანს – დაუთმობს პოზიციას. ეჭვი არაა, ათწლეულების შემდეგ ისტორიაში ჩაიწერება, რომ ამის მიზეზი ის პოლიტიკური დაპირისპირება იყო, რომლის მოწმენიც ახლა ვართ ვაშინგტონში“.

## ინდოეთში მომხდარი ჭყლეტისას 60 მომლოცველი დაიღუპა

პანიკის შედეგად მომხდარი ჭყლეტისას ინდოეთში 60 მომლოცველი დაიღუპა. როგორც უცხოური მედია ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით წერს, ცენტრალურ ინდოეთში, მადჰიაპრადეშის შტატის ქალაქ დატიასთან 60 კილომეტრში მდებარე ტაძარში, რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით ათასობით მომლოცველი შეიკრიბა.

ჭყლეტა მაშინ მოხდა, როდესაც მომლოცველები მდინარე სინდხუს ხიდზე გადადიოდნენ. ამ დროს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხიდი წუთი წუთზე ჩატყდებოდა, რასაც პანიკა მოჰყვა. მომლოცველთა ნაწილი ჭყლეტაში დაიღუპა, ნაწილი კი წყალში გადახტა და დაიხრჩო.

ვრცელდება მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვით, პოლიციამ ხელკეტების გამოეყენებით სცადა მომლოცველებში წესრიგის დამყარება, რამაც ჭყლეტა გამოიწვია.

დურგა-პუჯა ინდუსების ქალღმერთის, დურგეს სათაყვანო დღესასწაულია. ის შემოდგომაზე იწყება და 4 დღე გრძელდება.

## სამგლოვიარო განცხადებები



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის ყოფილი წამყვანი სოლისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ულამაზესი ქალბატონი

**სოფიკო იაშვილი**

და ღრმა სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

პანაშვიდი: 13, 14 ოქტომბერს.
დაკრძალვა: 15 ოქტომბერს, 15 საათზე.
მისამართი: ა.წერეთლის გამზ.95, III სადარბაზო.

თბილისის ტურიზმის აკადემიისა და დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის კოლექტივი, სტუდენტთა დარბაზი რექტორ ამირან მექვაბიშვილის სახით იუწყებიან შესანიშნავი მანდილოსნის, უნიჭიერესი ქალბატონის, პროფესორ

**ცაცა ჩხარტიშვილის**

გარდაცვალებას.

საქართველოს თვითდასაქმებულთა და ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება ბატონი რევაზ აბესაძის მამის

**გრიგოლ აბესაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## ლუკაშენკო საბაჟო კავშირიდან გამოსვლით იმუქრება

ბელარუსმა შესაძლოა საბაჟო კავშირი დატოვოს, თუ რუსეთი ნავთობპროდუქტებზე საექსპორტო საბაჟო გადასახადს არ გააუქმებს. ამის შესახებ განცხადება ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ გააკეთა.



„ჩვენ საბაჟო კავშირში ვერ დავრჩებით, თუ მისგან ეკონომიკურ სარგებელს ვერ მივიღებთ“, – განაცხადა ლუკაშენკომ.

ბელარუსი 2011 წლიდან რუსული ნავთობპროდუქტების იმპორტს საბაჟო გადასახადის გარეშე ახდენს. ამის მიუხედავად, ბელარუსი ვალდებულია რუსული ნავთობპროდუქტის მესამე ქვეყნისთვის მიყიდვის შემთხვევაში რუსეთს გადაუხადოს საექსპორტო საბაჟო გადასახადი. ამის გამო, მხოლოდ 2012 წელს ბელარუსმა რუსული ბიუჯეტი 3,8 მილიარდი დოლარით შეავსო.

შეგახსენებთ, რომ უახლოეს პერიოდში კიევმა, შესაძლოა, რუსულ გაზზე მთლიანად თქვას უარი.

„თუ გაზის მოქმედი კონტრაქტი არ გადაისინჯა, უკრაინამ უახლოეს წლებში, შესაძლოა, მთლიანად თქვას უარი რუსული გაზის იმპორტზე“, – აღნიშნულის შესახებ რუსულ ტელეარხზე უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა განაცხადა.

„ამ ფასად გაზის ყიდვა ჩვენ უკვე შევამცირეთ და კიდევ შევამცირებთ; პერსპექტივაში, ეს უბრალო სიტყვები არ არის, უკრაინა მთლიანად უარს იტყვის ამ ფასად გაზის იმპორტზე“,-განაცხადა აზაროვმა.

აზაროვმა ასევე დაამატა, რომ თუ რუსული გაზის ჰოლდინგი კიევს შეთანხმების შეუსრებლობის გამო უჩივლებს, უკრანა მზადაა „გაზპრომსა“ და „ნაფტოგაზს“ შორის მოქმედი გაზის კონტრაქტის აბსურდულობა დაამტკიცოს.

## კოცნა პარტნიორის ჯანმრთელობის შეფასების საშუალებას იძლევა



კოცნა ადამიანებს პოტენციური პარტნიორის გენეტიკური თვისებებისა და ჯანმრთელობის შეფასებისთვის სჭირდებათ, – ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ ჟურნალებში, „არქივს ოფ სექსუალ ბიჰევორსა“ და „ჰუმან ნატურში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე დაყრდნობით ავრცელებს.

„არსებობს სამი ძირითადი თეორია, რომელიც სექსუალურ ურთიერთობებში კოცნის როლს ხსნის. ერთ-ერთის თანახმად, ადამიანს კოცნა რაღაცნაირად პოტენციური საქორწინო პარტნიორის გენეტიკური მასალის ხარისხის შეფასებაში ეხმარება. მეორე ვერსიით, კოცნის როლი სექსუალური აღგზნების (სექსის ინიცირებისთვის) მომატებაში მდგომარეობს. მესამე თეორია ღაღადებს, რომ კოცნა ურთიერთობის შენარჩუნებას ეხმარება. ჩვენ შემოწმება გვსურდა, რომელია ამ თეორიებიდან უფრო მართებული“, – განმარტავს კვლევის ერთ-ერთ ავტორი რაფაელ ვლოდარსკი ოქსფორდიდან. მეცნიერებმა ონლაინ-გამოკითხვა ჩაატარეს, რომელშიც 900-ზე მეტმა მამაკაცმა და ქალმა მიიღო მონაწილეობა 18-დან 63 წლამდე, რომელთაგან 55% იმ მომენტისთვის ხანგრძლივ ურთიერთობაში იყო. ყველა პასუხობდა კითხვებზე კოცნის მნიშვნელობაზე, ურთიერთობის სხვადასხვა სტადიაზე. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქალები მთლიანობაში, ასევე მამაკაცები, რომლებიც საკუთარ თავს მიმზიდველად მიიჩნევენ, ურთიერთობისთვის კოცნის მნიშვნელობას მაღალ დონეზე აფასებდნენ. როგორც ჩანს, კოცნა მართლაც ეხმარება მათ რაღაცნაირად პარტნიორის შეფასებაში. მკვლევარები მიჩნევენ, რომ გამოკითხვა მთლიანობაში ადასტურებს თეორიას, რომ კოცნისას პარტნიორის გემოვნება და სუნი საშუალებას გვაძლევს მისი გენეტიკური მახასიათებლები და ჯანმრთელობა გაუთვითცნობიერებლად შევაფასოთ.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**ორშაბათი 14 ოქტომბერი**

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10** საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.00** მცხეთობა (პ/ტრ) **14.00** დ/ფ "ჩემი პატრიარქი" **14.30** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" " **16.55** ანონსი **17.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **18.55** ანონსი **17.55** ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" **21.00** მხ/ფ "**ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა**" **23.00** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.20** მხ/ფ "**ენდე საკუთარ თავს**" (ა.ბანდერასი)

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ათენი" **09.00** ქართული დ/ფ "დედაო ღვთისავ" (რეჟ: მ. ბორაშვილი) **10.00** მცხეთობა (პ/ტ) **14.00** ქართული დ/ფ "გზა მაცხოვრისა" (რეჟ. მ. ბორაშვილი) **15.00** **ფეხბურთი** – ევროპის **21** წლამდე ფეხბურთელთა შესარჩევი ეტაპის მატჩი: **საქართველო – შოტლანდია** I-II ტაიმი (პ/რ) **17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა". **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "ეპიცენტრი" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** ფულთან თამაში (**05.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა — პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **00.20** მხ/ფ "**ანა ნიკოლი**"

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** ნიჭიერი - დაწყება **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **26** **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერი დაიჯესტი

**06.00, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.30** მხ/ფ "**მაგდანას ლურჯა**" **07.40** დოკ/ფ "მცხეთა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00** სვეტიცხოვლობა (ტრანსლაცია მცხეთიდან) **13.00** დოკ/ფ "შემოდგომა" **13.30** დოკ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.35** დოკ/ფ "მცხეთა" **15.55** კონცერტი - პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55, 00.25** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ფიროსმანი**" **20.40** ძილი ნებისა **21.15** "თვენი" - მაცხოვრის კვართი **21.25** სალვთისმეტყველო საუბრები **22.30** დოკ/ფ "ვლაქერნას სამოსელი" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. IV **23.40** დოკ/ფ "სვეტიცხოველი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**"

**მაესტრო** **7.00" 0.45" 2.30" 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** (გამ). **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი/(გამ.). **16.00 სერიალი "რთული გზა". 17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

14 ოქტომბერი

აშშ დოლარი — 1,6682

ევრო — 2,2634

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6644

100 რუსული რუბლი — 5,1786

## ამინდის პროგნოზი 14 ოქტომბრისთვის




## მალე!

ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

უკვე გამოსულია

ტომი 1 ............ მგლის ბილიკი
ტომი 2 ............ შავი ვარდი

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები







15 ოქტომბრიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა




20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები




24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები




27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები

## მომღერლებმა მშვიდობის ჰიმნი ჩაწერეს

ეკა ირემაშვილი

ქართველი მომღერლები რუსების მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას აპროტესტებენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართული ესტრადის ცნობილმა წარმომადგენლებმა სამშვიდობო ჰიმნი ჩაწერეს, რომელსაც „ჩვენ მამულის გვწამს“ ეწოდება.



სიმღერა დვანსა და დიცში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შეიქმნა. მისი ავტორი კაკი ბოლქვაძეა, სიმღერის ტექსტი ნანა ცინცაძემ დაწერა, არანჟირება კი ნოდარ ხელაძეს ეკუთვნის. ჰიმნი მანჩოს სტუდიაშია ჩაწერილი და მას სხვადასხვა თაობის 35-მდე მომღერალი ასრულებს, მათ შორის თამრიკო ჭოხონელიძე, ანი სირაძე, ეკა კვალიაშვილი, ვერიკო ტურაშვილი, ნუკრი კაპანაძე, ნინი ბადურაშვილი, ზურა მანაგაძე, ჯგუფი „ფორტე“, სალომე ბაკურაძე, გიორგი სუხიტაშვილი, თამთა გოგუაძე, მანჩო, გოგა მესხი, მიშა ზაქარეიშვილი, პაატა თედიაშვილი, ანსამბლი „მეტეხი“, ქეთი გომართელი, ანრი ჯოხაძე, ქეთი ორჯონიკიძე, ბესო კალანდაძე, კაკი ბოლქვაძე, კახა კუხიანიძე, ნინო ძოწენიძე.

მომღერლების თქმით, ეს არის პროტესტის ნიშნად ჩაწერილი სიმღერა, რომელსაც სულ მალე ექნება კლიპიც. კლიპს რეჟისორი გიორგი დათაშვილი იღებს. კლიპის პრემიერა სოფელ დვანშია დაგეგმილი. კლიპის პრემიერასთან ერთად გაიმართება დუმილის აქცია, ცოცხალი ჯაჭვი. ღონისძიება კი დაგვირგვინდება კონცერტით, რომელშიც ყველა ის მომღერალი მიიღებს მონაწილეობას, რომელმაც მშვიდობის ჰიმნი ჩაწერა. სოფელ დვანში დაგეგმილ კონცერტში მონაწილეობის სურვილი „ქუჩის ბიჭებმაც“ გამოთქვეს, რომლებიც კოლეგებს დვანშივე შეუერთდებიან.

— ეს აქცია აპოლიტიკურია. მას მომღერლები საკუთარი ხარჯებით ატარებენ. მესიჯი კი არის, რომ არ გვინდა ომი, გვინდა მშვიდობა. კლიპში მომღერლების გვერდით იქნება პროექტ „ნიჭიერის“ გამარჯვებული ნონა გიუნაშვილი, რომელიც ქვიშით ხატავს მავთულხლართებსა და სხვა თემატურ სურათებს, — ამბობენ ღონისძიების ორგანიზატორები.

## „არა ოკუპაციას!“ — აქცია რესპუბლიკის მოედანზე

ეკა ირემაშვილი

„არა ოკუპაციას“ — ამ მოწოდებით ქართველმა მუსიკოსებმა რესპუბლიკის მოედანზე აქცია-კონცერტი გამართეს. მასში მონაწილეობის მიღება ყველა იმ მუსიკოსსა თუ მომღერალს შეეძლო, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველო განიცდის ოკუპაციას და დროა, ქართველმა საზოგადოებამ ერთიანი ძალებით მშვიდობიანად უპასუხოს ამ ძალადობას.



გარდა ამისა, 19 ოქტომბერს ქეთათო ჩარკვიანი და მისი მეგობრები აპირებენ, პირადად ჩავიდნენ რუსების მიერ ოკუპირებულ სოფლებში დიცში და იქ მცხოვრები ადამიანების ტკივილი კიდევ უფრო გაითავისონ.



აჩიკო გულედანი ამტკიცებს, რომ ყველამ თავისი პოზიცია თავისი საქმით უნდა გამოხატოს, ამიტომაც მუსიკოსებმა მუსიკით გადაწყვიტეს პროტესტის გამოხატვა და რესპუბლიკის მოედანზე ყველა ის ადამიანი მიიწვიეს, ვისთვისაც სამშობლოს ერთიანობა მნიშვნელოვანია.

**აჩიკო გულედანი:**

— ამ შემთხვევაში ვლაპარაკობ 14 ბენდისა და მუსიკოსის სახელით. ჩვენ გვინდოდა, გაგვეკეთებინა აქცია რესპუბლიკის მოედანზე „არა ოკუპაციას“. ეს არის ასევე ბოიკოტი სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით და დავგეგმეთ ადგილზე შეგვეგროვებინა ხელმოწერები, ამ პროცესში მონაწილეობის მიღება კი ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

***— ვინ მიიღო მონაწილეობა თქვენს აქციაში?***

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დავუკარით, ეს არ იყო კონცერტი, ეს იყო რეალურად აქცია. ამ აქციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ნიაზ დიასამიძემ და ჯგუფმა 33ა, ლადო ბურდულმა, ქეთათომ, ბესელამ, არამ, ლაუდსპიკერსმა, გრინ რუმმა, სოფთ ეჯექტმა, ნიკა კოჩაროვმა, გრავითიმ, ზუმბამ, ბალუნ შუთერსმა. ეს მარათონი ვერ იქნებოდა 9 საათიანი, ვეცადეთ 3 საათში ჩავტეულიყავით. ეს იყო აბსოლუტურად ნებაყოფლობითი და ღია და ვისაც სურვილი ექნებოდა, შეეძლო მონაწილეობის მიღება. თან მოვაგროვეთ ხელმოწერები „არა ოკუპაციას“ და „ბოიკოტი ოლიმპიადას“. მუსიკოსები ვაკეთებდით ამ აქციას და მაქსიმალურად ყველანი ჩავერთეთ.

***— რატომ გადაწყვიტეთ ამ აქციის ჩატარება?***

— იმიტომ, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, დვანი ავიღოთ, დიცი ავიღოთ. რაც იქ ხდე-




ბა, ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენს აქციასაც „არა ოკუპაციას“ ამიტომ ჰქვია. ჩვენი აზრით, ნებისმიერი „არა ოკუპაციას“, ნიშნავს „არა მონაწილეობას სო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## თემურ ქეცბაია: ესპანელთა დამარცხებას სიტყვებით ვერ აღვწერ



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები, წლის ბოლო ოფიციალური მატჩისთვის ქალაქ ალბასეტეში ემზადება. ესპანეთთან შეხვედრისთვის თემურ ქეცბაიამ გუნდი 8 ოქტომბერს შეკრიბა.

„ჯვაროსანთა“ მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი ფეხბურთელები „ფურია როხას“ ქულას აართმევენ.

**თემურ ქეცბაია:**

— ვფიქრობ, რომ ესპანელების ამჟამინდელი ნაკრები ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო გუნდია. მათ ბოლო 6 წლის მანძილზე ყველაფერი მოიგეს. ესპანეთის ნაკრები კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დარჩება უძლიერეს გუნდად. გვინდა, რომ სამშაბათს გავიმარჯვოთ, თუმცა ფრეც კარგი შედეგი იქნება. სიტყვებით ვერ აღვწერ იმ განცდას, რაც მსოფლიოს ჩემპიონის დამარცხების შემთხვევაში დაგვეუფლება.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთისა და საქართველოს ნაკრებებს შორის მატჩი ალბასეტეში მდებარე „კარლოს ბელმონტეზე“ შედგება და თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება.

მ. ჟ.

## კალათბურთის ფედერაციის გამგეობა შეხვედრებს აგრძელებს

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობა დღეს სასტუმრო „რედისონში“ კალათბურთის ვეტერან და მოქმედ მსაჯებს, კომისრებს და მსაჯ-მდივნებს შეხვდა. საუბარი ეხებოდა ფედერაციის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს და იმ წესდებას, რომლითაც ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს. 1 ოქტომბერს გამართულ გამგეობის სხდომაზე ფედერაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, საკალათბურთო სამყაროს ყველა ფენის წარმომადგენლებს შეხვდეს და მათთან კონსულტაციის შემდეგ შეიმუშაოს წესდება და განსაზღვროს არჩევნების თარიღი.

მსაჯებთან, კომისრებთან და მსაჯ-მდივნებთან დღევანდელმა შეხვედრამ საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. გამგეობის წევრებმა დამსწრეთ გააცნეს ფედერაციის გეგმები, მსაჯ-კომისრებმაც თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს და აქცენტი არჩევნებში მათ თანამონაწილეობის გაზრდაზე გააკეთეს. მსაჯებმა, კომისრებმა და მსაჯ-მდივნებმა გამგეობის წინაშე დააყენეს საკითხი, რომ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებმა არჩევნებზე ხმის უფლება მიიღონ.

კალათბურთის ფედერაციაში ოფიციალურად ჯერჯერობით არც ერთი პრეზიდენტობის კანდიდატი არ დაფიქსირებულა. გამგეობის წევრები საკალათბურთო სამყაროს წამომადგენლებთან შეხვედრებს განაგრძობენ და მორიგი შეხვედრა 16 ოქტომბერს, ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს საკალათბურთო წრეებთან გაიმართება.

ერთია, ჯერჯერობით, არცერთხელ შეხვედრაზე არ თქმულა, რომ ხმების განაწილების სურვილი და მისი რაოდენობის გაზრდა, სურვილი კი არ უნდა იყოს, აქამდე არსებულ წესდებას უნდა ექვემდებარებოდეს.

მ. ჟ.

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ამერიკელი მწერალი (1871-1945); 6. კორიდის მონაწილეთა პარადი; 9. ცრუ ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 10. ჩეხი კომპოზიტორი (1870-1949); 11. სასწავლო დაწესებულება; 13. მსუბუქი გამჭვირვალე ქსოვილი; 15. კურორტი აშშ-ში; 18. თოვლის ფანტელი; 21. ქიმიური ელემენტი; 22. სამგზავრო ვაგონის დახურული ბაქანი; 23. წრის დიამეტრის ნახევარი.

**შვეულად:** 1. ერთგვარი ყავა; 2. მტაცებელი ფრინველი; 3. ვენესუელის დედაქალაქი; 4. მწნილი; 7. ძვირფასბეწვიანი მტაცებელი ცხოველი; 8. თამბაქოში შემავალი შხამიანი ნივთიერება; 12. მზის სისტემის პლანეტა; 14. ღია მათემატიკური მრუდი; 16. ლითონის ფული თურქეთში; 17. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 19. მდინარე საფრანგეთში; 20. მეფე ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




## ასტროპროგნოზი 14 ოქტომბრისთვის



ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — სახლში დიდი სიხარული გელით. **კირჩხიბი** — ყველა საქმე გამოგდით, რასაც კი ხელს მოჰკიდებთ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **სასწორი** — ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **ღრიანკალი** — არ გარისკოთ, ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდით. **მშვილდოსანი** — ახალი ენერგიით ხართ სავსე. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველაფერს აგვარებთ. **თევზები** — ფიქრები შემოგაწვათ, ეგ კარგის ნიშანია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!